186
1977

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3

მაისი—ივნისი

1977 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3 მაისი—ივნისი 1977 წ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები


40. „ქალაქების თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის გაფართოების, გარემოს გაჯანსაღებისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების პირობების გაუმჯობესების შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 6 მარტის № 143 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.

41. სახალხო მეურნეობაში ახალგაზრდობის ჩაბმისათვის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

42. რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების გარეგნული სახის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

43. ცეკავშირისა და საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს სისტემიდან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მუშაკთა რიცხოვნობის, ხელფასის ფონდისა და ზღვრულ ასიგნებათა გადაცემის შესახებ.

44. აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.

45. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის 3 მარტის № 252 დადგენილების მე-9 პუნქტის ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

№ 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

46. დარგობრივ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული სახელმწიფო ვაჭრობის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების დასაჯილდოებლად დამატებითი გარდამავალი წითელი დროშებისა და ფულადი პრემიების დაწესების შესახებ.

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

47. ქ. სამტრედიის ახალი საზღვრების შესახებ.
48. ზოგიერთი სახეობის ბოსტნეულისა და ბაღჩეულის შესასყიდი ფასების დამტკიცების შესახებ.
49. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გორის ექსპერიმენტული მეურნეობა-ტექნიკუმის შექმნის შესახებ.
50. კიტრის საცალო ფასის შესახებ.
51. მოსახლეობისათვის კომბინირებული საკვების მიყიდვის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ.
52. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 23 მარტის № 231 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
53. ბოლნისის ტუფის ფილების საბითუმო ფასის შესახებ.
54. „საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მართვის სქემის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 18 მარტის № 201 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.
55. რესპუბლიკის ავტოსარემონტო და სალტესარემონტო საწარმოთა სპეციალიზაციის შესახებ.
56. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.
57. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 16 აპრილის № 297 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
58. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 2 აპრილის № 256 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
59. ბ. დ. ჟღენტის უკვდავყოფის შესახებ.
60. საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორების მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.
61. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 14 აპრილის № 291 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
62. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 29 აპრილის № 343 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

63. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 10 მაისის № 364 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

64. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში საწარმოო გაერთიანებათა შექმნის შესახებ.

65. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 40 „ქალაქების თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის გაფართოების, გარემოს გაჯანსაღებისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების პირობების გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 6 მარტის № 143 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. გაუქმდეს ქალაქების თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის ტყეებში სატყეო მეურნეობის გაძლოლის სამმართველო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტში იმის გამო, რომ თავისი ფუნქციებით იგი არ შეესაბამება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 6 მარტის № 143 დადგენილების მოთხოვნებს.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა თავის აპარატში შექმნას ტყეების კეთილმოწყობისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების ორგანიზაციის სამმართველო ქალაქების თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის ტყეებში სატყეო მეურნეობის გაძღოლის გაუქმებული სამმართველოს შტატებისა და ხელფასის ფონდის ხარჯზე.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.** | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.** |

ქ. თბილისი, 1977 წ. 10 მაისი, № 348

## 41 სახალხო მეურნეობაში ახალგაზრდობის ჩაბმისათვის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანოებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, უმაღლეს სასწავლებელთა რექტორატებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა, ასრულებდნენ რა საქართველოს კპ ცენტრალუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი კომიტეტის ბიუროს 1974 წლის 13 აგვისტოს დადგენილებას „სახალხო მეურნეობაში სამუშაოდ იმ ახალგაზრდობის ჩაბმის ღონისძიებათა შესახებ, რომელიც ვერ მოეწყო კონკურსით უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში“, რამდენადმე გააუმჯობესეს მუშაობა სახალხო მეურნეობაში იმ ახალგაზრდობის ჩაბმისათვის, რომელიც ვერ მოეწყო კონკურსით უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში.

რესპუბლიკის ყველა უმაღლეს სასწავლებელსა და 20 ტექნიკუმში შესასვლელი გამოცდების პერიოდში შეიქმნა და მუშაობდა იმ ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის კომისიები, რომელმაც ვერ გაიარა კონკურსი. კომისიების მუშაობაში მონაწილეობდნენ უმაღლეს სასწავლებელთა პრორექტორები და ფაკულტეტების დეკანები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები, შრომის ვეტერანები და წარმოების მოწინავენი, სოციალისტური შრომის გმირები, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. აბიტურიენტებთან გაწეული მუშაობის შედეგად ამ კომისიებმა ბევრი ქალიშვილი და ჭაბუკი გაგზავნეს სახალხო მეურნეობაში სამუშაოდ. 88.894 კაციდან, რომლებიც ვერ მოეწყვნენ კონკურსით უმაღლეს სასწავლებლებში 1974-1976 წლებში, 71.881-მა გაიარა გასაუბრება შრომითი მოწყობის კომისიებში, 20.556 კაცი გაიგზავნა სამუშაოდ რესპუბლიკის სხვადასხვა საწარმოში და სასწავლებლად პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში. კომისიებმა სამუშაოზე მოაწყვეს აგრეთვე 4.500 კაცი იმ პირთაგან, რომლებიც 1975-1976 წლებში ვერ ჩაირიცხნენ ტექნიკუმებში. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე კომისიებმა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს გადაუგზავნეს უმაღლეს სასწავლებლებში ჩაურიცხავი 44.496 პირის სიები სახალხო მეურნეობაში სამუშაოდ მათი დროულად ჩაბმისათვის. ამ პირთა უმრავლესობა ამჟამად მუშაობს.

ამასთანავე საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობაში იმ ახალგაზრდობის ჩაბმის საქმეში, რომელიც ვერ მოეწყო კონკურსით უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში, ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზები. ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის შრომითი მოწყობის კომისიები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ მუშაობას ამ კატეგორიის ახალგაზრდობასთან, ყოველთვის დროულად როდი უგზავნიან სიებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, რის შედეგადაც ახალგაზრდობის ნაწილი დიდი ხნის მანძილზე საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ჩაუბმელი რჩება ანდა დღემდე არ მუშაობს. სისტემატური და ეფექტიანი მუშაობა არ ხორციელდება იმ ახალგაზრდობის შრომითი მოწყობისათვის, რომელმაც ვერ გაიარა კონკურსი საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში. 1976 წელს შრომითი მოწყობის კომისიები მუშაობდა მხოლოდ 20 ტექნიკუმში 97-დან.

მთელ რიგ საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელები, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები დროულად არ წარუდგენენ კომისიებს ცნობებს სამუშაო ადგილების არსებული ვაკანსიების შესახებ მუშაობის პირობების, შრომითი ზრდის პერსპექტივის, ხელფასის ოდენობის, არსებული საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების აღნიშვნით, საკმარისად არ ზრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავენ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა მუშაოდ მიღებული ახალგაზრდობის პროფესიული ზრდისათვის, ყოველთვის როდი უქმნიან მათ საჭირო საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებს და კულტურული ზრდის შესაძლებლობებს.

ზოგიერთი პარტიული კომიტეტი, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტი და საქართველოს პროფსაბჭო ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ საზოგადოებრივ წარმოებაში ახალგაზრდობის ჩაბმის საკითხებს, ხოლო ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოები არ იღებენ ქმედით ზომებს იმ პირთა მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას.

აღნიშნული ნაკლოვანებები ნაწილობრივ იმის შედეგია, რომ სუსტია პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ხარვეზებია მოსწავლეთა შრომითი აღზრდის საქმეში და პროფესიული ორიენტაციისათვის მუშაობაში.

არ გაამართლა დანიშნულება ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის რესპუბლიკური კომისიისა და ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის რესპუბლიკური საბჭოს ცალ-ცალკე მუშაობამ.

დიდ სოციალურ და ეკონომიკურ მნიშვნელობას ანიჭებენ რა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული და უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მოუწყობელი ახალგაზრდობის დროულად ჩაბმას შრომით საქმიანობაში, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან ახალგაზრდობის შრომითი მოწყობისა და პროფესიული ორიენტაციის რესპუბლიკური კომისია, რის გამოც ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1972 წლის 22 აგვისტოს № 455 დადგენილების მე-2 პუნქტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 28 სექტემბრის № 502 დადგენილება „ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 11 დეკემბრის № 607 დადგენილება „ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ და „ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მიხედვით 1976 წელს არასრული საშუალო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის სამუშაოდ მოწყობის გეგმის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 16 ივლისის № 500 დადგენილების მე-2 პუნქტი.

2. დამტკიცდეს ახალგაზრდობის შრომითი მოწყობისა და პროფესიული ორიენტაციის რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობა (თან ერთვის).

---

1) დანართი არ მოიყვანება

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ახალგაზრდობის შრომითი მოწყობისა და პროფესიული ორიენტაციის რესპუბლიკური კომისიის ძირითად ამოცანად ჩაითვალოს საშუალოგანათლებამიუღებელი ახალგაზრდობის, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის და უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში კონკურსით მოუწყობელი ახალგაზრდობის გამოვლენისა და შრომითი მოწყობის სამუშაოთა ორგანიზაცია.

კომისიამ ორი თვის ვადაში შეიმუშაოს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ახალგაზრდობის შრომითი მოწყობისა და პროფესიული ორიენტაციის რესპუბლიკური კომისიის შესახებ და წარმოუდგინოს იგი დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ახალგაზრდობის შრომითი მოწყობისა და პროფესიული ორიენტაციის რესპუბლიკურმა კომისიამ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტთან, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან, საქართველოს სრ კულტურის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტთან, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების ხელმძღვანელებთან, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად:

— ყოველწლიურად გამოცდების დაწყებამდე ერთი თვით ადრე შეიქმნას რესპუბლიკის ყველა უმაღლეს სასწავლებელსა და ტექნიკუმში იმ ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის კომისიები, რომელმაც ვერ გაიარა კონკურსი უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, ამასთან აღნიშნული კომისიების შემადგენლობაში შეიყვანონ უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების, საწარმოების, დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ავტორიტეტიანი მუშაკები;

— რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად დროულად განსაზღვროს სახალხო მეურნეობის დარგების ობიექტები, საწარმოები და ორგანიზაციები იმ ახალგაზრდობის გასაგზავნად და შრომითი მოწყობისათვის, რომლებიც ვერ ჩაირიცხა უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში;

— უმაღლეს სასწავლებლებთან და ტექნიკუმებთან არსებული ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის კომისიების მეშვეობით ფართოდ გააცნოს ახალგაზრდობას სახალხო მეურნეობაში მისი გამოყენების შესაძლებლობანი, არსებული ვაკანტური ადგილები შრომის პირობებისა და შრომითი ზრდის პერსპექტივების, ხელფასის ოდენობის, არსებული საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების აღნიშვნით;

— შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი კომისიების საგზურებით გაგზავნილი ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებისათვის სიების დროულად წარდგენის უზრუნველსაყოფად, რათა რაც შეიძლება მალე განაწესონ ისინი სამუშაოზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სისტემატურად განაზოგადოს და გაავრცელოს ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის მოწინავე კომისიების მუშაობის საუკეთესო ფორმები და მეთოდები, აგრეთვე ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის მუშაობის გამოცდილება.

5. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ გაითვალისწინონ საქვეუწყებო სამეცნიერო დაწესებულებათა გეგმებში კვლევითი სამუშაოების გაფართოება ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის, საზოგადოებრივ წარმოებაში მისი ჩაბმის მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების, ფორმებისა და მეთოდების შესამუშავებლად.

6. საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გააძლიეროს მუშაობა საზოგადოებრივი შრომით დაუსაქმებელი ახალგაზრდობის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ჩაბმისათვის დ კონტროლი კომკავშირული საგზურებით სამუშაოდ გაგზავნილი ქალიშვილებისა და ჭაბუკების შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების ორგანიზაციისადმი.

7. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააძლიეროს მუშაობა იმ ახალგაზრდობის დროულად გამოვლენისათვის, რომელიც თავს არიდებს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, და მიიღოს ქმედითი ზომები სახალხო მეურნეობაში სამუშაოდ ამ პირთა ჩაბმისათვის.

8. რესპუბლიკის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი რესპუბლიკაში ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის მდგომარეობის ამსახველი ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სრულყოფის მიზნით.

9. რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა გააძლიერონ საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა იმისათვის, რათა დროულად წარუდგინონ ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის კომისიებს ვაკანტური ადგილების სიები, სამუშაოდ მოაწყონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობა და შეუქმნან მას ნორმალური შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები.

10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ გააუმჯობესოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექციებისა და პედაგოგიური კოლექტივების მუშაობა მოსწავლეთა იდეურ-ზნეობრივი და შრომითი აღზრდის, მათთვის მუშური პროფესიების პატივისცემისა და სიყვარულის, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში თავისი მონაწილეობისათვის პასუხისმგებლობის გრძნობის ჩანერგვის საქმეში.

11. რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა ფართოდ გააშუქონ ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის კომისიების მუშაობა, მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის საკითხები, პროპაგანდა გაუწიონ საუკეთესო ახალგაზრდული შრომითი კოლექტივების მიღწევებს.

№ 3 პარლამენტის ბიბლიოთეკა

12. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა დააწესონ შეუნელებელი კონტროლი ახალგაზრდობის შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის ორგანიზაციის, აქტიურ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში მისი ჩაბმის, მომუშავე ახალგაზრდობისათვის ცხოვრების, პროფესიული და კულტურული ზრდის, შემდგომი სწავლის სათანადო პირობების შექმნის საკითხებისადმი.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ე. შევარდნაძე.**

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 10 მაისი, № 350

## 42 რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების გარეგნული სახის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

(ამონაკრები)

რესპუბლიკის ქალაქებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების გარეგნული სახის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს, საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს:

— უზრუნველყონ დაგეგმვა და მშენებლობა დაგეგმარების გენერალური გეგმებისა და პროექტების სრული შესაბამისობით, აგრეთვე გაითვალისწინონ საცხოვრებელი სახლებით, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, კომუნალური მეურნეობის ობიექტებით ტერიტორიის კომპლექსური განაშენიანება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ დასრულებული არქიტექტურული ანსამბლების შექმნის აუცილებლობას;

— ყოველწლიურად გამოყონ სახსრები და ლიმიტები რესპუბლიკის ქალაქების განაშენიანების, მცირე არქიტექტურული ფორმების, კეთილმოწყობის, გამწვანებისა და განათების, პარკების, სკვერებისა და ბულვარების რეკონსტრუქციის, რაიონული ცენტრებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების პროექტების შესამუშავებლად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ დაბების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კარმიდამოების კომპლექსური ექსპერიმენტულ-საჩვენებელი მშენებლობის შემდგომ განვითარებას.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახმშენს:

— სისტემატურად შეამოწმოს ქალაქებისა და სოფლების დამტკიცებული გენერალური გეგმების მოთხოვნათა შესრულების მიმდინარეობა, უპირველესი მნიშვნელობა მიანიჭოს საცხოვრებელი რაიონებისა და მიკრორაიონების კომპლექსური განაშენიანების საკითხებს;

— 1977 წლის 1 ნოემბრამდე შეიმუშაოს და დაამტკიცოს საცხოვრებელი სახლების ფასადების მოპირკეთების ვარიანტების კატალოგი;

— 1978 წლის ბოლომდე შეიმუშაოს და დაამტკიცოს ქალაქებში საცხოვრებელი სახლების ინდივიდუალური პროექტების ვარიანტები მოცულობისა და პლასტიკის მხრივ მრავალფეროვანი კომპოზიციების შექმნის გათვალისწინებით;

— 1977 წლის 1 სექტემბრამდე შეიმუშაოს სოფლად საკარმიდამო ნაკვეთების ტიპობრივი ღობეების პროექტების ვარიანტები ადგილობრივი მასალების გამოყენებით ტრადიციებისა და რაიონების თავისებურებათა გათვალისწინებით და შესთავაზოს ისინი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს;

— დააჩქაროს სამუშაოები რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონული ცენტრების გენერალური გეგმების შემუშავების დასამთავრებლად;

— მიიღოს ზომები საცხოვრებელი სახლების ახალი, უფრო სრულყოფილი პროექტებით ინდუსტრიული საბინაო მშენებლობის დროულად უზრუნველყოფისათვის; უფრო ფართოდ მოაწყოს საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის კონკურსები.

3. სერიული საცხოვრებელი სახლების მრავალფეროვანი არქიტექტურული სახის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ შექმნას სახლთსაშენებელ კომბინატებთან არქიტექტორ-კონსტრუქტორთა ჯგუფები.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახმშენს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროსთან ერთად განიხილოს და დაამტკიცოს 1977 წლის 1 სექტემბრამდე საცხოვრებელი სახლების ფასადების, სადარბაზოების, ლოჯიების, აივნების, პირველი სართულების მოპირკეთების ვარიანტები, მცირე არქიტექტურული ფორმების პროექტები და ფართოდ დანერგოს ისინი დაპროექტების დროს და მშენებლობაში.

5. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულების ხარისხის საკითხებში მომთხოვნელობის გაძლიერების მიზნით სავალდებულოდ ჩაითვალოს სახელმწიფო მიმღებ კომისიებში პროექტების ავტორთა მონაწილეობა იმ ობიექტებზე, რომელთა ნუსხა ყოველწლიურად უნდა დაამტკიცონ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა.

ბიბლიოთეკა

6. მკაცრად მოეთხოვოთ საქართველოს კპ საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს:

— არ დაუშვან მშენებლობა დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების გარეშე, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ გზების, ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობას, გამწვანებასა და განათებას, არქიტექტურული ფორმების შექმნას, ძველი დროის ძეგლების დაცვა-შენარჩუნებას;

— 1977 წლის 1 აგვისტომდე შეიმუშაონ და დაამტკიცონ ქუჩების, მოედნების, სკვერების კეთილმოწყობისა და დასუფთავების, საკარმიდამო ნაკვეთებისა და ეზოების ჯეროვან წესრიგზე მოყვანის, ღობეების, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ფასადების, ძველი დროის ძეგლების რემონტის კონკრეტული ღონისძიებანი, ამასთან თითოეული ღონისძიების მიხედვით აღნიშნონ კონკრეტული ვადები და შემსრულებლები;

— სისტემატურად მიიზიდონ მოსახლეობის ფართო ფენები, მოსწავლეები, ახალგაზრდობა მაგისტრალების, ქუჩების, შინაკვარტალური მოედნების, სკოლების ტერიტორიების, ღობეებისა და სპორტული მოედნების კეთილმოწყობისა და გამწვანების, სოფლებისა და საკარმიდამო ნაკვეთების გარეგნული სახის გაუმჯობესების სამუშაოთა შესასრულებლად და ერთთვიურების ჩასატარებლად;

— არ დაუშვან ფასადების, ლოჯიების, აივნების თვითნებური გადაკეთება, მათი ფერის შეცვლა, ინდივიდუალური ღობეების მოწყობა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლების ტერიტორიაზე;

— გაშალონ შეჯიბრება სოფლების, შინაკვარტალური ტერიტორიების საუკეთესო კეთილმოწყობისათვის, ამასთან მიიზიდონ აღნიშნულ ღონისძიებათა განსახორციელებლად დეპუტატები, ახალგაზრდობა, მშრომელთა აქტივი;

— შეიმუშაონ საუკეთესო საკარმიდამო ნაკვეთის, კეთილმოწყობილი სკვერის, მიკრორაიონის გამოსავლენად ყოველწლიური კონკურსების პირობები.

7. დასახლებული პუნქტების კომპლექსური განაშენიანებისა და კეთილმოწყობის საქმეში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, კოლმეურნეობათა გამგეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექციების მუშაობის შემდგომი აქტივიზაციის მიზნით დაევალოთ საქართველოს სსრ სახმშენსა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეიმუშაონ 1977 წლის 1 აგვისტომდე და დაუგზავნონ ყველა რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს რესპუბლიკის საუკეთესო სოფლის დათვალიერება-კონკურსის პირობები, ხოლო 1978 წლიდან რეგულარულად ჩაატარონ იგი.

8. დაევალოთ საქართველოს სსრ სახმშენს, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს სისტემატურად აღმოუჩინონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს ქმედი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი მეთოდური და მატერიალურ-ტექნიკური დახმარება ქალაქებისა და სოფ-ლების გარეგნული სახისა და კეთილმოწყობის გაუმჯობესების საქმეში.

9. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ სახმშენს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს 1977 წლის 1 სექტემბრამდე განიხილონ რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების გამწვანებისათვის ნერგების წარმოების გადიდებისა და ასორტიმენტის საკითხი.

10. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ქალაქების, ქალქის ტიპის დაბებისა და დასახლებული პუნქტების მისასვლელ-გასასვლელების მოწყობასა და გაფორმებას, უზრუნველყოს რაიონული ცენტრების იმ ქუჩების ჯეროვან წესრიგზე მოყვანა, რომლებიც საავტომობილო გზების გაგრძელებას წარმოადგენენ.

11. დაევალოთ საქართველოს სსრ სახმშენსა და საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს 1977 წლის 1 ივლისამდე წარმოადგინონ კონკრეტული წინადადებანი რესპუბლიკაში ახალი მოსაპირკეთებელი მასალების წარმოების ორგანიზაციის შესახებ.

12. დაევალოთ საქართველოს სსრ სახმშენსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს გაითვალისწინონ საქართველოს სსრ 1978 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ქალაქების, რაიონების საარქიტექტურო სამმართველოთა, საარქიტექტურო-სამშენებლო კონტროლის ორგანოთა შტატების გადიდება და მათი შენახვისათვის საჭირო სახსრები დაწესებული სტრუქტურის შესაბამისად.

13. რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობის, არქიტექტურული და მხატვრული გაფორმების განსახორციელებლად რეკომენდაციების შემუშავებისა და სამუშაოთა კოორდინაციის მიზნით შეიქმნას კომისია ამხ. ი. ნ. ციციშვილის (მოწვევა), გ. ს. ვაშაკიძის, ი. ს. ჭანბას, გ. ი. ცინცაძის, ბ. ი. ინასარიძის, თ. ვ. ჩიქვაიძის, ი. ნ. ჩხენკელის, ნ. შ. ჯანბერიძის, გ. ვ ჩახავას, თ. ვ. თევზაძის შემადგენლობით, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მონაწილეობით.

კომისიამ წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რეკომენდაციები 1977 წლის 1 სექტემბრამდე.

14. შეიქმნას მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ქუჩების, მოედნების, სახლების ფასადების, ტერიტორიების კეთილმოწყობისა და გამწვანების მდგომარეობისადმი ზედამხედველობის სპეციალური ჯგუფები.

მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოების აღმასკომებმა სისტემატურად მოისმინონ აღნიშნული ჯგუფების ინფორმაციები.

15. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკური გაზეთებისა და

მუხ. 42—43



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალების რედაქციებს ფართოდ გააშუქონ რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების გარეგნული სახის გაუმჯობესების საკითხები.

ამ დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდეს პრესაში.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
| **ე. შევარდნაძე.** | **ზ. პატარიძე** |

ქ.თბილისი, 1977 წ. 10 მაისი, № 388

## 43 ცეკავშირისა და საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს სისტემიდან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მუშაკთა რიცხოვნობის, ხელფასის ფონდისა და ზღვრულ ასიგნებათა გადაცემის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 თებერვლის № 163 დადგენილების შესასრულებლად და იმასთან დაკავშირებით, რომ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციები უშუალოდ შეისყიდიან მოსახლეობისაგან ნამეტ ხილს (მათ შორის გარეულ ხილს), ბოსტნეულს, კარტოფილს, ბაღჩეულს, ციტრუსებსა და მემცენარეობის სხვა პროდუქტებს, აგრეთვე პირუტყვს, ფრინველს, რძეს, კვერცხსა და მატყლს, ამასთან მიაწოდებენ აღნიშნულ პროდუქციასა და საზოგადოებრივ მეურნეობათა პროდუქციას მომხმარებლებს, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობის წინადადება და გადაეცეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცეკავშირის სისტემიდან დამზადების კანტორებისა და პუნქტების, საფუთავი ქარხნების, პავილიონების, ტარის საწარმოებისა და ბაზების, ხილსაცავების, მაცივრების, სასაწყობო სადგომების, სასაწყობო მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების, შენახვისა და ტრანსპორტირებისათვის გათვალისწინებული სხვა ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებანი (მათ შორის მსუბუქი ავტომობილები მათი შენახვის ლიმიტებითურთ), ტარა, მასალები და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ფონდები.

გადაცემა მოხდეს აღნიშნული ობიექტების მუშაკთა მთელი საშტატო რიცხოვნობით (მეორეული და ტყავის ნედლეულის დამამზადებელ მუშაკთა გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და), ხელფასის ფონდითა და მათი შენახვის ხარჯებით (მმართველობის აპარა-ტის, ხელფასის ფონდისა და ზღვრულ ასიგნებათა გამოყოფით).

2. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო-სა და რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭოს წინადადება იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეიქმნას სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის რეს-პუბლიკური გაერთიანება — „საქსოფლდამზადება" სამეურნეო ანგარიშზე და დამოუკიდებელ ბალანსზე 60 საშტატო ერთეულით.

დამტკიცდეს გაერთიანების თანდართული სტრუქტურა.

აღნიშნული გაერთიანება შეიქმნას ცეკავშირის გამგეობის დამზადების მთავარი სამმართველოს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს სისტემის მმართველობის აპარატების რიცხოვნობის, ხელფასის თვიური ფონდისა და ზღვრულ ასიგნებათა ბაზაზე.

ჩაითვალოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლდამზადება" საქარ-თველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფად (მთავარი სამმართველოს უფლებებით).

3. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ორი დღის ვადაში წარმოუდგი-ნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლდამზადების" შტატები და შენახვის ხარჯები სრული კომპენსაციით.

4. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების) მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შექმნან იქ, სადაც ეს მიზანშეწონილია, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების საოლქო (ასსრ, ა. ო.) და რაიონული გაერთიანებანი ცეკავშირისა და საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს სისტემიდან გადაცემული მმარ-თველობის აპარატის რიცხოვნობის, ხელფასის ფონდისა და ზღვრულ ასიგ-ნებათა ბაზაზე.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სამეურ-ნეობათაშორისო საწარმოებს შევიდნენ რაიონულ გაერთიანებებში, ხოლო რაი-ონულ გაერთიანებებს — რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლდამზადებაში".

№ 3
ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ცეკავშირის გამგეობამ ძირითადი საშუალებანი გადასცეს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მიიღოს 1977 წლის 1 იანვრის, ხოლო სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი — მიმდინარე წლის 1 ივნისის მდგომარეობით.

მიღება-გადაცემა და შესაბამისი აქტების გაფორმება დამთავრდეს ერთი კვირის ვადაში.

ძირითად საშუალებათა და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ღირებულება ანაზღაურდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს გააუქმოს ახალქალაქის, გარდაბნის, ბოლნისის, დმანისის, ზუგდიდის, ყაზბეგის, თიანეთის, ხობისა და ცხაკაიას პირუტყვის დამზადების კანტორები, აგრეთვე ბაკურიანის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ხულოს, ყინჩაურის, შუახევის, ქედის, ადიგენის, ასპინძის, კასპის, კაჭრეთის, თეთრიწყაროს, ორჯონიკიძის, მაიაკოვსკის, შულავრის, ვანის, აბაშის, დრანდის, წებელდის, გალის, დუშეთის, ფასანაურის, ჟინვალის, წალკის, თეთრი წყაროს, ახმეტის, ყვარლის, ნაფარეულის, აგარის, წულუკიძის, ლენტეხის, ცაგერის, ალპანის, გუდაუთის, ოჩამჩირის, ტყვარჩელის, ლაგოდეხის, ლენინგორის, ჯავის, ზნაურის, ღრომის, ლარგვისის, არხილოსკალოს, საჩხერის, ამბროლაურის, ონის, მცხეთის, ასურეთისა და წალკის (კუშჩის) პირუტყვის დამზადების პუნქტები და გადასცეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზემოაღნიშნული კანტორებისა და პუნქტების მთელი საშტატო რიცხოვნობა, ხელფასის ფონდი და მისი შენახვის ხარჯები (მმართველობის აპარატის რიცხოვნობის, შესაბამისი ხელფასის ფონდისა და ზღვრულ ასიგნებათა გამოყოფით), მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სატრანსპორტო საშუალებანი (მათ შორის მსუბუქი ავტომობილები მათი შენახვის ლიმიტებითურთ), სასაწყობო მეურნეობა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ფონდები.

ძირითად საშუალებათა მიღება-გადაცემა მოხდეს 1977 წლის 1 იანვრის, ხოლო სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისა — მიმდინარე წლის 1 ივნისის მდგომარეობით.

მიღება-გადაცემა და შესაბამისი აქტების გაფორმება დამთავრდეს ერთი კვირის ვადაში.

7. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ერთი კვირის ვადაში წარუდგინოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსთან და ცეკავშირის გამგეობასთან შეთანხმებული კრებსითი აქტები მმართველობის აპარატის რიცხოვნობის, ხელფასის თვიური ფონდისა და მისი შენახვის ზღვრულ ასიგნებათა მიღება-გადაცემის შესახებ.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეიტანოს შესაბამისი ცვლილებანი აღნიშნული სამინისტროებისა და უწყებების ზღვრულ ასიგნებებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. რესპუბლიკაში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის დამზადების სისტემის სრულყოფის დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის გათვალისწინებით საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა განსაკუთრებული კონტროლი გაუწიონ შესაბამის მატერიალურ ფასეულობათა, ფონდებისა და შტატების მიღება-გადაცემას ადგილებზე, უზრუნველყონ ამ ღონისძიებათა განხორციელება მაღალ ორგანიზაციულ დონეზე და უმოკლეს ვადებში, აგრეთვე დამზადების ორგანიზაციების შეთანხმებული მუშაობა, ამასთან არ დაუშვან დროებითი შეფერხებაც კი სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადებაში.

9. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ მოაწყოს რესპუბლიკის შორეულ რაიონებში პირუტყვის გამოყვანა უშუალოდ კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან გრაფიკის შესაბამისად, ხოლო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსთან ერთად 10 დღის ვადაში განსაზღვროს ეს რაიონები.

15722

10. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს და 10 დღის ვადაში დაუგზავნოს საქვეუწყებო ორგანიზაციებს მითითებანი რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლდამზადების" და მისი საოლქო და რაიონული გაერთიანებების აპარატის შენახვის წესის შესახებ.

11. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეიტანონ სახალხო-სამეურნეო გეგმასა და ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებანი, ბიუჯეტთან ურთიერთობის შეუცვლელად.

12. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ერთი კვირის ვადაში შეიმუშაოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული დებულებანი „საქსოფლდამზადების" გაერთიანებათა შესახებ.

13. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და რჩევა მიეცეს რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭოს შესასყიდი პროდუქციის მოცულობის გათვალისწინებით შეიმუშაონ ტიპობრივი შტატები კოლმეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოებისათვის, ხოლო სახელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიფო მეურნეობებში შემოიღონ შესაბამისი შტატები მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტების შესასყიდად და ერთი კვირის ვადაში დაუგზავნონ ეს შტატები რაიონებსა და მეურნეობებს.

14. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 თებერვლის № 163 დადგენილებით განსაზღვრული სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და გაგზავნის წესი გავრცელდეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, რესპუბლიკური გაერთიანება „საქბოსტანჯიშთესლის" საბჭოთა მეურნეობებზე, სახელმწიფო მეურნეობებსა და სხვა საწარმოებზე და რესპუბლიკური და საკავშირო დაქვემდებარების სხვა საბჭოთა მეურნეობებსა და სახელმწიფო მეურნეობებზე.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გადასცეს ამ საბჭოთა მეურნეობებსა და სახელმწიფო მეურნეობებს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შტატები და ხელფასის ფონდები სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების მოცულობის პროპორციულად საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობისაგან მიღებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებიდან, შტატებიდან და ხელფასის ფონდიდან.

15. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლდამზადების" დებულების პროექტში გაითვალისწინოს მე-14 პუნქტში აღნიშნული საბჭოთა მეურნეობებისათვის განრიგების, ტარის, სატრანსპორტო საშუალებათა გამოყოფისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებასთან და გაგზავნასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადაჭრის პირობები.

16. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 20 მაისის № 366 და 1977 წლის 1 ივნისის № 393 დადგენილებანი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ე. შევარდნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 7 ივნისი, № 457.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977
წლის 7 ივნისის № 457 დადგენილებით

# Ს Ტ Რ Უ Ქ Ტ Უ Რ Ა

**სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლდამზადებისა“**

1. ხელმძღვანელობა:
   სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე —
   — გაერთიანების თავმჯდომარე;
   გაერთიანების თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
   გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე;
   გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე;
2. მემცენარეობის პროდუქტების დამზადების განყოფილება.
3. მეცხოველეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების განყოფილება.
4. რეალიზაციის განყოფილება.
5. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილება.
6. საგეგმო განყოფილება.
7. საფინანსო განყოფილება.
8. საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილება.
9. იურიდიული განყოფილება.
10. კადრების განყოფილება.
11. ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება.

---

საქ. სსრ
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 44 აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წინადადება გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველი და ოცდაათ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში უცვლელი პრეზიდენტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, სოციალისტური შრომის გმირის, აკადემიკოს ნიკოლოზ ივანეს ძე მუსხელიშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ. ამასთან დაკავშირებით:

1. მიენიჭოს აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის სახელი:

ა) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრს;

ბ) ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს;

გ) დაბა მანგლისის საშუალო სკოლასა და ქალაქ თბილისის 55-ე საშუალო სკოლას.

2. დაწესდეს:

ა) ერთი პრემია (2.500 მანეთი), რომელიც სამ წელიწადში ერთხელ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპრემიო ფონდიდან მიენიჭოთ მათემატიკის, მექანიკისა და ფიზიკის დარგში საუკეთესო ნაშრომებს; ორი სტიპენდია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სასტიპენდიო ფონდიდან — მათემატიკისა და ფიზიკის დარგების ასპირანტებისათვის;

ბ) ორი სტიპენდია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასტიპენდიო ფონდიდან — მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტებისათვის და ერთი სტიპენდია საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასტიპენდიო ფონდიდან — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფრიადოსანი სტუდენტებისათვის.

3. შეიქმნას თბილისის ა. მ. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის კაბინეტი.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს:

ა) გამოსცეს აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის მონოგრაფიები ქართულ ენაზე და ბიობიბლიოგრაფიული ცნობარი — რუსულ ენაზე;

ბ) დადგას აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის საფლავზე განსვენებულის ძეგლი.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს შექმნას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შეკვეთით დოკუმენტური ფილმი ნ. ი. მუსხელიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

6. აიგოს ქალაქ თბილისში აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის ძეგლი.

დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) 1977 წლის 1 სექტემბრამდე განსაზღვროს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად ადგილი ნ. ი. მუსხელიშვილის ძეგლის დასადგმელად, გამოყოს ლიმიტები ძეგლის ასაგებად და უზრუნველყოს მისი დაფინანსება;

ბ) 1977 წლის 10 ივლისამდე გაუკეთოს მემორიალური დაფა ჭავჭავაძის პროსპექტის № 19 სახლს, რომელშიც ცხოვრობდა აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი.

7. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და საქართველოს მხატვართა კავშირმა უზრუნველყონ ძეგლის შესრულების მაღალი იდეურ-მხატვრული დონე.

8. ამ დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ე. შევარდნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**ზ. პატარიძე**

ქ. თბილისი, 1977 წ. 27 ივნისი, № 472

## 45 საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის 3 მარტის № 252 დადგენილება მე-9 პუნქტის ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) ზოგადი დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 14 აპრილის № 291 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სს რესპუბლიკაში სოფლის ელექტრიფიკაციის განვითარების შესახებ“ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის 3 მარტის № 252 დადგენილების მე-9 პუნქტი საკოლმეურნეობათაშორისო ელექტროდანადგარების ნაწილში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**გ. კოლბინი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 28 ივნისი, № 516

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

## 46 დარგობრივ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული სახელმწიფო ვაჭრობის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების დასაჯილდოებლად დამატებითი გარდამავალი წითელი დროშებისა და ფულადი პრემიების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ნება დაერთოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს დამატებით დააწესონ:

— ერთი გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საუკეთესო დაყენებისათვის აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების, თბილისისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომების ვაჭრობის სამმართველოების სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის იმ ვარაუდით, რომ მისი შედეგები შეჯამდეს ნახევარი წლის მიხედვით;

— ერთი გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია, სამი მეორე და ოთხი მესამე ფულადი პრემია სავაჭრო ორგანიზაციების, ტრესტების, მუშათა მომარაგების სამმართველოების, მუშათა მომარაგების განყოფილებების, საბითუმო კანტორებისა და ბაზების, საკოლმეურნეო ბაზრების, სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების, საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის, იმ ვარაუდით, რომ მისი შედეგები შეჯამდეს კვარტალების მიხედვით.

| საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე | საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე |
|---|---|
| **ზ. პატარიძე.** | **თ. მოსაშვილი.** |

ქ. თბილისი, 1977 წლის 10 ივნისი, № 427

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 47 ქ. სამტრედიის ახალი საზღვრების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ სახმშენისა და სამტრედიის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წარმოდგენილი ქ. სამტრედიის საქალაქო საზღვრების პროექტი, დამუშავებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 5 თებერვლის № 91 დადგენილებით დამტკიცებული გენერალური გეგმის საფუძველზე, დანართის თანახმად.

ახალ საზღვრებში ქ. სამტრედიის ტერიტორიის საერთო ფართობი განისაზღვროს 4080 ჰექტარით.

2. აეკრძალოთ ყველა მიწათმოსარგებლეს ყოველგვარი სახლის, კაპიტალურ ნაგებობათა მშენებლობა და მრავალწლოვანი კულტურების გაშენება ქალაქის ახალი საზღვრების ფარგლებში სამტრედიის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან შეუთანხმებლად.

3. დაევალოს სამტრედიის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს გაითვალისწინოს 1977-1979 წლების საპროექტო სამუშაოთა გეგმაში შესაბამისი ლიმიტები ქ. სამტრედიის მიწათმოწყობის პროექტის შესამუშავებლად.

4. დაწესდეს, რომ ქალაქის ფარგლებში მოქცეული საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები რჩება მათ მოსარგებლეთა გამგებლობაში და მათი გამოყოფა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებით, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა მოხდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ეთხოვოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაამტკიცოს ქ. სამტრედიის ახალი საზღვრები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წლის 6 მაისი, № 309

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 6 მაისის № 309
დადგენილების დანართი

## ქ. სამტრედიის საზღვრების აღწერილობა

საქალაქო საზღვრის ხაზი იწყება № 1 წერტილში, რომელიც მდებარეობს მდ. რიონისა და მდ. ჩერეხის შესართავთან. საზღვარი მიჰყვება მდ. ჩერეხს ჩრდილოეთის მიმართულებით რკინიგზის ხაზამდე, ჰკვეთს მას და მიჰყვება დასახლების საკარმიდამო ნაკვეთების აღმოსავლეთ მიჯნას № 2 წერტილამდე, რომელიც დაცილებულია რკინიგზიდან 350 მეტრით, შემდეგ უხვევს დასავლეთისაკენ, სოფ. ეწერის ცენტრისაკენ მიმავალ გზამდე (წერტილი № 3), შემდეგ უხვევს ჩრდილო-დასავლეთისაკენ, ძველი სამტრედიის ჩაის პლანტაციებში მიმავალი გზის გასწვრივ (წერტილი № 4) მდებარე სოფლების ეწერისა და მელაურის საზღვრამდე, შემდეგ მიემართება ჩრდილოეთისაკენ, ამავე საზღვრის გასწვრივ (წერტილი № 5) მდებარე ეწერი — ხელაურის გზამდე.

აქედან მიჰყვება აღნიშნულ გზას დასავლეთის მიმართულებით მიწაბრგირას გზაზე მდებარე № 6 წერტილამდე, საიდანაც უხვევს სამხრეთით, გზის გასწვრივ 100 მეტრზე (წერტილი № 7), საიდანაც უხვევს ისევ დასავლეთისაკენ, ნინოშვილის უბნისაკენ მიმავალი გზის გასწვრივ (წერტილი № 8) სამტრედია-წულუკიძის გზამდე (წერტილი № 9). ამ წერტილიდან უხვევს წულუკიძის მიმართულებით, მიჰყვება გზას 100 მეტრ მანძილზე (წერტილი № 10), საიდანაც კვლავ უხვევს დასავლეთისაკენ და მიჰყვება კვანტალიანების უბანში მიმავალ გზას 800 მეტრ მანძილზე და № 11 წერტილში ეშვება სამხრეთისაკენ, ილორის მეფრინველეობის ფაბრიკის ტერიტორიის ჩრდილოეთ საზღვარზე მდებარე № 12 წერტილამდე, უხვევს ისევ დასავლეთისაკენ და მიჰყვება ხსენებული ფაბრიკის ტერიტორიის საზღვარს მდინარე ცხენისწყლამდე (წერტილი № 13) და მიჰყვება სამხრეთისაკენ მის მარცხენა ნაპირს მდ. რიონის შესართავამდე (წერტილი № 14). შესართავიდან ქალაქის საზღვარი უხვევს აღმოსავლეთით და მიჰყვება მდ. რიონის მარჯვენა ნაპირს № 15 წერტილამდე, რომელიც მდებარეობს მდ. რიონის ნაპირზე და დაშორებულია ამ მდინარის საავტომობილო ხიდიდან 200 მეტრით. № 15 წერტილიდან ქალაქის საზღვარი უხვევს ჩრდილოეთით და მიჰყვება პარალელურად სამტრედია-ბათუმის საავტომობილო გზას № 16 წერტილამდე (მანძილი № 15 წერტილიდან № 16 წერტილამდე შეადგენს 2900 მ), № 16 წერტილიდან საზღვარი მოუხვევს აღმოსავლეთით და მიდის № 17 წერტილამდე, რომელიც მდებარეობს მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე (მანძილი № 16 წერტილიდან № 17 წერტილამდე შეადგენს 2300 მ), № 17 წერტილიდან საზღვარი გადადის რიონის მარჯვენა ნაპირზე და მიჰყვება № 1 საწყის წერტილამდე.

ზემოაღნიშნულ საზღვრებში ქალაქის ტერიტორია შეადგენს 4080 ჰექტარს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 48 ზოგიერთი სახეობის ბოსტნეულისა და ბაღჩეულის შესასყიდი ფასების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ, მოყოლებული 1977 წლის მოსავლიდან, ზოგიერთი სახეობის ბოსტნეულისა და ბაღჩეულის ზღვრული შესასყიდი და საცალო ფასები შემდეგი ოდენობით:

(მანეთობით 1 ტონაში)

| | შესასყიდი ფასი | საცალო ფასი |
|---|---|---|
| ბადრიჯანი (მთელ სეზონში) | 250 | 300 |
| გოგრა (მთელ სეზონში) | 200 | 250 |

2. უფლება მიეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით შეიტანოს ცვლილებანი ბადრიჯნისა და გოგრის ზღვრულ შესასყიდ და საცალო ფასებში მოთხოვნისა და მიწოდების გათვალისწინებით.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 11 მაისის № 348 დადგენილებით დამტკიცებული ბადრიჯნისა და გოგრის შესასყიდი და საცალო ფასები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 10 მაისი, № 322

## 49 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გორის ექსპერიმენტული მეურნეობა-ტექნიკუმის შექმნის შესახებ

რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის საშუალო რგოლის სპეციალისტთა მომზადების ხარისხის შემდგომი ამაღლებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფისა და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და გორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის წინადადება,

რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო-თან, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინის-ტროსთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის შრომითი რესურსების და სახელმწიფო კომიტეტთან, და საქართველოს სსრ სოფლის მე-ურნეობის სამინისტროს მევენახეობის, მეხილეობისა და მეღვინეობის სამე-ცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გორის ექსპერიმენტული მეურნეობისა და გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ბაზაზე შეიქმნას გორის ექსპერიმენ-ტული მეურნეობა-ტექნიკუმი.

2. გორის ექსპერიმენტული მეურნეობა-ტექნიკუმი შეიქმნას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის 1977 წელს დამტკიცებული სამ-მართველო აპარატის რიცხოვნობისა და შესანახი ხარჯების ზღვრულ ასიგნე-ბათა ფარგლებში ბიუჯეტთან ურთიერთობის შეუცვლელად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეი-მუშაოს გორის ექსპერიმენტული მეურნეობა-ტექნიკუმის დებულება და შე-საბამის ორგანოებთან შეთანხმების შემდეგ წარმოუდგინოს იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

დებულების მიღებამდე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინის-ტრომ საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმისა და ექსპერიმენტული მეურნეობის მოქმედ დებულებათა შესაბამისად შეიმუშაოს და დაამტკიცოს გორის ექსპე-რიმენტული მეურნეობა-ტექნიკუმის დროებითი დებულება.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და გორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება გორის ექსპერიმენტული მე-ურნეობა-ტექნიკუმის სასწავლო-მატერიალური ბაზის გასაფართოებლად და ინტენსიური ბაღების გასაშენებლად მიწის გამოყოფის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 10 მაისი, № 324

## 50 კიტრის საცალო ფასის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„სახელმწიფოს მიერ კოლმეურნეობებისაგან, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობებისაგან შესყიდული ხილის, ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურების შესასყიდი და საცალო ფასების შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 11 მაისის № 348 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად დამტკიცდეს 1977 წლის 17 მაისიდან 1 ივნისამდე ადგილობრივი ჯიშების კიტრის საცალო ფასი: კილოგრამი 1 მანეთი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. ქიქნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 16 მაისი, № 339

## 51 მოსახლეობისათვის კომბინირებული საკვების მიყიდვის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მოსახლეობისათვის კომბინირებული საკვების განაწილებასა და მიყიდვაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი. რაიონებისა და ორგანიზაციების მიხედვით ამ საკვების ფონდებს ანაწილებენ ცეკავშირი და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო ისე, რომ არ ითვალისწინებენ სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის მოცულობას. ხშირად კომბინირებულ საკვებს იძენენ ისეთი პირები, რომლებიც არც ერთი სახეობის პროდუქტებს არ აწარმოებენ და არ აბარებენ სახელმწიფოს, ამასთან სათანადო კონტროლი არ ეწევა კომბინირებული საკვების რეალიზაციის სისწორეს.

იმისათვის, რომ გაიზარდოს მოსახლეობის დაინტერესება სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვით და ლიკვიდირებულ იქნეს მომხმარებლებისათვის კომბინირებული საკვების მიწოდებისას დაშვებული დარღვევები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისა და მისგან ნამეტი პროდუქციის შესყიდვის მოწესრიგების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური (მთავრობის) კომისიის წინადადება, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროსთან, ცეკავშირთან, და დაწესდეს მოსახლეობის მიერ სახელმწიფოსათვის ხორცისა და მატყლის ჩაბარებისას კომბინირებული საკვების მიყიდვის ნორმები შემდეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდენობით: ყოველი კილოგრამი (ცოცხალი წონა) მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრისა და თხის ხორცის ჩაბარებისათვის გაიცეს 0,5 კილოგრამი, ღორის ხორცისათვის — ერთი კილოგრამი და მატყლისათვის — ერთი კილოგრამი კომბინირებული საკვები.

ეს წესი გავრცელდეს 1977 წლის 1 აპრილიდან ჩაბარებულ პროდუქტებზე, ამასთან კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სამეურნეობათაშორისო საწარმოებს (ორგანიზაციებს), სასოფლო (სადაბო) საბჭოებს შეუძლიათ ნაწილი კომბინირებული საკვებისა წინასწარ მიჰყიდონ იმ პირებს, რომლებმაც იკისრეს სახელმწიფოსათვის ხორცისა და მატყლის მიყიდვა.

2. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და ცეკავშირის მიერ წარმოდგენილი წინადადება რაიონებს შორის კომბინირებული საკვების განაწილების შესახებ; დაევალოს ცეკავშირის გამგეობას უზრუნველყოს რაიონებში საკვების შეზიდვა დანართის თანახმად.

3. დაევალოთ შრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს მათი რაიონებისათვის გამოყოფილი და მოსახლეობისათვის მისაყიდი კომბინირებული საკვების ფონდი გაუნაწილონ სასოფლო (სადაბო) საბჭოებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სამეურნეობათაშორისო საწარმოებს (ორგანიზაციებს) მოსახლეობისაგან სახელმწიფოსათვის მისაყიდი პროდუქციის მოცულობის გათვალისწინებით და დააწესონ კონტროლი ამ ფონდის რეალიზაციის სისწორისადმი.

4. ცეკავშირმა და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა მოსახლეობისათვის კომბინირებული საკვების მიყიდვა აწარმოონ დაწესებული ნორმების მიხედვით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) განაწილებით, რომელიც შეთანხმებული იქნება შრომელთა დეპუტატების სასოფლო (სადაბო) საბჭოებთან.

5. დაევალოს საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს გადასცეს ცეკავშირს დამატებით გამოყოფილი 7 ათასი ტონა კომბინირებული საკვების ფონდი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 17 მაისი, № 340.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 52 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 23 მარტის № 231 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

— „ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 23 მარტის № 231 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 15 თებერვლის № 161 დადგენილება „საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს თბილისის სალტესარემონტო სახელოსნოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ", მე-3 პუნქტის მეორე აბზაცის გარდა;

—საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 3 ოქტომბრის № 609 დადგენილება „გაცვეთილი საბურავების გადამუშავების შედეგად რეგენერატის, სამშენებლო და ტექნიკური მასალების წარმოების გადიდების შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 20 მაისი, № 364

## 53 ბოლნისის ტუფის ფილების საბითუმო ფასის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს წინადადება, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტთან, და 1977 წლის 1 ივლისიდან დაწესდეს ბოლნისის ტუფის ფილების საბითუმო ფასი შემდეგი ოდენობით: ერთი კვადრატული მეტრი — 30 მანეთი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 23 მაისი, № 367.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 54 „საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მართვის სქემის შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 18 მარტის № 201 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მართვის სქემის შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 18 მარტის № 201 დადგენილების მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის მეორე აბზაცის შესაცვლელად დაევალოს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს შეიმუშაოს და დაამტკიცოს აღნიშნული დადგენილების № 4 დანართში ჩამოთვლილ რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა დებულებანი და აგრარულ-სამრეწველო გაერთიანების დროებითი დებულება, ამასთან წინასწარ შეუთანხმოს ისინი საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. ქიქნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 26 მაისი, № 379.

## 55 რესპუბლიკის ავტოსარემონტო და სალტესარემონტო საწარმოთა სპეციალიზაციის შესახებ

რესპუბლიკის ავტოსარემონტო საწარმოების სიმძლავრეთა უფრო ეფექტიანად გამოყენების, რემონტის ხარისხის გაუმჯობესების, ამ დარგში თანამედროვე ტექნოლოგიურ პროცესთა და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართოდ დანერგვის მიზნით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 26 მარტის № 148 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ:

ა) მოყოლებული 1978 წლიდან, დაასპეციალოს:

— თბილისის № 1 ავტოსარემონტო ქარხანა — „ზილ" მარკის და მის ბაზაზე ყველა მოდიფიკაციის ავტომობილების, მათი ძრავებისა და აგრეგატების კაპიტალურ რემონტზე, აგრეთვე „ლაზ" და „ლიაზ" მარკების ავტობუსების კაპიტალურ რემონტზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ცხინვალის ავტობუსსარემონტო ქარხანა — „პაზ“ მარკის ყველა მოდელისა და მოდიფიკაციის ავტობუსების და მათი აგრეგატების კაპიტალურ რემონტზე;

ბ) საგარეჯოსა და გუდაუთის ქარხნებში განახორციელოს გაცვეთილი ავტოსაბურავების აღდგენა ახალი პროტექტორის დადების მეთოდით, ხოლო საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა დაუკავშიროს სსრ კავშირის ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროს მახარაძის სალტესარემონტო ქარხნის განვითარების პერსპექტივას;

გ) უზრუნველყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 15 იანვრის განკარგულების შესრულება დიზელის ავტომობილების აგრეგატების სარემონტო ქარხნის მშენებლობის შესახებ, ამასთან გაითვალისწინოს ასეთი ქარხნის მშენებლობა მეათე ხუთწლედში ქალაქ სამტრედიაში;

დ) აღძრას დადგენილი წესით შუამდგომლობა „გაზ-24“ მარკის მსუბუქი ავტომობილების სარემონტო ქარხნის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ ქალაქ თბილისის ცენტრალური ნაწილის მომავალი რეკონსტრუქციის გათვალისწინებით მისი განვითარების გენერალური სქემის შესაბამისად, რომლითაც ნავარაუდევია მთელი რიგი სამრეწველო საწარმოების, მათ შორის სანაპიროზე მდებარე № 2 ავტოსარემონტო ქარხნის, გადატანა ქალაქის ფარგლებს გარეთ.

2. ინსტიტუტმა „საქსახპროექტმა“ შეასრულოს 1977 წელს თბილისის № 1 ავტოსარემონტო ქარხნის შეკვეთით საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საპროექტო-საძიებო სამუშაოთა საერთო ლიმიტის ანგარიშში ამ ქარხნის საამქროთა რეკონსტრუქციის ტექნიკურ-სამუშაო პროექტის შესადგენად.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“:

ა) მოყოლებული 1978 წლიდან. დაასპეციალოს:

— ქარელის ავტოსარემონტო ქარხანა — „გაზ“ მარკის და მის ბაზაზე ყველა მოდიფიკაციის სატვირთო ავტომობილების, აგრეთვე მათი ძრავებისა და აგრეგატების კაპიტალურ რემონტზე;

— ბოლნისის ქარხანა — „მოსკვიჩის“ ტიპის მსუბუქი ავტომობილების რემონტზე;

ბ) მიიღოს ზომები 1977-1978 წლებში საჭირო კვალიფიკაციური მუშებისა და საშუალო ტექნიკური პერსონალის მოსამზადებლად, რათა უზრუნველყოს აღნიშნული ქარხნები სათანადო პროფილების სპეციალისტებით.

4. დაევალოთ რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, მოყოლებული 1978 წლიდან. შეწყვიტონ საქვეუწყებო ავტოსარემონტო საწარმოებში იმ მოდელების მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების კაპიტალური რემონტის წარმოება, რომელთა რემონტს სპეციალიზებული ავტოსარემონტო ქარხნები ახორციელებენ.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს ავტოსარემონტო საწარმოთა სპეციალიზაციის განხორციელების კვალობაზე დაგეგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის ავტომობილების, აგრეთვე მათი აგრეგატების კაპიტალური რემონტი ყველა სამინისტროსა და უწყების, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული გაერთიანებისა და საწარმოსათვის, მიუხედავად უწყებრივი დაქვემდებარებისა, მათი განაცხადების საფუძველზე.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ გაითვალისწინონ 1978 წლის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა გეგმაში „გაზ-24" მარკის მსუბუქი ავტომობილების სარემონტო ქარხნის (სიმძლავრე — 1500 ავტომობილი და 2500 ძრავა წელიწადში) მშენებლობის დაპროექტება იმ ვარაუდით, რომ მშენებლობა დაიწყოს 1979 წელს.

7. საქართველოს სსრ სახმშენმა და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებული წინადადება „გაზ-24" მარკის მსუბუქი ავტომობილების სარემონტო ქარხნის ასაგები ადგილისა და სამშენებლო მოედნის შერჩევის შესახებ.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ ასახონ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" საწარმოო გეგმებსა და სხვა მაჩვენებლებში მეათე ხუთწლედისათვის, მოყოლებული 1978 წლიდან, ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 3 ივნისი, № 405

## 56 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

ტრესტების „ტყიბულქვანახშირისა" და „ტყვარჩელქვანახშირის" ლიკვიდაციასთან და საქართველოს ქვანახშირის მოპოვების საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის" შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებია იმ მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით, შემდეგი შინაარსის პუნქტი:

„152. საქართველოს ქვანახშირის მოპოვების საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირი“.

2. ამოღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებული საწარმოებისა და დაწესებულებების სიიდან ლიკვიდირებული ტრესტები „ტყიბულქვანახშირი“ და „ტყვარჩელქვანახშირი“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 3 ივნისი, № 411

## 57 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 16 აპრილის № 297 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„ხელფასისა და პრემირების სახსრების ხარჯვისადმი კონტროლის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 16 აპრილის № 297 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 25 აპრილის № 515 დადგენილება „მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის გაუმჯობესების ზომების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 29 სექტემბრის № 3688 დადგენილების გამოსვლასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულებების გაუქმებისა და შეცვლის თაობაზე“.

2. მე-7 პუნქტის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტები საქართველოს სსრ მინის-ტრთა საბჭოს 1953 წლის 28 ივლისის № 996 დადგენილებისა „თევზჭერის კოლმეურნეობების მიერ თევზის მოპოვების გადიდების ღონისძიებათა შე-სახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 23 აპრილის № 369 დადგენილება „1954 წლის ნავიგაციაში ხე-ტყის დაცურების განხორციელების შესახებ“, გარდა მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 10 ივნისი, № 428

## 58 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 2 აპრილის № 256 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„კინომრეწველობის, პოლიგრაფიული, ადგილობრივი და სამედიცინო მრეწველობის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვე-ტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა სა-ბჭოს 1977 წლის 2 აპრილის № 256 დადგენილების შესაბამისად საქართვე-ლოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 28 ოქტომბრის № 1214 დადგენილება „საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებში თუჯის ჭურჭლისა და საღუმელე სხმუ-ლის წარმოების გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 4 მარტის № 243 დადგენილება „საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო-სა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებში საღუმელე თუჯის სხმულის წარ-მოების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 10 ივნისი, № 429

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 59 ბ. დ. ჟღენტის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ბ. დ. ჟღენტის ხსოვნის უკვდავსაყოფად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ეწოდოს ბ. დ. ჟღენტის სახელი სკოლას ქვაციხეში (ჭიათურის რაიონი).

2. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს, სადაც ცხოვრობდა ბ. დ. ჟღენტი, მიაკუთვნოს მისი სახელი თბილისის ერთ-ერთ ქუჩას და დადგას ბიუსტი ბ. დ. ჟღენტის საფლავზე.

3. დაწესდეს ბ. დ. ჟღენტის სახელობის ერთი სტიპენდია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე უნივერსიტეტისათვის გამოყოფილი სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა გამოსცეს ბ. დ. ჟღენტის რჩეული ნაწარმოებები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წლის 14 ივნისი, № 441

## 60 საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორების მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

„სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ" საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 27 დეკემბრის ბრძანებულების მე-3 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინსტრუქცია საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორების მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების წესის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაევალოთ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილებას მოაწყონ ინსტრუქციის შესწავლა სახელმწიფო სანოტარო კანტორების მუშაკთა მიერ და უზრუნველყონ მისი სწორი გამოყენება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 23 ივნისი, № 455

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 23 ივნისის № 455
დადგენილებით

## ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

### საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორების მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების წესის შესახებ

## კ ა რ ი I

### ზოგადი დებულებანი

1. „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ" საქართველოს სსრ კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად სახელმწიფო სანოტარო კანტორები ასრულებენ შემდეგ სანოტარო მოქმედებებს:

1) ადასტურებენ გარიგებებს (ხელშეკრულებებს, ანდერძებს, რწმუნებულებებს და სხვ.);

2) იღებენ ზომებს სამკვიდრო ქონების დასაცავად;

3) გასცემენ მემკვიდრეობის უფლების მოწმობებს;

4) გასცემენ მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობებს;

5) ყადაღას ადებენ საცხოვრებელი სახლის გასხვისებას;

6) ამოწმებენ დოკუმენტების ასლებისა და ამონაწერების სისწორეს დედნებთან;

7) ამოწმებენ დოკუმენტებზე ხელმოწერის ნამდვილობას;

8) ამოწმებენ დოკუმენტის ერთი ენიდან მეორეზე თარგმანის სისწორეს;

9) ადასტურებენ მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტს;

10) ადასტურებენ მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტს;

11) ადასტურებენ მოქალაქის იგივეობას ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან;

12) ადასტურებენ დოკუმენტების წარდგენის დროს;

13) გადასცემენ მოქალაქეთა, სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა განცხადებებს სხვა მოქალაქეებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს;

14) დეპოზიტში იღებენ ფულსა და ფასიან ქაღალდებს;

15) ასრულებენ სააღსრულებო წარწერებს;

16) ასრულებენ თამასუქების პროტესტებს;

17) გასანაღდებლად წარადგენენ ჩეკებს და ადასტურებენ ჩეკის გაუნაღდებლობას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

18) შესანახად იღებენ დოკუმენტებს;
19) უზრუნველყოფენ მტკიცებულებებს;
20) ასრულებენ საზღვაო პროტესტებს.

2. სანოტარო მოქმედებას სახელმწიფო სანოტარო კანტორებში ასრულებენ სახელმწიფო ნოტარიუსები (უფროსი სახელმწიფო ნოტარიუსები, უფროსი სახელმწიფო ნოტარიუსების მოადგილეები, სახელმწიფო ნოტარიუსები).

სახელმწიფო სანოტარო კანტორის კონსულტანტს შეუძლია შეასრულოს სანოტარო მოქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილების ბრძანებით მას დაკისრებული აქვს სახელმწიფო ნოტარიუსის მოვალეობათა შესრულება.

3. „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ" საქართველოს სსრ კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად სახელმწიფო ნოტარიუსები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროების ბრძანებებითა და ინსტრუქციებით, აგრეთვე აქტებით, რომლებსაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები და სახელმწიფო მმართველობის ორგანოები გამოსცემენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, და ამ ინსტრუქციით.

სახელმწიფო ნოტარიუსები სანოტარო მოქმედების შესრულებისას კანონით დადგენილ შემთხვევებში იყენებენ აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობას.

4. სახელმწიფო ნოტარიუსები მოვალენი არიან დაიცვან შესრულებული სანოტარო მოქმედების საიდუმლოება.

ცნობები შესრულებული სანოტარო მოქმედების შესახებ და დოკუმენტები ეძლევათ მხოლოდ იმ მოქალაქეებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომელთა დავალებით ან რომელთა მიმართაც იყო შესრულებული სანოტარო მოქმედება.

სასამართლოს, პროკურატურის, გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოების მოთხოვნით ცნობები შესრულებული სანოტარო მოქმედების შესახებ და დოკუმენტები გაიცემა მათ წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის ან სამოქალაქო სამართლის საქმეებთან დაკავშირებით.

ცნობებსა და დოკუმენტებს სახელმწიფო ნოტარიუსები გასცემენ მხოლოდ აღნიშნული ორგანოების წერილობითი მოთხოვნით.

ცნობები ანდერძის შესახებ (ანდერძის არსებობის, მისი შინაარსის და ა. შ. შესახებ) გაიცემა მხოლოდ მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ, გარდაცვალების მოწმობის წარდგენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანოტარო მოქმედების საიდუმლოების დაცვის წესები ვრცელდება აგრეთვე იმ პირებზე, რომლებმაც შესრულებული სანოტარო მოქმედების შესახებ შეიტყვეს თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

სახელმწიფო ნოტარიუსებს, აგრეთვე პირებს, რომლებმაც შესრულებული სანოტარო მოქმედების შესახებ შეიტყვეს თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, შესრულებული სანოტარო მოქმედების საიდუმლოების დარღვევისათვის ეკისრებათ პასუხისმგებლობა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. სახელმწიფო ნოტარიუსები მოვალენი არიან ხელი შეუწყონ მოქალაქეებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მათი უფლებების განხორციელებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის საქმეში, განუმარტონ მათ უფლება-მოვალეობანი, გააფრთხილონ შესასრულებელი სანოტარო მოქმედების შედეგების შესახებ, რათა იურიდიული გაუთვითცნობიერებლობა და სხვა მსგავსი გარემოებანი გამოყენებული არ იქნეს მათ საზიანოდ.

აუცილებელ შემთხვევებში სახელმწიფო ნოტარიუსებმა იმ მოქალაქეთა, სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა თხოვნით, რომლებმაც მათ სანოტარო მოქმედების შესასრულებლად მიმართეს, უნდა შეადგინონ გარიგებათა და განცხადებათა პროექტები, მოამზადონ დოკუმენტების ასლები და მათი ამონაწერები, აგრეთვე მისცენ ახსნა-განმარტებანი სანოტარო მოქმედების შესრულების საკითხებზე.

ამ სამუშაოს შესრულება შეიძლება დაევალოთ აგრეთვე სახელმწიფო სანოტარო კანტორის შტატში მყოფ კონსულტანტებს, იმ სტაჟიორებსა და ნოტარიუსებს, რომლებიც საწარმოო პრაქტიკას გადიან სანოტარო კანტორაში.

6. „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ" საქართველოს სსრ კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად სახელმწიფო სანოტარო კანტორებში სანოტარო საქმისწარმოება მიმდინარეობს ქართულ ენაზე ან ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის ენაზე.

თუ სანოტარო მოქმედების შესრულების მთხოვნელმა პირმა არ იცის ის ენა, რომელზეც საქმისწარმოება მიმდინარეობს, გასაფორმებელი დოკუმენტების ტექსტი მას უნდა უთარგმნოს სახელმწიფო ნოტარიუსმა ან მთარგმნელმა, რომელსაც იცნობს სახელმწიფო ნოტარიუსი.

თუ პირმა არ იცის ის ენა, რომელზეც შედგენილია დოკუმენტი, იგი ხელს აწერს იმ ენაზე, რომელიც მან იცის.

## კ ა რ ი II

### სანოტარო მოქმედების შესრულების ძირითადი წესები

7. სანოტარო მოქმედება შეიძლება შესრულდეს ნებისმიერ სახელმწიფო სანოტარო კანტორაში საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე, გარდა იმ შე-

მთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამ ინსტრუქციის მე-9, მე-16, 37-ე, 41-ე, 66-ე, 84-ე, 93-ე, 107-ე, 110-ე, 112-ე, 139-ე, 158-ე და 193-ე პუნქტებით, და სხვა შემთხვევებისა, როცა სსრ კავშირის ან საქართველოს სსრ კანონმდებლობის თანახმად სანოტარო მოქმედება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ სახელმწიფო სანოტარო კანტორაში.

8. სანოტარო მოქმედება სრულდება სახელმწიფო სანოტარო კანტორის შენობაში. ცალკეულ შემთხვევებში სანოტარო მოქმედება შეიძლება შესრულდეს აღნიშნული შენობის გარეთაც, თუ იმ მოქალაქეს, რომლისთვისაც მოქმედება სრულდება, ავადმყოფობის, ინვალიდობის ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ შეუძლია გამოცხადდეს სახელმწიფო სანოტარო კანტორის შენობაში.

თუ სანოტარო მოქმედება სრულდება სახელმწიფო სანოტარო კანტორის შენობის გარეთ, დამადასტურებელ წარწერაში დოკუმენტზე და სანოტარო მოქმედების სარეგისტრაციო რეესტრში აღინიშნება სანოტარო მოქმედების შესრულების ადგილი და მისამართი.

9. „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მე-3 მუხლის თანახმად საქართველოს სსრ დედაქალაქ თბილისში, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ დედაქალაქებში — სოხუმსა და ბათუმში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრში — ქალაქ ცხინვალში ერთ-ერთი სახელმწიფო სანოტარო კანტორა იქმნება როგორც პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორა ყველაზე რთული სანოტარო მოქმედებისა და სხვა ფუნქციების შესასრულებლად სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორები ამოწმებენ სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოების იმ აქტების ასლების ნამდვილობას, რომლებიც მოქალაქეთა პირად უფლებებსა და ინტერესებს შეეხება, აგრეთვე უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტების ასლების ნამდვილობას.

საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილებას შეუძლიათ პირველ სახელმწიფო სანოტარო კანტორებს დააკისრონ მემკვიდრეობის უფლების მოწმობათა გაცემის, აგრეთვე საცხოვრებელი სახლების გასხვისების ხელშეკრულებათა დადასტურების მოვალეობა.

10. „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად სანოტარო მოქმედება სრულდება ამისათვის საჭირო ყველა დოკუმენტის წარდგენისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დღეს.

სანოტარო მოქმედების შესრულება შეიძლება გადაიდოს, თუ საჭიროა დამატებითი ცნობების ან დოკუმენტების გამოთხოვა სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა თანამდებობის პირებისაგან (მათ შორის ამ ინსტრუქციის 31-ე პუნქტის მე-2 აბზაცით გათვალისწინებულ შემთხვევაშიც) ანდა დოკუმენტების გაგზავნა საექსპერტიზოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანოტარო მოქმედების შესრულება შეიძლება გადაიდოს აგრეთვე დაინტერესებულ პირთა თხოვნით, რომელთაც სურთ მიმართონ სასამართლოს იმ უფლებაზე ან ფაქტზე შედავებისათვის, რომლის დადასტურებასაც ითხოვს მეორე დაინტერესებული პირი. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ნოტარიუსს უფლება აქვს გადადოს სანოტარო მოქმედების შესრულება არა უმეტეს ათი დღის ვადით. თუ ამ ვადაში სასამართლოსაგან მიღებული არ იქნა ცნობა განცხადების შემოსვლის შესახებ, სანოტარო მოქმედება უნდა შესრულდეს.

თუ სასამართლოსაგან მიღებულია ცნობა, რომ შემოსულია დაინტერესებული პირის განცხადება, რომელიც სადავოდ ხდის იმ უფლებას ან ფაქტს, რომლის დადასტურებასაც ითხოვს მეორე დაინტერესებული პირი, სანოტარო მოქმედების შესრულება შეჩერდება სასამართლოს მიერ საქმის გადაწყვეტამდე.

11. სანოტარო მოქმედების შესრულების დროს სახელმწიფო ნოტარიუსები დაადგენენ იმ მოქალაქეების, მათი წარმომადგენლების ან სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების ვინაობას, რომლებიც სანოტარო მოქმედების შესრულებას ითხოვენ.

საბჭოთა მოქალაქეების ვინაობა დადგინდება პასპორტის მიხედვით, ხოლო მოქალაქეებისა, რომლებიც სოფლად ცხოვრობენ და პასპორტი არა აქვთ, — მშრომელთა დეპუტატების სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ გაცემული ცნობების მიხედვით.

დოკუმენტების ასლებისა და მათი ამონაწერების ნამდვილობის დამოწმებისას მოქალაქეთა ვინაობა შეიძლება დადგინდეს აგრეთვე იმ მოწმობის მიხედვით, რომელიც გაცემულია დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის მიერ მათ სამუშაო ადგილზე.

16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა ვინაობა დადგინდება მშობლების (მშვილებლების) პასპორტებში მათ შესახებ ჩანაწერის საფუძველზე ან დაბადების მოწმობის მიხედვით.

სამხედრო მოსამსახურეთა ვინაობა დადგინდება პირადობის მოწმობისა და სამხედრო ბილეთის საფუძველზე, რომელთაც გასცემს სამხედრო ნაწილისა და სამხედრო დაწესებულების სარდლობა.

სსრ კავშირში დროებით საცხოვრებლად ჩამოსული იმ საბჭოთა მოქალაქეების ვინაობა, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საზღვარგარეთ, დადგინდება მათი საერთო-სამოქალაქო საზღვარგარეთული პასპორტების მიხედვით.

სსრ კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ვინაობა დადგინდება სსრ კავშირში ბინადრობის მოწმობის ან ეროვნული პასპორტის მიხედვით, რომელიც რეგისტრირებულია შინაგან საქმეთა ორგანოებში ან სხვა საამისოდ უფლებამოსილ ორგანოებში.

12. გარიგებათა დადასტურების და ზოგიერთი სხვა სანოტარო მოქმედების შესრულების დროს (მაგალითად, დოკუმენტებზე ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმების დროს) სახელმწიფო ნოტარიუსი შეამოწმებს გარიგების მონაწილეთა და სხვა იმ პირთა ხელმოწერის ნამდვილობას, რომლებიც ითხოვენ სანოტარო მოქმედების შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. გარიგებათა დადასტურების დროს უნდა გამოირკვეს მოქალაქეთა ქმედუნარიანობა და შემოწმდეს გარიგებაში მონაწილე იურიდიულ პირთა უფლებაუნარიანობა. წარმომადგენლის მიერ გარიგების დადების შემთხვევაში ამოწმებენ მის უფლებამოსილებას.

14. ნოტარიულად დასამოწმებელ გარიგებებს, აგრეთვე განცხადებებსა და სხვა დოკუმენტებს ხელს აწერენ სახელმწიფო ნოტარიუსის თანდასწრებით. თუ გარიგების, განცხადების ან სხვა დოკუმენტის ხელმოწერას სახელმწიფო ნოტარიუსი არ დასწრებია, ხელმომწერმა პირადად უნდა დაადასტუროს, რომ დოკუმენტს მან მოაწერა ხელი.

სახელმწიფო ნოტარიუსს შეუძლია არ მოითხოვოს სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამდებობის პირთა პირადად გამოცხადება, თუ სახელმწიფო სანოტარო კანტორის საქმეებში მოიპოვება ამ თანამდებობის პირთა ხელმოწერის ნიმუში, მიღებული მათთვის პირადი მიმართვის შედეგად, და მათი ხელმოწერის ნამდვილობა ეჭვს არ იწვევს.

თუ მოქალაქეს ფიზიკური ნაკლის, ავადმყოფობის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო არ შეუძლია თვითონ მოაწეროს ხელი გარიგებას, განცხადებას ან სხვა დოკუმენტს, მაშინ მისი დავალებით, მისი თანდასწრებითა და სახელმწიფო ნოტარიუსის თანდასწრებით გარიგებას, განცხადებას ან სხვა დოკუმენტს შეიძლება ხელი მოაწეროს სხვა მოქალაქემ იმ მიზეზის აღნიშვნით, რომლის გამოც სანოტარო მოქმედების შესრულების მთხოვნელ პირს არ შეუძლია თვითონ მოაწეროს ხელი დოკუმენტს.

თუ სანოტარო მოქმედების შესრულების მთხოვნელი მოქალაქე წერა-კითხვის უცოდინარი ან უსინათლოა, სახელმწიფო ნოტარიუსი, გარდა ამისა, მოვალეა წაუკითხოს მას დოკუმენტის ტექსტი და ეს აღნიშნოს დოკუმენტზე.

თუ სანოტარო მოქმედების შესრულების მთხოვნელი ყრუ, მუნჯი ან ყრუ-მუნჯი მოქალაქე წერა-კითხვის უცოდინარია, სანოტარო მოქმედების შესრულებისას აუცილებლად უნდა დაესწროს წერა-კითხვის მცოდნე პირი, რომელსაც შეუძლია გააგებინოს მას საქმის არსი და დაადასტუროს თავისი ხელმოწერით, რომ გარიგების, განცხადების ან სხვა დოკუმენტის შინაარსი შეესაბამება მასში მონაწილე ყრუ, მუნჯი ან ყრუ-მუნჯი მოქალაქის ნებას.

15. „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად სახელმწიფო ნოტარიუსებს უფლება აქვთ გამოითხოვონ სახელმწიფო დაწესებულებებისაგან, საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან ცნობები და დოკუმენტები, რომლებიც საჭიროა სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის. შესაბამისი ცნობები და დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ნოტარიუსის მიერ მითითებულ ვადაში. ეს ვადა ერთ თვეს არ უნდა აღემატებოდეს.

16. „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად სახელმწიფო ნოტარიუსებს უფლება არა აქვთ შეასრულონ სანოტარო მოქმედება თავიანთ სახელზე და თავიანთი სახელით, თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიანთი მეუღლეების, ამათი და თავიანთი ნათესავების (მშობლების, შვილების, შვილიშვილების, პაპის, ბებიის, ძმების, დების) სახელზე და სახელით, აგრეთვე მოცემული სახელმწიფო სანოტარო კანტორის მუშაკთა სახელზე და სახელით.

სანოტარო მოქმედებას აღნიშნულ შემთხვევებში შეასრულებს ნებისმიერი სხვა სახელმწიფო სანოტარო კანტორა.

იმ შემთხვევებში, როცა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად სანოტარო მოქმედება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ სახელმწიფო სანოტარო კანტორაში, სანოტარო მოქმედების შესრულების ადგილი განისაზღვრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

ამ პუნქტში აღნიშნული წესების დარღვევით შესრულებული სანოტარო მოქმედება ბათილია.

17. სახელმწიფო ნოტარიუსები სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის არ იღებენ დოკუმენტებს, რომლებშიც არის გადაფხეკილი ადგილები, მინაწერები, წაშლილი სიტყვები და სხვა ისეთი შესწორებანი, რომლებიც წინასწარ დათქმული არ იყო, აგრეთვე დოკუმენტებს, რომლებიც ფანქრითაა შესრულებული.

არ მიიღება აგრეთვე ორ და მეტ ცალკე ფურცელზე შედგენილი დოკუმენტები, თუ ფურცლები ზონარგაუყრელია, დაუნომრავია და ზონარგაყრილი ფურცლების რაოდენობა დამოწმებული არ არის თანამდებობის პირის ხელმოწერით და სახელმწიფო დაწესებულების, საწარმოსა და ორგანიზაციის, კოლმეურნეობისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ბეჭდით, რომელმაც დოკუმენტი გასცა.

სანოტარო წესით დადასტურებულ გარიგებათა ტექსტი უნდა დაიწეროს ნათლად და გარკვევით, თარიღი და ვადა, რომელიც დოკუმენტის შინაარსს შეეხება, ერთხელ მაინც უნდა დაიწეროს სიტყვებით, ხოლო იურიდიულ პირთა დასახელება — შეუმოკლებლად, და მიეთითოს მათი ორგანოების ადგილსამყოფელი, საჭირო შემთხვევებში კი — მიმდინარე (საანგარიშსწორებო) ანგარიშის და ბანკის განყოფილების ნომრები. მოქალაქეთა გვარები, სახელები და მამის სახელები უნდა დაიწეროს მთლიანად, ამასთან აღინიშნოს მათი საცხოვრებელი ადგილი. უცხოელ მოქალაქეთა სახელით გარიგების დადასტურებისას აღინიშნება აგრეთვე მათი მოქალაქეობა.

ბოლომდე შეუვსებელი სტრიქონები და სხვა თავისუფალი ადგილები დოკუმენტებზე უნდა გადაიხაზოს, გარდა საზღვარგარეთ მოქმედებისათვის გათვალისწინებული დოკუმენტებისა, რომლებშიც გადახაზვა დაუშვებელია.

მინაწერები და შესწორებები უნდა აღინიშნოს სათანადო პირთა (გარიგების მონაწილეთა და გარიგების, განცხადების ხელმომწერ სხვა პირთა და ა. შ.) ხელმოწერის წინ, და განმეორდეს დამადასტურებელი წარწერის ბოლოს, ამასთან შესწორებები ისე უნდა გაკეთდეს, რომ შეცდომით დაწერილი, შემდეგ კი გადახაზული მთელი ტექსტის წაკითხვა შეიძლებოდეს თავდაპირველ ტექსტში.

თუ შესწორება შეტანილია იმ დოკუმენტის ტექსტში, რომელსაც ხელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ აწერენ მხარეები, დამადასტურებელი წარწერის ბოლოს იგი უნდა აღნიშნოს მხოლოდ სახელმწიფო ნოტარიუსმა.

თუ დასადასტურებელი ან დასამოწმებელი დოკუმენტი შედგენილია არასწორად ან უწიგნურად, სახელმწიფო ნოტარიუსი წინადადებას აძლევს მთხოვნელ პირს გაასწოროს იგი ან შეადგინოს ახალი დოკუმენტი. მთხოვნელი პირის თხოვნით დოკუმენტი შეიძლება შეადგინოს სახელმწიფო ნოტარიუსმა ან სახელმწიფო სანოტარო კანტორის სხვა მუშაკმა (ამ ინსტრუქციის მე-5 პუნქტი).

იმ შემთხვევებში, როცა დასადასტურებელი, გასაცემი ან დასამოწმებელი დოკუმენტები შედგენილია რამდენიმე ცალკე ფურცელზე, ისინი უნდა იყოს ზონარგაყრილი, ხოლო ფურცლები—დანომრილი. ზონარგაყრილი ფურცლების რაოდენობა დამოწმდება სახელმწიფო ნოტარიუსის ხელმოწერით და სახელმწიფო სანოტარო კანტორის გერბიანი ბეჭდის დასმით.

18. გარიგებათა დადასტურებისას, დოკუმენტების ასლებისა და მათი ამონაწერების სისწორის, ერთი ენიდან მეორეზე დოკუმენტების თარგმანის სისწორის, დოკუმენტებზე ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმებისას, დოკუმენტების წარდგენის დროის დადასტურებისას შესაბამის დოკუმენტებზე კეთდება დამადასტურებელი წარწერა სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერს სახელმწიფო ნოტარიუსი და მოწმდება სახელმწიფო სანოტარო კანტორის გერბიანი ბეჭდის დასმით.

დამადასტურებელი წარწერა უნდა დაიწეროს ნათლად, გადაუშლელ-გადაუფხეკავად, შეუვსებელი ადგილები უნდა გადაიხაზოს, მინაწერები და სხვა შესწორებანი აღინიშნოს.

დამადასტურებელ წარწერათა შესასრულებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს შტამპები შესაბამისი წარწერის ტექსტით.

თუ დამადასტურებელი წარწერა არ ეტევა შესაბამის დოკუმენტზე, იგი შეიძლება გაგრძელდეს ან მთლიანად დაიწეროს დოკუმენტზე მიკრულ ქაღალდის ფურცელზე. ამ შემთხვევაში ფურცლები, რომლებზეც გადმოცემულია დოკუმენტის ტექსტი, და დამადასტურებელი წარწერა ზონარგაყრილი და დანომრილი უნდა იყოს, ფურცლების რაოდენობა უნდა დამოწმდეს სახელმწიფო ნოტარიუსის ხელმოწერით და სახელმწიფო სანოტარო კანტორის გერბიანი ბეჭდის დასმით.

დამადასტურებელი წარწერის გადმოცემის ან მისი გაგრძელებისათვის დასაშვებია აგრეთვე ქაღალდის ფურცლის მიწებება გერბიანი ბეჭდის დასმით, რომლის ანაბეჭდი ნაწილობრივ უნდა აისახოს მიწებებულ ფურცლებზე.

ქაღალდის ფურცლების მიმაგრება და მიწებება დოკუმენტის ასლის სისწორის დამოწმების დამადასტურებელი წარწერისათვის, აგრეთვე დოკუმენტის დუბლიკატზე წარწერისათვის არ დაიშვება.

19. ყველა სანოტარო მოქმედება, რომელსაც ასრულებენ სახელმწიფო ნოტარიუსები, რეგისტრირდება სანოტარო მოქმედების სარეგისტრაციო რეესტრში. ყოველ სანოტარო მოქმედებას ეძლევა ცალკე რიგითი ნომერი. ის ნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერი, რომლითაც სანოტარო მოქმედება რეგისტრირებულია რეესტრში, აღინიშნება სახელმწიფო ნოტარიუსის მიერ გაცემულ დოკუმენტებსა და დამადასტურებელ წარწერებში.

რეესტრები ზონარგაყრილი, ხოლო მათი ფურცლები დანომრილი უნდა იყოს. ფურცლების რაოდენობა უნდა დამოწმდეს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილების იმ მუშაკთა ხელმოწერით, რომლებიც საამისოდ უფლებამოსილი არიან საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილების უფროსის მიერ. მუშაკის ხელმოწერა დამოწმდება იუსტიციის შესაბამისი ორგანოს ბეჭდის დასმით.

სანოტარო მოქმედებას რეესტრში სახელმწიფო ნოტარიუსი ან სანოტარო კანტორის მუშაკი ჩასწერს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამადასტურებელ წარწერას ან სანოტარო კანტორის მიერ გასაცემ დოკუმენტს ხელს მოაწერს სახელმწიფო ნოტარიუსი. რეესტრში ფანქრით ჩაწერა არ დაიშვება.

სახელმწიფო სანოტარო კანტორებში საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილების ნებართვით შეიძლება შემოღებულ იქნეს რამდენიმე რეესტრი. აღნიშნულ შემთხვევაში თითოეულ რეესტრს მიეცემა დამოუკიდებელი ინდექსი. დოკუმენტებზე ნომრები ამგვარად აღინიშნება: № 1-1, № 1-2, № 2-1 და ა. შ., სადაც პირველი ციფრი ნიშნავს ინდექსის ნომერს, ხოლო მეორე — ჩანაწერის რიგით ნომერს. თითოეული რეესტრის ინდექსის ნომერი უცვლელი რჩება წლის განმავლობაში.

თუ დამოუკიდებელი რეესტრები შემოღებულია განსაზღვრული სანოტარო მოქმედების ჩასაწერად, თითოეული რეესტრის ინდექსს დაემატება სანოტარო მოქმედების დასახელების შესაბამისი ასო. მაგალითად, № 1-ა, № 2-ა, № 3-ს, № 4-უ, რაც ნიშნავს: პირველი და მეორე — რეესტრებს დოკუმენტების ასლების სისწორის დამოწმების ჩასაწერად, მესამე — სააღსრულებო წარწერების ჩასაწერად, მეოთხე — მემკვიდრეობის უფლების დასადასტურებლად გაცემული მოწმობების ჩასაწერად და ა. შ.

ასეთ რეესტრებში ჩაწერილ დოკუმენტებზე ნომრები შემდეგნაირად აღინიშნება: № 1-ა-1, № 1-ა-2 და ა. შ.; № 2-ა-1, № 2-ა-2 და ა. შ.; № 3-ს-1, № 3-ს-2 და ა. შ.; № 4-უ-1, № 4-უ-2 და ა. შ.

20. სახელმწიფო ნოტარიუსები სანოტარო მოქმედების სარეგისტრაციო რეესტრის ამონაწერს გასცემენ იმ მოქალაქეთა, სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომელთა დავალებით ან რომელთა მიმართაც იყო შესრულებული სანოტარო მოქმედება, აგრეთვე სასამართლოს, პროკურატურის, გამოძიებისა და მოკვლევის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანოების მოთხოვნით მათ წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის საქმეებთან დაკავშირებით.

21. დოკუმენტები, რომელთა საფუძველზეც შესრულებულია სანოტარო მოქმედება, თან დაერთვის გარიგების, მემკვიდრეობის უფლების მოწმობის და სხვა დოკუმენტის იმ ეგზემპლარს, რომელიც სანოტარო კანტორაში რჩება.

დოკუმენტების დედნები (მაგალითად, დაბადების, ქორწინების, გარდაცვალების მოწმობა) დაუბრუნდებათ მათს წარმდგენ პირებს, ამასთან სახელმწიფო სანოტარო კანტორაში დარჩება მათი ასლები. ასლებს წარადგენენ დაინტერესებული პირები ან მათი თხოვნით დაამზადებს სანოტარო კანტორის მუშაკი და დაამოწმებს სახელმწიფო ნოტარიუსი, რის შესახებაც გაკეთდება წარწერა: „დედანთან სწორია“. შემდეგ დაისმება ნოტარიუსის ხელმოწერა და თარიღი. ამ შემთხვევებში სახელმწიფო ბაჟი გადახდება მხოლოდ ასლების დამზადებისათვის.

სანოტარო მოქმედების შესრულების მთხოვნელ მოქალაქეთა, მათ წარმომომადგენელთა ან სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტები დაუბრუნდებათ მათს წარმდგენ პირებს ასლების დაუტოვებლად, მაგრამ რეესტრში ჩაიწერება დოკუმენტის დასახელება, მისი ნომერი, გაცემის თარიღი და დოკუმენტის გამცემი დაწესებულების დასახელება.

სახელმწიფო სანოტარო კანტორაში არ რჩება შემდეგი დოკუმენტები ან მათი ასლები:

— იურიდიულ პირთა წესდებანი და დებულებანი, აგრეთვე დოკუმენტები მათი წარმომადგენლების უფლებამოსილებათა შესახებ (გარდა კონკრეტული ხელშეკრულების დასადებად გაცემული რწმუნებულებისა) — იურიდიულ პირთა სახელით და სახელზე ხელშეკრულებათა და რწმუნებულებათა დადასტურებისას;

— დოკუმენტები, რომლებიც აწესებენ მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლებას საცხოვრებელ სახლზე (სახლის ნაწილზე) ან ბინაზე ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის სახლში, — მათი გასხვისების შესახებ გარიგებათა დადასტურებისას იმ შემთხვევაში, როცა მესაკუთრე მთლიანად არ ასხვისებს თავის კუთვნილ სახლს (სახლის ნაწილს) ან ბინას, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა მესაკუთრეებს აქვთ ერთი საერთო დოკუმენტი სახლზე ან ბინაზე და ერთ-ერთი მათგანი ასხვისებს თავის კუთვნილ წილს (ან წილის წილს); დაუმთავრებელი სახლის გასხვისების შესახებ ხელშეკრულებათა, საცხოვრებელი სახლის წილის ოდენობის დაწესების ან შეცვლის შესახებ შეთანხმებათა დადასტურებისას;

— ხელშეკრულებანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის მიცემის შესახებ სანოტარო კანტორის საქმეებში არ რჩება იმ შემთხვევაშიც, როცა მესაკუთრე მთლიანად ასხვისებს საცხოვრებელ სახლს (სახლის ნაწილს). სახლის (სახლის ნაწილის) გასხვისების ხელშეკრულებათა დადასტურებისას ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის მიცემის შესახებ და მიწის ნაკვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის გეგმა სახლის გასხვისების აღნიშვნით თან დაერთვის გასხვისების ხელშეკრულების იმ ეგზემპლარს, რომელიც სახლის შემძენს ეძლევა. მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემისას ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის მიცემის შესახებ ეძლევათ იმ პირებს, რომლებსაც ხვდებათ სახლი მემკვიდრეობით;

— შეუვალობის მოწმობები — დაჯავშნული საცხოვრებელი ფართობის ქვექირავნობის ხელშეკრულებათა დადასტურებისას;

— ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური პასპორტები და ქვითრები გამოსაღების გადახდის შესახებ — აღნიშნულ საშუალებათა გასხვისების შესახებ ხელშეკრულების დადასტურებისას, მემკვიდრეობის უფლებისა და საკუთრების უფლების მოწმობათა გაცემისას.

აღნიშნული დოკუმენტების არსებობის შესახებ აღინიშნება რეესტრში ან სახელმწიფო სანოტარო კანტორაში დატოვებული გარიგების, მემკვიდრეობის უფლებისა და საკუთრების უფლების მოწმობის გაცემის შესახებ განცხადებათა ეგზემპლარებში, ამავე დროს შეიტანება სანოტარო მოქმედების რეესტრში, რის შემდეგაც ისინი დაუბრუნდება წარმდგენ პირს.

22. სახელმწიფო ნოტარიუსის მიერ დადასტურებული ან გაცემული დოკუმენტის დაკარგვის შემთხვევაში იმ მოქალაქის, სახელმწიფო დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის, კოლმეურნეობის ან სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომლის დავალებით ან რომლის მიმართაც იყო შესრულებული სანოტარო მოქმედება, გაიცემა დაკარგული დოკუმენტის დუბლიკატი.

სახელმწიფო სანოტარო კანტორები გასცემენ აგრეთვე „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მე-16 პუნქტში ჩამოთვლილ თანამდებობის პირთაგან შესანახად შემოსული ანდერძის დუბლიკატებს.

დოკუმენტის დუბლიკატი უნდა შეიცავდეს დადასტურებული ან გაცემული დოკუმენტის მთელ ტექსტს.

დოკუმენტის დუბლიკატზე კეთდება დამადასტურებელი წარწერა დაწესებული ფორმის მიხედვით.

ანდერძის დუბლიკატი შეიძლება მიეცეთ ანდერძში აღნიშნულ მემკვიდრეებს მას შემდეგ, რაც ისინი წარადგენენ მოწმობას მოანდერძის გარდაცვალების შესახებ. ანდერძში აღნიშნული მემკვიდრეების გარდაცვალების შემთხვევაში ანდერძის დუბლიკატი შეიძლება მიეცეთ მათს მემკვიდრეებს მას შემდეგ, რაც ისინი წარადგენენ მოწმობებს მოანდერძისა და გარდაცვლილი მემკვიდრის გარდაცვალების შესახებ.

23. თუ სანოტარო მოქმედების შესრულებისას სახელმწიფო ნოტარიუსები აღმოაჩენენ, რომ მოქალაქეებმა ან ცალკეულმა თანამდებობის პირებმა დაარღვიეს კანონიერება, ისინი ამის შესახებ აუცილებელი ზომების მისაღებად ატყობინებენ შესაბამის დაწესებულებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს ან პროკურორს.

თუ წარდგენილი დოკუმენტის ნამდვილობა ეჭვს იწვევს, სახელმწიფო ნოტარიუსებს უფლება აქვთ შეაჩერონ ეს დოკუმენტი და გაგზავნონ იგი საექსპერტიზოდ.

№ 3 ეროვნული ბიბლიოთეკა

დოკუმენტის საექსპერტიზოდ გაგზავნის შესახებ სახელმწიფო ნოტარიუსს გამოაქვს დადგენილება, რომელშიც აღინიშნება:

— დადგენილების გამოტანის თარიღი;

— დადგენილების გამომტანი სახელმწიფო ნოტარიუსის ინიციალები, გვარი და სახელმწიფო სანოტარო კანტორის დასახელება;

— დოკუმენტის დასახელება, ვის სახელზეა იგი გაცემული;

— ვინ (გვარი, სახელი, მამის სახელი, საცხოვრებელი ადგილი) წარადგინა დოკუმენტი სანოტარო მოქმედების შესასრულებლად;

— გარემოებანი, რამაც გამოიწვია დოკუმენტის საექსპერტიზოდ გაგზავნის აუცილებლობა;

— სად (რომელ საექსპერტო დაწესებულებაში) იგზავნება დოკუმენტი ექსპერტიზის ჩასატარებლად;

— ექსპერტიზის გადასაწყვეტად დაყენებული საკითხები.

24. სახელმწიფო ნოტარიუსები:

— უარს ამბობენ სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, თუ ასეთი მოქმედების შესრულება ეწინააღმდეგება კანონს (თუ მოქმედება არ უნდა შესრულდეს სანოტარო ორგანოს მიერ ან უნდა შესრულდეს სხვა სანოტარო ორგანოში; თუ სანოტარო მოქმედების შესრულებას ითხოვს არაქმედუნარიანი პირი ან წარმომადგენელი, რომელსაც საჭირო რწმუნებულებანი არ გააჩნია; თუ სანოტარო მოქმედების შესრულებას ითხოვს პირი, რომელიც თუმცა ქმედუნარიანია, მაგრამ მოცემულ მომენტში ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომ არ შეუძლია შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა ან გაუძღვეს მას; თუ იურიდიული პირის სახელით შესასრულებელი გარიგება ეწინააღმდეგება მის წესდებაში ან დებულებაში აღნიშნულ მიზნებს; თუ გარიგება არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს ან სრულდება ისეთი მიზნით, რაც აშკარად ეწინააღმდეგება სოციალისტური სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს, და ა. შ.);

— არ იღებენ სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეესაბამებიან კანონმდებლობის მოთხოვნებს ან შეიცავენ ისეთ ცნობებს, რომლებიც ჩირქს სცხებენ მოქალაქეთა პატივსა და ღირსებას.

სახელმწიფო ნოტარიუსმა იმ პირის თხოვნით, რომელსაც უარი ეთქვა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, უნდა ჩამოაყალიბოს უარის მიზეზები წერილობით და განუმარტოს მისი გასაჩივრების წესი. ამ შემთხვევებში სახელმწიფო ნოტარიუსს არა უგვიანეს სამი დღის ვადაში გამოაქვს დადგენილება სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის შესახებ.

დადგენილებაში უარის შესახებ უნდა აღინიშნოს:

— დადგენილების გამოტანის თარიღი;

— სახელმწიფო ნოტარიუსის ინიციალები, გვარი და სახელმწიფო სანოტარო კანტორის დასახელება;

— სანოტარო მოქმედების შესრულების მთხოვნელი მოქალაქის გვარი, სახელი, მამის სახელი, მისი საცხოვრებელი ადგილი (ან იურიდიული პირის დასახელება და მისამართი);

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა სანოტარო მოქმედების შესრულებას ითხოვდა მოქალაქე;
— რა მოტივით ეთქვა უარი სანოტარო მოქმედების შესრულებაზე (კანონმდებლობის დამოწმებით);
— უარის გასაჩივრების წესი და ვადები.

25. „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ" საქართველოს სსრ კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის, აგრეთვე გარიგებათა, განცხადებათა პროექტების შედგენისათვის, დოკუმენტების ასლების, მათი ამონაწერების მომზადებისათვის, დოკუმენტების დუბლიკატების გაცემისათვის დაინტერესებულ პირებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადახდებათ სახელმწიფო ბაჟი.

თუ სანოტარო მოქმედების შესასრულებლად სახელმწიფო ნოტარიუსი ადგილზე გაემგზავრა, დაინტერესებული პირები ანაზღაურებენ ფაქტიურ სატრანსპორტო ხარჯებს.

26. თუ სახელმწიფო ნოტარიუსი აღმოაჩენს, რომ დაშვებული შეცდომის შედეგად მის მიერ შესრულებული სანოტარო მოქმედება არასწორია, იგი მოვალეა შეატყობინოს ამის შესახებ პროკურორს, რათა მიიღოს დადგენილი წესით ზომები აღნიშნული სანოტარო მოქმედების გასაუქმებლად. პროკურორისათვის გაგზავნილი წარდგინების შესახებ სახელმწიფო ნოტარიუსი შეატყობინებს საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილების უფროსს.

სახელმწიფო ნოტარიუსს თავისი ინიციატივით ან დაინტერესებულ პირთა თხოვნით შეუძლია გაასწოროს მხოლოდ აშკარა კალმისმიერი შეცდომები ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები, რომლებიც დადასტურებული ან გაცემული დოკუმენტის არსს არ ცვლიან.

## კ ა რ ი III

## სანოტარო მოქმედების ცალკეულ სახეობათა შესრულების წესები

## თ ა ვ ი I

## გარიგებათა დადასტურება

### გარიგებათა დადასტურების ზოგადი პირობები

27. სახელმწიფო ნოტარიუსები ადასტურებენ გარიგებებს, რომელთა შესასრულებლად კანონმდებლობით დადგენილია სავალდებულო სანოტარო ფორმა.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სავალდებულო სანოტარო დადასტურებას ექვემდებარება შემდეგი გარიგებანი:

— ქალაქში ან ქალაქის ტიპის დაბაში მდებარე საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის), ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში ბინის გასხვისების (ყიდვა-გაყიდვის, გაცვლილო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის, ნაჩუქრობის, გარდაცვალებამდე რჩენის) ხელშეკრულებანი (საქართვე-ლოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 239-ე, 267-ე, 269-ე, 440-ე მუხლები);

— საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის), ბინის გირავნობის ხელშეკ-რულებანი (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 190-ე მუხლის მე-3 ნაწილი);

— პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების უვადო სარგებლობაში გაცემის ხელშეკრულებანი („სახელ-მწიფო ნოტარიატის შესახებ" საქართველოს სსრ კანონის მე-40 მუხლი);

— 500 მანეთზე მეტი თანხის და 50 მანეთზე მეტი ღირებულების სავა-ლუტო ფასეულობების ნაჩუქრობის ხელშეკრულებანი (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 269-ე მუხლის 1-ლი ნაწილი);

— ანდერძები (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 546-ე მუხლი);

— რწმუნებულებანი ისეთ გარიგებათა დასადებად, რომლებიც სანოტარო ფორმას მოითხოვენ, აგრეთვე მოქმედება სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კანონით ან სპეციალური წესებით დაშვებულია რწმუნებულების სხვა ფორმა (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 64-ე მუხლი).

— რწმუნების გადაცემის წესით გაცემული რწმუნებულებანი (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 69-ე მუხლი).

მხარეთა სურვილისამებრ დადასტურდება სხვა ისეთი გარიგებებიც, რომ-ლებისთვისაც კანონმდებლობით დადგენილი არ არის სავალდებულო სანოტა-რო დადასტურება.

28. სახელმწიფო ნოტარიუსები მოვალენი არიან განუმარტონ მხარეებს მათ მიერ წარდგენილი გარიგებათა პროექტების შინაარსი და მნიშვნელობა და შეამოწმონ, შეესაბამება თუ არა მათი შინაარსი მხარეთა ნამდვილ სურ-ვილებს („სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ" საქართველოს სსრ კანონის 36-ე მუხლი).

29. გარიგებანი იმ ქონების გასხვისებისა და გირავნობის შესახებ, რო-მელიც რეგისტრაციას ექვემდებარება, შეიძლება დადასტურდეს, თუ წარდ-გენილი იქნება გასასხვისებელ ან დასაგირავებელ ქონებაზე საკუთრების უფ-ლების დამადასტურებელი დოკუმენტები („სახელმწიფო ნოტარიატის შესა-ხებ" საქართველოს სსრ კანონის 41-ე მუხლი).

30. გარიგებანი გადასახადით ან გამოსაღებით დასაბეგრი ქონების გა-სხვისების შესახებ, აგრეთვე შეთანხმებანი შესაბამის ორგანოებში ამ გარიგე-ბათა რეგისტრაციის შემდეგ მათი მოშლის შესახებ შეიძლება დადასტურდეს იმ პირობით, თუ წარდგენილი იქნება გადასახადის ან გამოსაღების გადახდის (გადასახადის ან გამოსაღების გადახდისაგან გათავისუფლების) მტკიცებულე-ბანი ან შესაბამისი ორგანოებისა და შემძენის თანხმობა იმის შესახებ, რომ გამოანგარიშებული გადასახადი ან გამოსაღები გადატანილ იქნეს შემძენზე.

აღნიშნულ გარიგებათა სანოტარო დადასტურებისას გამოთხოვილ უნდა იქნეს საფინანსო ორგანოს ცნობა გადასახადის დავალიანების არარსებობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ. ცნობა ძალაშია ერთი თვის განმავლობაში. თუ ცნობაში აღნიშნულია, რომ გადასახადი და გამოსაღები გადახდილია კვარტალისათვის ან მთელი წლისათვის, ცნობა ძალაშია ამ ვადის განმავლობაში.

იმის დასადასტურებლად, რომ ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა მფლობელებს გამოსაღები გადახდილი აქვთ, შეიძლება წარდგენილ იქნეს ქვითარი.

31. გარიგების მონაწილეთა ქმედუნარიანობის გამორკვევისას სახელმწიფო ნოტარიუსი გამოითხოვს დოკუმენტს (იხ. ამ ინსტრუქციის მე-11 პუნქტი), რომელშიც აღნიშნულია გარიგების მონაწილეთა ასაკი.

თუ სახელმწიფო ნოტარიუსს საფუძველი აქვს ივარაუდოს, რომ გარიგების რომელიმე მონაწილეს სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო არ შეუძლია შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა ან გაუძღვეს მას, ხოლო ცნობები ამ პირის არაქმედუნარიანად აღიარების შესახებ არ არსებობს, ნოტარიუსი გადადებს გარიგების შესრულებას და გამოარკვევს, არსებობს თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება პირის არაქმედუნარიანად აღიარების შესახებ. თუ ასეთი გადაწყვეტილება სასამართლოს არ გამოუტანია, სახელმწიფო ნოტარიუსი თავისი ვარაუდის შესახებ ატყობინებს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 267-ე მუხლში აღნიშნულ ერთ-ერთ პირს ან ერთ-ერთ ორგანიზაციას, რომლებსაც შეუძლიათ აღძრან სასამართლოს წინაშე საკითხი ამ პირის არაქმედუნარიანად აღიარების შესახებ. თავის წერილში სახელმწიფო ნოტარიუსი სთხოვს შეატყობინონ მას მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. ამ თანამდებობის პირის (ორგანიზაციის) მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად სახელმწიფო ნოტარიუსი ან შეასრულებს გარიგებას, ანდა შეაჩერებს სანოტარო მოქმედების შესრულებას სასამართლოში საქმის განხილვამდე.

გარიგებანი 15 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა სახელით, აგრეთვე იმ მოქალაქეთა სახელით, რომლებიც სასამართლოს წესით აღიარებული არიან არაქმედუნარიანად, შეიძლება დადონ მათმა მშობლებმა, მშვილებლებმა ან მეურვეებმა (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-13 და მე-15 მუხლები).

15-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა სახელით დადებული გარიგებანი შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ მშობელთა, მშვილებელთა ან მზრუნველთა თანხმობით (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-14 მუხლი).

თუ მშობლებს (მშვილებლებს), მეურვეებს ან მზრუნველებს რაიმე მიზეზით (იმყოფებიან მივლინებაში, ცხოვრობენ სხვა ადგილზე და ა. შ.) არ შეუძლიათ მისცენ თანხმობა გარიგების დასადასტურებლად, იგი შეიძლება დადასტურდეს სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოს წარმომადგენლის მონაწილეობით. ამასთან დაცული უნდა იყოს საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 150-ე მუხლის მოთხოვნები.

სახელმწიფო ნოტარიუსები მოითხოვენ სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოს ნებართვას მეურვის უფლებით დადონ და მზრუნველის უფლებით

ეროვნული

თანხმობა განაცხადონ სამეურვეო პირის სახელით ისეთ გარიგებათა დასადებად, რაც საყოფაცხოვრებო გარიგებათა ფარგლებს სცილდება. კერძოდ, სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოს წინასწარი ნებართვა საჭიროა სანოტარო წესით დასადასტურებელ ხელშეკრულებათა დასადებად, სამეურვეო პირის კუთვნილ უფლებებზე უარის სათქმელად, ქონების გასაყოფად, საცხოვრებელი სადგომების გასაცვლელად და ქონების გასასხვისებლად.

სამეურვეო პირის სახელით ნაჩუქრობის ხელშეკრულების დადასტურება არ შეიძლება.

ეს წესები ვრცელდება იმ გარიგებებზეც, რომლებსაც სდებენ მშობლები (მშვილებლები) თავიანთი არასრულწლოვანი შვილების მეურვეთა (მზრუნველთა) სახით (საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 150-ე მუხლი).

სამეურვეო პირის 100 მანეთამდე ღირებულების ქონების გასხვისება შეუძლია მეურვეს (მზრუნველს) ქალაქებში სახალხო განათლების განყოფილების გამგის თანხმობით, სოფლებსა და მუშათა დაბებში — სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოს თანხმობით.

თუ ქონების ღირებულება 100 მანეთს აღემატება, მაშინ საკითხს გადაწყვეტს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომი.

32. გარიგებაში მონაწილე იურიდიულ პირთა უფლებაუნარიანობის შემოწმებისას სახელმწიფო ნოტარიუსები მოვალენი არიან გაეცნონ იურიდიული პირის წესდებასა და დებულებას და შეამოწმონ, შეესაბამება თუ არა შესასრულებელი მოქმედება წესდებით ან დებულებით იურიდიული პირისათვის მინიჭებულ უფლებას.

ისეთი გარიგების დადასტურებისას, რომელშიც მხარეა კოლმეურნეობა, სახელმწიფო ნოტარიუსები შეამოწმებენ, რეგისტრირებულია თუ არა მოცემული კოლმეურნეობის წესდება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

33. წარმომადგენლის მიერ გარიგების შესრულების შემთხვევაში სახელმწიფო ნოტარიუსები შეამოწმებენ მის უფლებამოსილებას. წარმომადგენლის უფლებამოსილება დასტურდება მის სახელზე გაცემული რწმუნებულებით.

სახელმწიფო ნოტარიუსები არ მოითხოვენ რწმუნებულებას გარიგების დასადებად და სხვა მოქმედების შესასრულებლად იმ იურიდიულ პირთა ხელმძღვანელებისაგან, რომელთაც წესდებით ან დებულებით მინიჭებული აქვთ გარიგების დადების უფლება. ასეთ შემთხვევებში მათ მოეთხოვებათ მხოლოდ თანამდებობრივი მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

თუ იურიდიულ პირს მართავს არჩევითი კოლეგიური ორგანო, გამოთხოვილ უნდა იქნეს დადგენილება თანამდებობის პირთა არჩევისა და მათ შორის მოვალეობათა განაწილების შესახებ.

34. შეთანხმება ქონების გასხვისების ხელშეკრულების მოშლის შესახებ შეიძლება გაფორმდეს როგორც ხელშეკრულებაზე თანდართული ცალკე დოკუმენტის შედგენით, ისე მხარეთა მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების ყველა ეგზემპლარზე წარწერითაც.

ქონების გასხვისების ხელშეკრულების მოშლისას, თუ ეს ხელშეკრულება ჯერ კიდევ არ არის რეგისტრირებული შესაბამის ორგანოში, სახელმწიფო ნოტარიუსი მხარეთა განცხადების საფუძველზე ხელშეკრულების მოშლას აღნიშნავს მის ყველა ეგზემპლარზე და რეესტრში.

ხელშეკრულების მოშლის შესახებ მხარეთა შეთანხმება, რომელიც დაიდება შესაბამის ორგანოში მისი რეგისტრაციის შემდეგ, დასტურდება სანოტარო წესით.

იმ შემთხვევაში, თუ მიღებულია სასამართლოს გადაწყვეტილება ქონების გასხვისების ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ, სახელმწიფო ნოტარიუსი ამას აღნიშნავს რეესტრში და ხელშეკრულების ეგზემპლარზე, რომელიც ინახება სახელმწიფო სანოტარო კანტორის საქმეებში.

ქონების გამყიდველს (მჩუქებელს) მისი მოთხოვნით უბრუნდება სახელმწიფო სანოტარო კანტორაში არსებული უფლებაგანმსაზღვრელი დოკუმენტი (ან მისი დუბლიკატი), რომელიც გამყიდველს (მჩუქებელს) ჰქონდა ქონების გასხვისების შესახებ მოსაშლელი ხელშეკრულების დადებამდე.

აღნიშნულ ხელშეკრულებათა მოშლისას ადრე ამ ხელშეკრულებათა დადასტურებისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი მხარეებს არ უბრუნდებათ.

35. ხელშეკრულება სპეციალურ აღრიცხვაზე არსებული ქონების (საცხოვრებელი სახლი და სხვ.) გასხვისების შესახებ, აგრეთვე შეთანხმება ასეთი ხელშეკრულების მოშლის შესახებ (შესაბამის ორგანოში მისი რეგისტრაციის შემდეგ) წარდგენილ უნდა იქნეს სარეგისტრაციოდ ამ ქონების აღრიცხვის ადგილზე, რის შესახებაც სახელმწიფო ნოტარიუსი აღნიშნავს დამადასტურებელ წარწერაში და განუმარტავს მხარეებს.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის თანახმად ხელშეკრულება საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის სახლში ბინის გასხვისების ხელშეკრულება წარდგენილ უნდა იქნეს სარეგისტრაციოდ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში (ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში) სამი თვის განმავლობაში.

36. ხელშეკრულებები, ანდერძები, რწმუნებულებები და სხვა დოკუმენტები, რომლებშიც ჩამოყალიბებულია სანოტარო წესით დასადასტურებელ გარიგებათა შინაარსი, სახელმწიფო ნოტარიუსებს წარედგინებათ სულ ცოტა ორ ეგზემპლარად მაინც, რომელთაგან ერთი რჩება სახელმწიფო სანოტარო კანტორის საქმეებში.

ყველა ეგზემპლარს ხელს აწერენ გარიგების მონაწილენი. დამადასტურებელი წარწერა ასევე გაკეთდება ყველა ეგზემპლარზე. გარიგების მონაწილეთა სურვილისამებრ ყოველ მათგანს მიეცემა თითო ეგზემპლარი.

### საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გაცემის ხელშეკრულებათა დადასტურება

37. პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გაცემის ხელშეკრულებებს ადასტურებენ სახელმწიფო სანოტარო კანტორები მიწის ნაკვეთის გამოყოფის ადგილის მახედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების უვადო სარგებლობაში გაცემის ხელშეკრულებათა დადასტურებისას სახელმწიფო ნოტარიუსები ამოწმებენ, თუ რამდენად შეესაბამება ხელშეკრულება იმ კანონმდებლობის მოთხოვნებს, რომელიც აწესრიგებს მოქალაქეთა უფლებას საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე[1]).

საჭიროა აგრეთვე შემოწმდეს, შეიცავს თუ არა ხელშეკრულება პირადი საკუთრების ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის უვადო სარგებლობაში გაცემის ტიპობრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა აუცილებელ რეკვიზიტს.

აღნიშნულ ხელშეკრულებათა დადასტურებისას სახელმწიფო ნოტარიუსები გამოითხოვენ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (საქალაქო), რაიონული, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებას მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ და მიწის ნაკვეთის გეგმისა და განაშენიანების პროექტის ორ ეგზემპლარს.

მიწის ნაკვეთის გეგმა და განაშენიანების პროექტი თან დაერთვის ხელშეკრულებათა ეგზემპლარებს, რომლებიც მხარეებს ეძლევათ. სახელმწიფო სანოტარო კანტორაში დარჩენილ ეგზემპლარს მიწის ნაკვეთის გეგმა და განაშენიანების პროექტი არ დაერთვის.

საჭირო არ არის განაშენიანების პროექტის წარდგენა მაშინ, როცა დასტურდება ხელშეკრულება სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირებით მოქალაქეთა კუთვნილი ნაგებობების გადასატანად მიწის ნაკვეთების მიცემის შესახებ.

38. საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების მიცემის ხელშეკრულებათა დადასტურებისას სახელმწიფო ნოტარიუსები მენაშენეებს განუმარტავენ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 104-ე და 105-ე მუხლების შინაარსს, რაც აღინიშნება ხელშეკრულების ტექსტში მხარეთა ხელმოწერის წინ.

39. საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის მიცემის ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში მხარეების (კომუნალური მეურნეობის სამმართველოს (განყოფილების) და მენაშენის) თანხმობით სახელმწიფო ნოტარიუსები ხელშეკრულების მოშლის შესახებ აღნიშნავენ სანოტარო კან-

---

[1]) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულება „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვისა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებანი, 1948 წ., № 36; 1958 წ., № 16; 1964 წ., № 35); სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 26 აგვისტოს დადგენილება „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვისა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულების გამოყენების წესის თაობაზე“ (სსრკ დადგ. კრებ., 1948 წ., № 5, მუხ. 62); საქართველოს სსრ მიწის კოდექსი და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორაში არსებულ ეგზემპლარზე და რეესტრში. ასეთი აღნიშვნა კეთდება ხელშეკრულების მოშლის შესახებ მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მიღებულია მენაშენის განცხადების მიხედვით. ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებით მხარეთა გამოცხადება სანოტარო კანტორაში სავალდებულო არ არის.

40. მხარეების (კომუნალური მეურნეობის სამმართველოს (განყოფილების) და მენაშენის) შეთანხმება საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის მიცემის ნოტარიულად დადასტურებული ხელშეკრულების პირობების შეცვლის შესახებ შეიძლება დადასტურდეს მას შემდეგ, რაც სახელმწიფო ნოტარიუსს წარუდგენენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებას ხელშეკრულების პირობების შეცვლის თაობაზე.

ხელშეკრულების პირობების შეცვლა შეიძლება როგორც ხელშეკრულების მოშლისა და მის ნაცვლად ახლის დადებით, ისევე ხელშეკრულების პირობების შეცვლის თაობაზე ცალკე შეთანხმების შედგენით. ამ შემთხვევაში შეთანხმება თან დაერთვის თავდაპირველი ხელშეკრულების ეგზემპლარებს. შეთანხმების შინაარსი შეიძლება გადმოცემულ იქნეს თავდაპირველი ხელშეკრულების ყველა ეგზემპლარზე წარწერის სახითაც.

შეთანხმებას ხელი უნდა მოაწერონ კომუნალური მეურნეობის სამმართველოს (განყოფილების) წარმომადგენელმა, მენაშენემ, და უნდა დადასტურდეს სანოტარო წესით.

### საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში ბინის გასხვისების გარიგებათა დადასტურება

41. საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში ბინის გასხვისების ხელშეკრულებანი დასტურდება საცხოვრებელი სახლის ადგილსამყოფელის მიხედვით.

42. საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ბინის გასხვისების ხელშეკრულებათა სანოტარო დადასტურებისას სახელმწიფო ნოტარიუსები ამოწმებენ, ეკუთვნის თუ არა ისინი გამსხვისებელ პირს.

გასასხვისებელ საცხოვრებელ სახლზე (სახლის ნაწილზე) ან ბინაზე მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლება შეიძლება დადასტურდეს, კერძოდ, ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტით:

— ნოტარიულად დადასტურებული დოკუმენტი პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის მიცემის შესახებ (ხელშეკრულება განაშენიანების უფლების შესახებ, დადებული 1948 წლის 26 აგვისტომდე), აგრეთვე ხელშეკრულება ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშე-

№ 3
ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებლო კოლექტივისათვის საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის მიცემის შესახებ;

— ნოტარიულად დადასტურებული (ან 1931—1936 წლებში კომუნალური ორგანოს მიერ დამოწმებული) ყიდვა-გაყიდვის (მათ შორის გამყიდველის გარდაცვალებამდე რჩენის პირობით), ნაჩუქრობის, გაცვლილობის ხელშეკრულება;

— საჯარო ვაჭრობით საცხოვრებელი სახლის შეძენის აქტის ასლი;

— აქტი სახლის დემუნიციპალიზაციის შესახებ;

— მემკვიდრეობის უფლების მოწმობა;

— მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობა;

— სახლზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი;

— ხელშეკრულება სახლის გაყოფის შესახებ;

— მეუღლეთა შორის სახლის გაყოფის შესახებ ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი;

— სარეგისტრაციო მოწმობა.

ჩამოთვლილ დოკუმენტებზე, გარდა სარეგისტრაციო მოწმობისა, აღნიშნული უნდა იყოს, რომ ისინი რეგისტრირებულია მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში (ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში), რომელიც აწარმოებს ნაგებობის რეგისტრაციას.

გასასხვისებელ სახლზე (სახლის ნაწილზე) ან ბინაზე უფლების განმსაზღვრელი დოკუმენტის გარდა, იმ ადგილებში, სადაც ჩატარებულია ინვენტარიზაცია, სახელმწიფო ნოტარიუსი გამოითხოვს ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ცნობას.

თუ ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ცნობაში აღნიშნული მიწის ნაკვეთის ფაქტიური ფართობი უფრო მეტი აღმოჩნდება, ვიდრე აღნიშნულია უფლებაგანმსაზღვრელ დოკუმენტში, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როცა ცნობიდან ჩანს, რომ მესაკუთრემ მიაშენა (დააშენა) სახლს ან არასაცხოვრებელი სადგომი გადააკეთა საცხოვრებლად დაწესებული ნებართვის გარეშე, სახელმწიფო ნოტარიუსი მოითხოვს წარუდგინონ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება მიწის ნაკვეთის ფართობის შეცვლის (მოცემული ადგილისათვის დაწესებული ნორმების ფარგლებში) ან მიშენების (დაშენების), ანდა გადაკეთების ნებართვის შესახებ. თუ აღმასრულებელი კომიტეტის ასეთი გადაწყვეტილება არ არსებობს, მიწის ნაკვეთის და საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ფართობი გასხვისების ხელშეკრულებაში აღინიშნება უფლებაგანმსაზღვრელი დოკუმენტის მიხედვით.

თუ ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ცნობაში აღნიშნული მიწის ნაკვეთის ან საცხოვრებელი სახლის ფაქტიური ფართობი უფრო ნაკლები აღმოჩნდება, ვიდრე აღნიშნულია უფლებაგანმსაზღვრელ დოკუმენტში, გასხვისების ხელშეკრულებაში მათი ფართობი აღინიშნება ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ცნობის მიხედვით.

მუხ. 60
ეროვნული ბიბლიოთეკა

43. ხელშეკრულება საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის), ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის სახლში ბინის გასხვისების შესახებ შეიძლება დადასტურდეს იმ პირობით, თუ საცხოვრებელი სახლის ერთი (სახლის ნაწილის) ან ბინის ყიდვა--გაყიდვის, ანდა გაცვლის შედეგად შემძენს, მასთან ერთად მცხოვრებ მეუღლეს და მათს არასრულწლოვან შვილებს არ აღმოაჩნდებათ ერთ საცხოვრებელ სახლზე (ერთი სახლის ნაწილზე), ბინაზე მეტი. თუ ერთ ან რამდენიმე ზემოაღნიშნულ მოქალაქეს პირადი საკუთრების უფლებით ექნება საცხოვრებელი სახლის ნაწილი, ეს არ შეიძლება წარმოადგენდეს დაბრკოლებას ხელშეკრულების დადასტურებისათვის, როცა აღნიშნული სახლის მეორე ნაწილს იძენს დანარჩენი ხსენებული მოქალაქეთაგანი.

მაგრამ ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში ერთად მცხოვრებ მეუღლეებსა და მათს არასრულწლოვან შვილებს შეუძლიათ ჰქონდეთ მხოლოდ ერთი ბინა. სახლის (სახლის ნაწილის), ბინის ყიდვა-გაყიდვის, გაცვლილობის ხელშეკრულების მიხედვით შეძენილი საცხოვრებელი ფართობის ზღვრული ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 60 კვადრატულ მეტრს და დამხმარე ფართობისა — 40 კვადრატულ მეტრს.

60 კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობის საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის), ბინის ყიდვა-გაყიდვის ან გაცვლილობის ხელშეკრულება შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით იმასთან დაკავშირებით, რომ შემძენს ჰყავს დიდი ოჯახი, ანდა აქვს დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლება. ასეთ შემთხვევაში სახლის (სახლის ნაწილის), ბინის საცხოვრებელი ფართობი არ უნდა აღემატებოდეს იმ ოდენობას, რაც მოცემული ოჯახისათვის განსაზღვრულია დაწესებული ნორმების მიხედვით, დამატებითი ფართობის უფლების გათვალისწინებით (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 104-ე მუხლი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 14 დეკემბრის დადგენილების მე-2 პუნქტი).

საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის), ბინის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადასტურებისას დაცული უნდა იყოს აგრეთვე ის პირობა, რომ მესაკუთრეს არ შეუძლია გაყიდოს ერთ საცხოვრებელ სახლზე (ერთი სახლის ნაწილზე) ან ბინაზე მეტი სამი წლის განმავლობაში, გარდა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 105 მუხლით გათვალისწინებული გაყიდვის შემთხვევისა (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 238-ე მუხლი).

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, წინანდელი გაყიდვის დღიდან სამი წლის გასვლამდე სახლის (ან ერთი სახლის ნაწილის), ბინის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა გამყიდველს, მასთან ერთად მცხოვრებ მეუღლეს და მათს არასრულწლოვან შვილებს აღმოაჩნდებათ ერთზე მეტი სახლი კანონით დასაშვებ საფუძველზე (მემკვიდრეობის უფლებით, ნაჩუქ-

№ 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

რობის ხელშეკრულებით ანდა სახლების მესაკუთრეთა დაქორწინების შემდეგად)[1]).

44. საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის), ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის სახლში ბინის გასხვისების ხელშეკრულებათა დადასტურებისას სახელმწიფო ნოტარიუსები ამოწმებენ, რომ გასხვისებაზე დადებული არ არის ყადაღა.

მიუხედავად იმისა, ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ცნობაში აღნიშნულია თუ არა ყადაღის არარსებობა, სახელმწიფო ნოტარიუსები მოვალენი არიან შეამოწმონ ეს მონაცემები სანოტარო კანტორის დოკუმენტების მიხედვით, რის შესახებაც სახელმწიფო ნოტარიუსი აღნიშნავს ხელშეკრულების ეგზემპლარზე, რომელიც რჩება სანოტარო კანტორის საქმეებში.

თუ გასხვისებაზე დადებულია ყადაღა, საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ბინის გასხვისების ხელშეკრულება შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ კრედიტორი და შემძენი თანახმანი არიან ვალი გადატანილ იქნეს შემძენზე, ხოლო თუ დადებულია ყადაღა, — მხოლოდ მისი მოხსნის შემდეგ.

45. ხელშეკრულება იმ საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის), ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის სახლში ბინის გასხვისების შესახებ, რომლებიც შეძენილია ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ და მეუღლეთა საერთო (ერთობლივ) საკუთრებას წარმოადგენს, შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ მაშინ, თუ წარდგენილ იქნება მეორე მხარის (ცოლის, ქმრის) წერილობითი თანხმობა სახლის (სახლის ნაწილის), ბინის გასხვისების შესახებ.

საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ბინის გასხვისებაზე თანხმობის შესახებ მეუღლის განცხადების ხელმოწერის ნამდვილობა ნოტარიულად უნდა დაამოწმოს სანოტარო ორგანომ ან ორგანიზაციამ, რომელშიც მუშაობს ან სწავლობს მეუღლე, იმ სახლის მმართველობამ, რომელშიც იგი ცხოვრობს, ან იმ სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციამ, რომელშიც იგი იმყოფება განსაკურნავად. ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება საჭირო არ არის, თუ მეუღლე პირადად გამოცხადდება და ჩააბარებს სახელმწიფო ნოტარიუსს განცხადებას გასხვისებაზე თანხმობის შესახებ. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ნოტარიუსი დაადგენს მეუღლის ვინაობას და შეამოწმებს მისი ხელმოწერის ნამდვილობას, რასაც აღნიშნავს განცხადებაზე, და მიუთითებს მეუღლის ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელებას, მის ნომერს, გაცემის თარიღს და დოკუმენტის გამცემი დაწესებულების დასახელებას.

თუ მეორე მხარის (ცოლის, ქმრის) განცხადებაში აღნიშნულია, პერსონალურად ვის (მოქალაქის გვარი, სახელი, მამის სახელი, ორგანიზაციის დასახელება) უნდა მიყიდოს ან აჩუქოს ერთობლივად შეძენილი სახლი (სახლის ნა-

---

[1]) ამასთან გამორიცხული არ არის ამ ვალის განმავლობაში ერთი საცხოვრებელი სახლის (ერთი სახლის ნაწილის) ნაწილ-ნაწილ გასხვისების შესაძლებლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წილი), ბინა, ანდა აღნიშნულია ფასი და გაყიდვის სხვა პირობები, სახელმწიფო ნოტარიუსი გასხვისების ხელშეკრულების დადასტურებისას მოვალეა შეამოწმოს, დაცულია თუ არა მეუღლის განცხადებაში აღნიშნული პირობები.

იმ შემთხვევაში, როცა სახლზე (სახლის ნაწილზე) უფლების განმსაზღვრელი დოკუმენტით (სარეგისტრაციო მოწმობა, ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ცნობა და სხვ.) შეუძლებელია დადგინდეს მისი შეძენის დრო და საფუძველი, ხოლო სახლის (სახლის ნაწილის) გამსხვისებელი პირის მეუღლე თავს არიდებს წერილობითი პასუხის გაცემას იმ შეკითხვაზე, რომ თანახმაა საცხოვრებელი სახლი (სახლის ნაწილი) გაასხვისოს მეორე მხარემ (ცოლმა, ქმარმა), რომლის სახელზეც არის რეგისტრირებული სახლი (სახლის ნაწილი), ამ უკანასკნელს შეიძლება გადაეცეს „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 85-ე მუხლით გათვალისწინებული წესით მეუღლის განცხადება იმ წინადადებით, რომ გამოცხადდეს სახელმწიფო სანოტარო კანტორაში, რათა გაირკვეს მისი წილი სახლში (სახლის ნაწილში). თუ იგი სანოტარო კანტორაში არ გამოცხადდება დაწესებულ ვადაში და არ გაგზავნის განცხადების მიღების დღიდან ერთი თვის განმავლობაში თავის მოსაზრებებს, სახელმწიფო ნოტარიუსს შეუძლია დაადასტუროს სახლის (სახლის ნაწილის) ან ბინის გასხვისების ხელშეკრულება იმ მეუღლის სახელით, რომელზეც ირიცხება საცხოვრებელი სახლი (სახლის ნაწილი) ან ბინა უფლებაგანმსაზღვრელი დოკუმენტის მიხედვით.

46. სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინათმშენებლო კოლექტივის სახლში ბინის გასხვისების ხელშეკრულება შეიძლება დადასტურდეს მეორე მხარის (ცოლის, ქმრის) თანხმობის გამოუთხოვად, თუ უფლებაგანმსაზღვრელი დოკუმენტიდან, ქორწინების მოწმობიდან ან სხვა დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სახლი (სახლის ნაწილი) ან ბინა საერთო კი არ არის, არამედ ერთი მხარის (ცოლის, ქმრის) პირადი საკუთრებაა (შეძენილია მეუღლეთა დაქორწინებამდე, მიღებულია მემკვიდრეობით ან ნაჩუქრობის ხელშეკრულებით, ანდა ქორწინების განმავლობაში შეძენილი სახლი (სახლის ნაწილი), ბინა ადრე გაყოფილია).

სახლის (სახლის ნაწილის) გასხვისების ხელშეკრულება შეიძლება დადასტურდეს მეორე მხარის (ცოლის, ქმრის) თანხმობის გამოუთხოვად იმ შემთხვევებშიც, როცა იგი არ ცხოვრობს სახლის ადგილსამყოფელზე და მისი საცხოვრებელი ადგილი უცნობია. ამის დასადასტურებლად წარდგენილ უნდა იქნეს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მეუღლის ადგილსამყოფელი უცნობია.

თუ საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის), ბინის გამსხვისებელი მოქალაქე წარადგენს წერილობით განცხადებას იმის შესახებ, რომ მას არა ჰყავს მეუღლე (მარტოხელაა, ქვრივია), სახელმწიფო ნოტარიუსი ამას აცნობებს გარიგების მეორე მონაწილეს, რომელიც იმის დასტურად, რომ აღნიშნული გარემოება მისთვის ცნობილია, ხელს აწერს განცხადებაზე. ეს განცხადება უნდა გამომდინარეობდეს პირადად საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის), ბინის გამსხვისებელი პირისაგან, ხოლო წარმომადგენლის მეშვეობით გარიგების დადების შემთხვევაში, — წარმომადგენლისაგან.

47. იმ შემთხვევებში, როცა საცხოვრებელი სახლის საერთო წილობრივი საკუთრების ერთ-ერთი მონაწილის კუთვნილ წილს საცხოვრებელ სახლში ყიდულობს გარეშე პირი, სახელმწიფო ნოტარიუსი უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ გამყიდველმა წერილობით აცნობა საერთო წილობრივი საკუთრების დანარჩენ მონაწილეებს (მათ შორის 60 კვადრატული მეტრი და მეტი საცხოვრებელი ფართობის მქონე მოქალაქეებს, აგრეთვე დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს), რომ განზრახული აქვს მიყიდოს თავისი კუთვნილი წილი გარეშე პირს, ამასთან აღნიშნოს ფასი და სხვა პირობები, რომელთა მიხედვითაც ჰყიდის სახლის ნაწილს (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 115-ე მუხლი).

საერთო წილობრივი საკუთრების მონაწილეებისათვის საერთო სახლის წილის მომავალი გაყიდვის შეტყობინების გადაცემულებას შეიძლება წარმოადგენდეს სახელმწიფო სანოტარო კანტორის მოწმობა „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 71-ე მუხლით გათვალისწინებული წესით გამყიდველის განცხადების გადაცემის თაობაზე, ან საერთო წილობრივი საკუთრების მონაწილეთა განცხადება იმის შესახებ, რომ ისინი უარს ამბობენ განახორციელონ სახლის გასაყიდი ნაწილის უპირატესი შესყიდვის უფლება (ფასისა და სხვა პირობების აღნიშვნით, რომელთა მიხედვითაც იყიდება ეს წილი).

საერთო წილობრივი საკუთრების მონაწილეთა განცხადებაზე ხელმოწერის ნამდვილობა შეიძლება დაამოწმოს ორგანომ, რომელმაც სანოტარო მოქმედება შეასრულა, ან ორგანიზაციამ, რომელშიც ისინი მუშაობენ ან სწავლობენ, იმ სახლის მმართველობამ, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, ანდა იმ სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციამ, რომელშიც ისინი იმყოფებიან განსაკურნავად.

თუ საერთო წილობრივი საკუთრების მონაწილეს აღნიშნული განცხადება გადასცა ხელშეკრულების დამადასტურებელმა სახელმწიფო სანოტარო კანტორამ, მაშინ მოწმობა განცხადების გადაცემის შესახებ არ გაიცემა, მაგრამ განცხადების ეგზემპლარი, რომელზეც ხელს აწერს სახელმწიფო ნოტარიუსი მისი ჩაბარების შესახებ, თან უნდა დაერთოს სახლის წილის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო კანტორაში.

საერთო წილობრივი საკუთრების მონაწილეთაგან მიღებული პასუხი აგრეთვე თან დაერთვის ხელშეკრულების აღნიშნულ ეგზემპლარს.

თუ სახლის წილს ყიდულობს საერთო წილობრივი საკუთრების ერთ-ერთი მონაწილე, საერთო წილობრივი საკუთრების სხვა მონაწილეთა შეტყობინება საჭირო არ არის.

საცხოვრებელი სახლის წილის ნაჩუქრობისა და გაცვლილობის ხელშეკრულებათა დადასტურებისას ამ პუნქტის წესები არ გამოიყენება.

48. თუ საერთო წილობრივი საკუთრების დანარჩენი მონაწილენი უარს იტყვიან უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელებაზე ან არ განახორციელებენ ამ უფლებას იმ დღიდან ერთი თვის განმავლობაში, რაც მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეცნობათ გაყიდვის განზრახვა და პირობები. სახელმწიფო ნოტარიუსი დაადასტურებს გარეშე პირისათვის სახლის წილის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას.

გარეშე პირისათვის სახლის წილის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება შეიძლება დადასტურდეს იმ შემთხვევაშიც, თუ საერთო წილობრივი საკუთრების სხვა მონაწილენი არ ცხოვრობენ სახლის ადგილსამყოფელზე და მათი მისამართი უცნობია. ამის დასადასტურებლად წარდგენილ უნდა იქნეს ცნობათა ბიუროს (სამისამართო მაგიდის) ან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შესაბამისი დოკუმენტი.

49. არასრულწლოვანთა, აგრეთვე სასამართლოს მიერ არაქმედუნარიანად ანდა შეზღუდულ ქმედუნარიანად ცნობილ პირთა კუთვნილი საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის სახლში ბინის გასხვისების გარიგების დადასტურებისას სახელმწიფო ნოტარიუსი ხელმძღვანელობს ამ ინსტრუქციის 31-ე პუნქტით.

თუ სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოები ავალებენ მშობლებს, მეურვეებს ან მზრუნველებს შეიტანონ არასრულწლოვანთა ან სხვა არაქმედუნარიან პირთა სახელზე შემნახველ სალაროში გაყიდული სახლის (სახლის ნაწილის) ან ბინის თანხები, მაშინ სახელმწიფო ნოტარიუსმა უნდა შეამოწმოს ამ მოთხოვნის შესრულება და ეს აღნიშნოს ხელშეკრულების ტექსტში.

50. პირადი საკუთრების უფლებით ერთი პირის ან საერთო საკუთრების უფლებით რამდენიმე პირის კუთვნილი და ერთ მიწის ნაკვეთზე არსებული რამდენიმე საცხოვრებელი სახლიდან ერთ-ერთის გასხვისების ხელშეკრულება შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი გამოყოფს მიწის ნაკვეთის ნაწილს ნატურაში მასზე არსებული გასასხვისებელი სახლით ცალკე ნომრით ქუჩაზე, ჩიხში და ა. შ. თუ მიწის ნაკვეთის ასე გამოყოფა შეუძლებელია, მაშინ სახელმწიფო ნოტარიუსი ადასტურებს ხელშეკრულებას მთლიანად საცხოვრებელ სახლზე საერთო საკუთრების უფლებაში განსაზღვრული წილის გასხვისების შესახებ.

51. სახლის წილის გასხვისების შესახებ აღინიშნება უფლებაგანმსაზღვრელ დოკუმენტში.

52. საცხოვრებელი სახლის წილის გასხვისების ხელშეკრულების ტექსტში აღინიშნება არითმეტიკული წილი, და არა სახლის კონკრეტული ნაწილები.

53. მესაკუთრის მიერ საცხოვრებელი სახლის წილის გასხვისების ხელშეკრულებაში შეიძლება აღინიშნოს აგრეთვე მისი კონკრეტული ნაწილებით სარგებლობის წესი, ასევე მიწის ნაკვეთით სარგებლობის წესი.

საერთო წილობრივი საკუთრების ერთ-ერთი მონაწილის მიერ საცხოვრებელ სახლში მისთვის კუთვნილი წილის გასხვისების ხელშეკრულებაში სახლის კონკრეტული ნაწილებით სარგებლობის წესი შეიძლება აღინიშნოს მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს საერთო წილობრივი საკუთრების მონაწილეთა შესაბამისი შეთანხმება სახლის სარგებლობის წესის შესახებ, ანდა მათი წერილობითი თანხმობით ან თუ მიღებულია სასამართლოს გადაწყვეტილება სახლის კონკრეტული ნაწილებით სარგებლობის წესის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეთანხმება საერთო წილობრივი საკუთრების მონაწილეთა შორის საერთო საცხოვრებელი სახლით სარგებლობის წესის შესახებ სახლის კონკრეტული ნაწილების (ბინა, ოთახები, სართულები და ა. შ.) მითითებით, აგრეთვე მიწის ნაკვეთით სარგებლობის წესის შესახებ შეიძლება გაფორმდეს დამოუკიდებელი დოკუმენტის შედგენით.

ასეთ შეთანხმებათა დადასტურებისას საჭიროა ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ცნობა და მიმოხილვისათვის — სახლზე უფლების განმსაზღვრელი დოკუმენტი.

54. საცხოვრებელი სახლის საერთო საკუთრებაში წილის გასხვისების ხელშეკრულების დადასტურებისას სახელმწიფო ნოტარიუსი განუმარტავს წილის შემძენ პირს, რომ თუ ამ სახლის საერთო წილობრივი საკუთრების მონაწილეთა შორის წინათ დათქმული შეთანხმება მონაწილეთა წილების შესაბამისად სახლის განცალკევებული სადგომებით სარგებლობის წესის შესახებ ნოტარიულად დადასტურებულია და რეგისტრირებულია მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში (ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში), რომელიც ახორციელებს ნაგებობის რეგისტრაციას, ეს შეთანხმება სავალდებულოა ამ სახლის საერთო საკუთრების წილის შემძენი პირისათვისაც (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 120-ე მუხლი).

55. შეთანხმება წილის ოდენობის განსაზღვრის ან წილის ოდენობის შეცვლის შესახებ, თუ სახლზე უფლების განმსაზღვრელ დოკუმენტში წილის ოდენობა აღნიშნული არ არის ან არასწორადაა აღნიშნული, შეიძლება გაფორმდეს, როგორც დამოუკიდებელი დოკუმენტის შედგენით, ისე უფლებაგანმსაზღვრელ დოკუმენტზე ხელმოწერითაც.

თუ წილის ოდენობა იცვლება საერთო წილობრივი საკუთრების ერთ-ერთი მონაწილის მიერ წარმოებული დამატებითი მშენებლობის (მიშენება, დაშენება და ა. შ.) ან საცხოვრებელი სახლის ნაწილის აღების გამო, სახელმწიფო ნოტარიუსი გამოითხოვს მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებას დამატებითი მშენებლობის ან სახლის ნაწილის აღების შესახებ, ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ცნობას და მიმოხილვისათვის — უფლებაგანმსაზღვრელ დოკუმენტს.

საერთო წილობრივი საკუთრების მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში შეთანხმება წილის ოდენობის შეცვლის შესახებ შეიძლება დადასტურდეს მისი მემკვიდრეების მონაწილეობით, რომლებმაც მემკვიდრეობა მიიღეს.

საცხოვრებელი სახლის საერთო წილობრივ საკუთრებაში თითოეული მონაწილის კუთვნილი წილის ოდენობის დაწესების, აგრეთვე წილის ოდენობის შეცვლის შეთანხმებათა დადასტურებისას დამადასტურებელ წარწერაში აღინიშნება, რომ ეს შეთანხმება ექვემდებარება რეგისტრაციას მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში (ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში), რომელიც ახორციელებს ნაგებობის რეგისტრაციას.

შეთანხმება წილის ოდენობის განსაზღვრის ან შეცვლის შესახებ თან დაერთვის უფლებაგანმსაზღვრელ დოკუმენტს (დოკუმენტებს).

56. სასოფლო დასახლებულ პუნქტებში მდებარე საცხოვრებელი სახლე-ბის (სახლის ნაწილის), ბინის გასხვისების ხელშეკრულების სანოტარო წესით დადასტურებისას, მხარეთა სურვილისამებრ, დაცულ იქნება გარიგებათა დადასტურების ზოგადი წესები.

გარდა ამისა, აღნიშნულ ხელშეკრულებათა დადასტურებისას საჭიროა:

— საკოლმეურნეო (ერთპიროვნული გლეხური) კომლის ყველა სრულწლოვანი წევრის წერილობითი თანხმობა საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) გასხვისებაზე, ხოლო თუ კომლის შემადგენლობაში არიან არასრულწლოვანი და სხვა არაქმედუნარიანი კომლის წევრები, — აგრეთვე სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოების წერილობითი თანხმობა;

— კოლმეურნეობისათვის, საბჭოთა მეურნეობისათვის ან სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის მიჩენილ, ანდა მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს გამგებლობაში არსებულ მიწაზე მდებარე საცხოვრებელი სახლის გასხვისების შემთხვევაში კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების ან რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილება, ანდა საბჭოთა მეურნეობის, სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ადმინისტრაციის ან მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ საკარმიდამო ნაკვეთი მთლიანად ან ნაწილობრივ უნარჩუნდება საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის), ბინის შემძენს, ამასთან უნდა აღინიშნოს მისი ფართობი.

ქალაქის ფარგლებში კოლმეურნეობისათვის, საბჭოთა მეურნეობის ან სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის მიჩენილ მიწაზე მდებარე საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის), ბინის გასხვისების ხელშეკრულებათა დადასტურებისას აგრეთვე საჭიროა კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილება, ანდა საბჭოთა მეურნეობის ან სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ადმინისტრაციის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ საკარმიდამო ნაკვეთი მთლიანად ან ნაწილობრივ უნარჩუნდება საცხოვრებელი სახლის შემძენს, ამასთან უნდა აღინიშნოს მისი ფართობი.

ამ ინსტრუქციის 30-ე, 42-ე და 44-ე პუნქტებში აღნიშნული წესებიდან გამონაკლისის სახით, გამსხვისებელ პირზე საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) კუთვნილება, სახლისა და იმ მიწის ნაკვეთის ფართობი, რომელზეც იგი მდებარეობს, სახლის სადაზღვევო შეფასება, გადასახადების დავალიანების არარსებობა, აგრეთვე სახლის გასხვისებაზე ყადაღის დადების არარსებობა მოწმდება მშრომელთა დეპუტატების სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შესაბამისი ცნობებით. ყველა ეს მონაცემი შეიძლება აღინიშნოს ერთ საერთო ცნობაში.

გადასახადების დავალიანების არარსებობის მტკიცებულებას შეიძლება წარმოადგენდეს აგრეთვე საფინანსო ორგანოს ცნობა, ხოლო სადაზღვევო შეფასების დადასტურებას — სადაზღვევო მოწმობა.

57. მშენებლობადაუმთავრებელი საცხოვრებელი სახლის გასხვისების ხელშეკრულება შეიძლება დადასტურდეს იმ პირობით, თუ არსებობს მშრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვა გასხვისების შესახებ.

აღნიშნული ხელშეკრულების დადასტურებისას საჭიროა იგივე დოკუმენტები, რაც მშენებლობადამთავრებული საცხოვრებელი სახლების გასხვისებისას, გარდა ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ცნობისა. ცნობები მშენებლობადაუმთავრებელი სახლის ღირებულების და გასხვისებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ გამოითხოვება მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური მეურნეობის სამმართველოდან (განყოფილებიდან).

58. ასაღები საცხოვრებელი სახლის გასხვისების ხელშეკრულების დადასტურებისას, მხარეთა სურვილისამებრ, საჭიროა იგივე დოკუმენტები, რაც ადგილზე დატოვებით სახლის გასხვისების ხელშეკრულების გასაფორმებლად.

სასოფლო დასახლებულ პუნქტში მდებარე ასაღები საცხოვრებელი სახლის გასხვისების ხელშეკრულების დადასტურებისას კოლმეურნეობის საერთო კრების გადაწყვეტილება, საბჭოთა მეურნეობის ან სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების წერილობითი თანხმობა იმის შესახებ, რომ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი შეუნარჩუნდეს სახლის შემძენს, საჭირო არ არის.

59. სახლის (სახლის ნაწილის), ბინის გასხვისების გარდაცვალებამდე რჩენის პირობით ხელშეკრულება დასტურდება საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადასტურების ზოგადი წესების დაცვით.

აღნიშნული ხელშეკრულების დადასტურებისას უნდა შემოწმდეს, არის თუ არა სახლის გამყიდველი შრომისუუნარო (ასაკის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო). რაც აღინიშნება ხელშეკრულების ტექსტში.

გარდაცვალებამდე რჩენის პირობით სახლის (სახლის ნაწილის), ბინის გამყიდველი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც თუმცა შრომისუუნაროა, მაგრამ არასრულწლოვანია.

ხელშეკრულების ტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 439-ე, 441-ე და 443-ე მუხლების შინაარსი განმარტებულია.

სახლის (სახლის ნაწილის) გასხვისების გარდაცვალებამდე რჩენის პირობით ხელშეკრულების დადასტურებისას ამ ინსტრუქციის 47-ე პუნქტში ჩამოყალიბებული წესები არ გამოიყენება.

60. მოქალაქეთა პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებანი სახელმწიფო დაწესებულებებისა და საწარმოების მიერ მათი შეძენის შემთხვევაში დასტურდება იმ პირობით, თუ საცხოვრებელ სახლს ყიდულობენ მათთვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარჯზე იმ ფასად, რაც არ აღემატება სავალდებულო სარგოული დაზღვევის შეფასებას, და თუ არსებობს შესაბამისი ნებართვა სახლის ყიდვის თაობაზე.

კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ აღნიშნული სახლების შეძენისას სახლების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებანი დასტურდება იმ პირობით, თუ მათი შესყიდვის ფასი არ აღემატება სახლების საინვენტარიზაციო შეფასებას, ხოლო ადგილებში, სადაც ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, — სადაზღვევო შეფასებას.

61. სახელმწიფო დაწესებულებებისა და საწარმოების, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების კუთვნილი საცხოვრებელი სახლების მოქალაქეთა მიერ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა დადასტურებისას საჭიროა შემდეგი დოკუმენტები: გაყიდვის ნებართვა ან გასაყიდად გათვალისწინებული სახლების სია, დამტკიცებული — შესაბამისად — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, სამინისტროს ან უწყების მიერ; ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ცნობა; გასაყიდი სახლის შეფასების აქტი, საფინანსო ორგანოს ცნობა სახლის აღრიცხვაზე მიღების შესახებ; მიწის ნაკვეთის გეგმა, იმის მტკიცებულება, რომ მყიდველი გასაყიდი სახლის დამქირავებელია (თუ სახლს ადგილობრივი საბჭო ჰყიდის) ან სახლის გამყიდველი საწარმოს, დაწესებულების მუშაკია (პასპორტი, სახლის დავთრის ამონაწერი, ცნობა სამუშაო ადგილიდან და სხვ.).

მიწის ნაკვეთის გეგმა თან დაერთვის ხელშეკრულებათა ეგზემპლარებს, რომლებიც მხარეებს ეძლევათ. ხელშეკრულების ეგზემპლარს, რომელიც სახელმწიფო სანოტარო კანტორაში რჩება, ეს გეგმა არ დაერთვის.

თუ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება ან სამინისტროს (უწყების) ბრძანება, განკარგულება არ შეიცავს ცნობებს სახლის ღირებულების, საცხოვრებელი ფართობისა და იმის შესახებ, რომ მყიდველი ბინის დამქირავებელია ან სახლის გამყიდველი საწარმოს (დაწესებულების) მუშაკია, სახელმწიფო ნოტარიუსი შეიძლება დაკმაყოფილდეს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წარდგენილი გადაწყვეტილებით, სამინისტროს (უწყების) ბრძანებით ან განკარგულებით და არ გამოითხოვოს შემფასებელი კომისიის აქტი და იმის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომ მყიდველი ბინის დამქირავებელია ან საწარმოს (დაწესებულების) მუშაკია.

62. კოოპერაციული ორგანიზაციების კუთვნილი საცხოვრებელი სახლების ცალკეულ მოქალაქეთა მიერ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებანი დასტურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება იმ პირობით, თუ შესაბამისი ორგანიზაციის წესდება (დებულება) ითვალისწინებს საცხოვრებელი სახლების გაყიდვის უფლებას. ამასთან სახელმწიფო ნოტარიუსი გამოითხოვს დოკუმენტს იმის შესახებ, რომ საცხოვრებელი სახლი მოცემულ ორგანიზაციას ეკუთვნის, ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ცნობას (იმ ადგილებში, სადაც ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, — ცნობას საბალანსო ღირებულების შესახებ), კოოპერაციული ორგანიზაციის წევრთა საერთო კრების დადგენილებას (ან მისი ხელმძღვანელი ორგანოს დადგენილებას, თუ წესდებით ან დებულებით მას მინიჭებული აქვს ამ საკითხების გადაწყვეტის უფლება) სახლის გაყიდვის შესახებ.

კოლმეურნეობის მიერ თავისი კუთვნილი საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება დასტურდება იმ პირობით, თუ არსებობს კოლმეურნეობის ცნობა საცხოვრებელი სახლის საბალანსო ღირებულების შესახებ და კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების ან საამისოდ უფლებამოსილი საკოლმეურნეო ორგანოს დადგენილება სახლის გაყიდვის შესახებ.

63. საერთო წილობრივი საკუთრების შეწყვეტის მიზნით მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სახლების იმ წილის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა დადასტურებისას, რომლებიც სახელმწიფოს (მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს, სახელმწიფო საწარმოებსა და დაწესებულებებს), კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ეკუთვნით, საჭიროა ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ცნობა, გასაყიდი წილის შეფასების აქტი და იმის მტკიცებულება, რომ მყიდველი ცხოვრობს სახლის გასაყიდ ნაწილში დამქირავებლის უფლებით. მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სახლების იმ წილის მიყიდვისას, რომელიც სახელმწიფოს ეკუთვნის, საჭიროა აგრეთვე საფინანსო ორგანოს ცნობა სახლის გასაყიდი წილის აღრიცხვაზე მიღების შესახებ.

თუ სახლის გასაყიდ ნაწილში მცხოვრები მოქალაქენი უარს იტყვიან სახლის წილის უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელებაზე ან არ განახორციელებენ ამ უფლებას ერთი თვის განმავლობაში, სახელმწიფო ნოტარიუსს შეუძლია დააკმაყოფილოს ამ სახლის საერთო წილობრივი საკუთრების მონაწილეთათვის წილის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელნი უარს ამბობენ წილის შესყიდვაზე, შეუძლია დაადასტუროს გარეშე პირთათვის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება.

64. საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის), ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის სახლში ბინის მყიდველსა და გამყიდველს განემარტება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 104-ე და 238-ე მუხლების შინაარსი, ხოლო სახლის (სახლის ნაწილის), ბინის ნაჩუქრობის ხელშეკრულების დადასტურებისას იმ პირს, ვისაც იგი აჩუქეს, განე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 105-ე მუხლის შინაარსი.

მოქალაქეთა პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლების წილის სახელმწიფო დაწესებულებებისა და საწარმოების, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ შეძენის ხელშეკრულებათა დადასტურებისას აღნიშნულ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა წარმომადგენლებს განემარტებათ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 119-ე მუხლის შინაარსი.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის ზემოხსენებული მუხლების განმარტების შესახებ აღინიშნება დასახელებულ ხელშეკრულებათა ტექსტებში.

65. საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის, ბინის გასხვისების ხელშეკრულების დარღვევის შესახებ შეთანხმების დადასტურებისას მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში მისი რეგისტრაციის შემდეგ (ამ ინსტრუქციის 34-ე პუნქტი) გამოთხოვილ უნდა იქნეს ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ცნობა. ამავე დროს სახელმწიფო სანოტარო კანტორის დოკუმენტების მიხედვით უნდა შემოწმდეს, გასხვისებაზე ყადაღა ხომ არ არის დადებული.

თუ სახლი (სახლის ნაწილი), ბინა მეუღლეთა ერთობლივი საკუთრებაა, სახელმწიფო ნოტარიუსი მოითხოვს მეორე მხარის (ცოლის, ქმრის) განცხადებას იმის შესახებ, რომ იგი თანახმაა ხელშეკრულების მოშლისა.

იმ განცხადებაზე მეუღლის ხელმოწერის ნამდვილობა, რომ იგი ხელშეკრულების მოშლის თანახმაა, უნდა დამოწმდეს ამ ინსტრუქციის 45-ე პუნქტში ჩამოყალიბებული წესების მიხედვით.

### საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის სახლში ბინის გირავნობის ხელშეკრულებათა დადასტურება

66. საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში ბინის გირავნობის ხელშეკრულებას დაადასტურებს სახელმწიფო სანოტარო კანტორა საცხოვრებელი სახლის ადგილსამყოფელის მიხედვით.

67. საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის), ბინის გირავნობის ხელშეკრულებათა ნოტარიული დადასტურებისას სახელმწიფო ნოტარიუსები უფლებაგანმსაზღვრელი დოკუმენტის მიხედვით ამოწმებენ, ეკუთვნის თუ არა სახლი (სახლის ნაწილი), ბინა დამგირავებელს, გამოითხოვენ ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ცნობას, აგრეთვე ამოწმებენ, გასხვისებაზე ყადაღა ხომ არ არის დადებული.

თუ გირავნობის ხელშეკრულება იდება საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის), ბინის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადასტურებასთან დაკავშირებით გადასახდელის გადავადებით, და სახელმწიფო ნოტარიუსებს მოეპო-

№ 3 ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებათ შესაბამისი დოკუმენტები, განმეორებით ამ დოკუმენტების წარდგენა საჭირო არ არის.

68. საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის), ბინის გირავნობის ხელშეკრულების დადასტურებისას სახელმწიფო ნოტარიუსი ყადაღას ადებს დასაგირავებელი სახლის (სახლის ნაწილის), ბინის გასხვისებას ამ ინსტრუქციის 112-ე, 113-ე და 114-ე პუნქტებში ჩამოყალიბებული წესების მიხედვით.

**საცხოვრებელი სადგომების ქირავნობის ხელშეკრულებათა დადასტურება**

69. მოქალაქეთა პირადი საკუთრების სახლებში საცხოვრებელი სადგომების ქირავნობის ხელშეკრულების დადასტურებისას, მხარეთა სურვილისამებრ, სახელმწიფო ნოტარიუსი გამოითხოვს ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ცნობას და მიმოხილვისათვის — უფლებაგანმსაზღვრელ დოკუმენტს იმის შესახებ, რომ საცხოვრებელი სახლი (სახლის ნაწილი) ან ბინა ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში ეკუთვნის გამქირავებელს. სახელმწიფო ნოტარიუსი მოვალეა თვალყური ადევნოს იმას, რომ ხელშეკრულებით დათქმული ქირა დაწესებულ განაკვეთს არ აღემატებოდეს[1]).

70. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრის სახელით იმ საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების დადასტურებისას, რომელიც მას აქვს მიცემული კოოპერატივის სახლში, სახელმწიფო ნოტარიუსმა უნდა გამოითხოვოს კოოპერატივის გამგეობისა და გამქირავებლის ოჯახის სრულწლოვან წევრთა წერილობითი თანხმობა ამაზე (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 293-ე და 314-ე მუხლები).

ხელშეკრულების თანხა (სახელმწიფო ბაჟის გამოსაანგარიშებლად) შედგება გამქირავებლისათვის გადახდევინებული იმ საექსპლუატაციო ხარჯების თანხისაგან, რაც მოდის გასაქირავებელ სადგომზე (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 299-ე მუხლი), და დასტურდება ცნობით (საანგარიშსწორებო წიგნაკით).

71. დადგენილი წესით დამქირავებლისათვის დაჯავშნული საცხოვრებელი ფართობის ქვექირავნობის ხელშეკრულებათა დადასტურებისას (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 301-ე მუხლი) სახელმწიფო ნოტარიუსმა უნდა შეამოწმოს, ხომ არ აღემატება ამ ხელშეკრულებათა მიხედვით სადგომის სარგებლობისათვის გადახდილი ქირა ბინის ქირას, რასაც ამ სადგომისათვის იხდის დამქირავებელი (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 315-ე მუხლი).

აღნიშნულ ხელშეკრულებათა დადასტურებისას სახელმწიფო ნოტარიუსი გამოითხოვს:

— მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გაცემულ შეუვალობის მოწმობას (ჯავშანს);

---

1) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 20 დეკემბრის № 726 დადგენილება „იმ სახლებში ბინის ქირის ზღვრული განაკვეთების დაწესების შესახებ, რომლებიც მოქალაქეებს ეკუთვნით პირადი საკუთრების უფლებით“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გამქირავებლის წერილობით თანხმობას სადგომის ქვექირავნობით გაცემის შესახებ;

— დამქირავებლის ოჯახის სრულწლოვან წევრთა წერილობით თანხმობას სადგომის დაქირავების შესახებ;

— საანგარიშსწორებო წიგნაკის ან სახლთმმართველობის უწყების ამონაწერს დამქირავებლის კუთვნილი საექსპლუატაციო ხარჯებისა და ბინის ქირის ოდენობის შესახებ.

ხელშეკრულების თანხა შედგება ბინის ქირისა და ცენტრალური გათბობის ქირის თანხისაგან (წყალმომარაგების, კანალიზაციის და სხვა საექსპლუატაციო ხარჯების ჩაუთვლელად).

ხელშეკრულების ვადას განსაზღვრავენ მხარეები, მაგრამ იგი არ შეიძლება აღემატებოდეს იმ ვადას, რომლითაც გაცემულია შეუვალობის მოწმობა (ჯავშანი).

72. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო ან რაიონული საბჭოს საბინაო სამმართველოს მიერ ცალკეულ მოქალაქეთათვის ისეთი სახლების იჯარით მიცემის ხელშეკრულებათა დადასტურებისას, რომელთა საცხოვრებელი ფართობი 60 კვადრატულ მეტრს არ აღემატება[1]), სახელმწიფო ნოტარიუსი გამოითხოვს მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებას მოცემული სახლის იჯარით მიცემის შესახებ.

მოიჯარეს განემარტება, რომ მას შეუძლია იჯარით აიღოს არა უმეტეს ერთი საცხოვრებელი სახლისა[2]).

## მოქალაქეთა პირადი საკუთრების ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებების გასხვისების ხელშეკრულებათა დადასტურება

73. მსუბუქი ავტომობილებისა და ეტლიანი მოტოციკლების ყიდვა-გაყიდვის და გაცვლილობის ხელშეკრულებათა სანოტარო წესით დადასტურება არ დაიშვება.

---

[1]) „ქალაქებში საბინაო ფონდის დაცვისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ“ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილების მე-17 მუხლი (სსრკ კანონთა კრებული, 1937 წ., № 69, მუხ. 314).

[2]) „არა უმეტეს 60 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის საცხოვრებელი სახლების საიჯარო სარგებლობაში გადაცემის ტიპობრივი ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 25 ნოემბრის დადგენილების მე-2 მუხლი (სსრკ კანონთა კრებული, 1937 წ., № 74, მუხ. 361).

№ 3

74. მსუბუქი ავტომობილებისა და ეტლიანი მოტოციკლების ნაჩუქრობის ხელშეკრულებათა დადასტურებისას სახელმწიფო ნოტარიუსი გამოარკვევს, ნაჩუქრობა ხომ არ ხდება კანონის გვერდის ავლით და აღნიშნულ ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა ყიდვა-გაყიდვის დადგენილი წესის დარღვევით.

75. ინვალიდთა მიერ შეღავათიან პირობებში შეძენილი ხელით სამართავი მსუბუქი ავტომობილების ნაჩუქრობის ხელშეკრულება სანოტარო წესით შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ გაცემულია ნებართვა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროების მიერ.

ხელშეკრულება იმ სატრანსპორტო საშუალებათა გასხვისების შესახებ, რომლებიც შეძენილია ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ და მეუღლეთა ერთობლივ საკუთრებას წარმოადგენენ, შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ მეორე მხარე (ცოლი, ქმარი) წერილობით აცხადებს თანხმობას აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებათა გასხვისებაზე.

76. მსუბუქი ავტომობილებისა და ეტლიანი მოტოციკლების ნაჩუქრობის ხელშეკრულებათა, უეტლო მოტოციკლების, აგრეთვე კატარღებისა და მოტორიანი ნავების გასხვისების (ყიდვა-გაყიდვის, გაცვლილობის, ნაჩუქრობის) ხელშეკრულებათა დადასტურებისას მოწმდება მათი კუთვნილება გამსხვისებელ პირზე — შესაბამისად — ტექნიკური პასპორტის, გემის მოწმობის, გემის ბილეთის მიხედვით.

## ანდერძის დადასტურება

77. სახელმწიფო ნოტარიუსები ადასტურებენ ქმედუნარიან მოქალაქეთა ანდერძს, რომელიც მათ პირადად წარუდგინეს სახელმწიფო ნოტარიუსს. ერთი ანდერძის დადასტურება რამდენიმე პირის სახელით, აგრეთვე წარმომადგენლის მეშვეობით არ დაიშვება.

ანდერძი უნდა შედგეს წერილობით, მისი შედგენის ადგილისა და დროის აღნიშვნით, და მოანდერძემ თვითონ უნდა მოაწეროს ხელი (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 551-ე მუხლი).

თუ მოანდერძე ფიზიკური ნაკლის, ავადმყოფობის ან სხვა მიზეზის გამო თვითონ ვერ მოაწერს ხელს, შეიძლება მისი თხოვნით ანდერძს ხელი მოაწეროს სხვა მოქალაქემ ამ ინსტრუქციის მე-14 პუნქტში ჩამოყალიბებული წესების მიხედვით.

მოქალაქეს, რომელსაც უანდერძებენ ქონებას, უფლება არა აქვს დაესწროს ანდერძის შედგენას და ხელი მოაწეროს მას მოანდერძის მაგიერ.

78. ანდერძის დადასტურებისას სახელმწიფო ნოტარიუსი განუმარტავს მოანდერძეს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 547-ე მუხლის შინაარსს, მაგრამ, თუ ანდერძის საგანს წარმოადგენს მხოლოდ სახელმწიფო შრომითს შემნახველ სალაროში ან სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში შე-

ტანილი ანაბარი, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 547-ე მუხლის შინაარსი მოანდერძეს არ განემარტება.

საკოლმეურნეო (ერთპიროვნული გლეხური) კომლის წევრებს განემარტებათ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 547-ე და 569-ე მუხლების შინაარსი.

79. ანდერძის დადასტურებისას მოანდერძეს არ მოეთხოვება იმ მტკიცებულებათა წარდგენა, რომლებიც ადასტურებენ მის უფლებას საანდერძო ქონებაზე.

80. სახელმწიფო სანოტარო კანტორაში შემოღებულია სახელმწიფო ნოტარიუსების მიერ დადასტურებულ, აგრეთვე „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მე-16 მუხლში აღნიშნულ თანამდებობის პირთა მიერ შესანახად გადაცემული ანდერძის აღრიცხვის ანბანური დავთარი.

81. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ნოტარიუსმა მიიღო განცხადება დადასტურებული ანდერძის გაუქმების შესახებ, აგრეთვე მიიღო ახალი ანდერძი, რომელიც აუქმებს ან ცვლის დადასტურებულ ანდერძს, იგი ამას აღნიშნავს სანოტარო მოქმედების სარეგისტრაციო რეესტრში, ანბანურ დავთარში და ანდერძის იმ ეგზემპლარზე, რომელიც სახელმწიფო სანოტარო კანტორაში ინახება. თუ მოანდერძე წარადგენს მის ხელთ არსებულ ანდერძის ეგზემპლარს, ანდერძის გაუქმება აღინიშნება ამ ეგზემპლარზეც, რის შემდეგაც იგი განცხადებასთან ერთად (თუ ანდერძი გაუქმებულია განცხადებით) თან დაერთვის სახელმწიფო სანოტარო კანტორაში შენახულ ეგზემპლარს.

ანდერძის გაუქმების შესახებ განცხადების ხელმოწერის ნამდვილობა უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

თუ გასაუქმებელი ანდერძი დადასტურებულია სხვა სახელმწიფო სანოტარო კანტორაში (მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში), განცხადებას მისი გაუქმების შესახებ მოანდერძე ან სახელმწიფო ნოტარიუსი გაუგზავნის ანდერძის დამადასტურებელ სახელმწიფო სანოტარო კანტორას (მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს).

### რწმუნებულებათა დადასტურება

82. სახელმწიფო ნოტარიუსები ადასტურებენ რწმუნებულებებს ერთი ან რამდენიმე პირის სახელით, ერთი ან რამდენიმე პირის სახელზე.

რწმუნებულების ტექსტში უნდა აღინიშნოს მისი შედგენის (ხელმოწერის) ადგილი და თარიღი, რწმუნებულების გამცემი პირის და იმ პირის გვარი, სახელი, მამის სახელი (იურიდიული პირის სრული დასახელება) და საცხოვრებელი ადგილი (იურიდიული პირის ადგილსამყოფელი), რომლის სახელზეც გაცემულია იგი, აგრეთვე საჭირო შემთხვევებში — მათ მიერ დაკავებული თანამდებობაც. ადვოკატთა სახელზე გაცემულ რწმუნებულებებში აღინიშნება მათი მუშაობის ადგილი (იურიდიული კონსულტაცია).

რწმუნებულების მოქმედების ვადა აღინიშნება სიტყვებით და არ შეიძლება აღემატებოდეს 3 წელიწადს, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც აღნიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნულია „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 88-ე მუხლში.

თუ რწმუნებულებაში ვადა აღნიშნული არ არის, მას ძალა აქვს ერთი წლის განმავლობაში მისი გაცემის დღიდან (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 67-ე მუხლი).

რწმუნებულება, რომელშიც აღნიშნული არ არის მისი შედგენის თარიღი, ბათილია (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 68-ე მუხლი).

83. რწმუნების გადაცემის წესით გაცემული რწმუნებულება უნდა დადასტურდეს ნოტარიულად ძირითადი რწმუნებულების წარდგენის შემდეგ, რომელშიც ჩამოყალიბებულია რწმუნების გადაცემის უფლება, ანდა იმ მტკიცებულებათა წარდგენის შემდეგ, რომ ძირითადი რწმუნებულების წარმომადგენელი საამისოდ იძულებულია რწმუნებულების გამცემის ინტერესების დაცვის გარემოებათა გამო. რწმუნების გადაცემის წესით გაცემული რწმუნებულება არ უნდა შეიცავდეს იმაზე მეტ უფლებებს, რაც მიცემულია ძირითადი რწმუნებულების მიხედვით.

რწმუნების გადაცემის წესით გაცემული რწმუნებულების მოქმედების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს იმ რწმუნებულების მოქმედების ვადას, რომლის საფუძველზეც არის იგი გაცემული (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 67-ე მუხლი).

რწმუნების გადაცემის წესით გაცემულ რწმუნებულებაში უნდა აღინიშნოს ძირითადი რწმუნებულების დადასტურების დრო და ადგილი, იმ პირის სახელი, მამის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი, რომელსაც მიეცა ძირითადი რწმუნებულება, და პირი, რომელსაც იგი გადასცემს თავის რწმუნებულებებს, ხოლო საჭირო შემთხვევებში — მათი თანამდებობრივი მდგომარეობაც.

ძირითად რწმუნებულებაზე აღინიშნება რწმუნების გადაცემა. ძირითადი რწმუნებულების ასლი თან დაერთვის რწმუნებულების იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სახელმწიფო სანოტარო კანტორაში. რწმუნების გადაცემის წესით რწმუნებულების შემდგომი დადასტურებისას ძირითადი რწმუნებულების ასლი სახელმწიფო სანოტარო კანტორაში არ რჩება.

## თ ა ვ ი II

### ზომების მიღება სამკვიდრო ქონების დასაცავად

84. სახელმწიფო ნოტარიუსები სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით მოქალაქეთა ან ორგანიზაციათა შეტყობინებით, ანდა საკუთარი ინიციატივით მიიღებენ ზომებს სამკვიდრო ქონების დასაცავად, როცა ეს საჭიროა მემკვიდრეთა, საანდერძო დანაკისრის მიმღებთა, კრედიტორთა ან სახელმწიფოს ინტერესებისათვის. ეს შეტყობინებანი, აგრეთვე სხვა სანოტარო კანტორების სახელმწიფო ნოტარიუსებისა და სანოტარო მოქმედების შემსრულებელი აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირების დავალებანი რეგისტრირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება სამკვიდრო ქონების დასაცავად ზომების მიღების განცხადები[illegible] ცხვის დავთარში.

სამკვიდროს გახსნის ადგილად ითვლება სამკვიდროს დამტოვებლის უკანასკნელი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ხოლო თუ იგი ცნობილი არ არის, — სამკვიდრო ქონების ან მისი ძირითადი ნაწილის ადგილსამყოფელი (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 541-ე მუხლი).

ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა, აგრეთვე იმ ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე სტუდენტთა გარდაცვალების შემდეგ, რომლებიც მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის გარეთ მდებარეობენ, სამკვიდროს გახსნის ადგილად ითვლება ის ადგილი, სადაც ისინი მუდმივად ცხოვრობდნენ ვადიან სამხედრო სამსახურში გაწვევამდე ან შესაბამის სასწავლებელში შესვლამდე.

85. სახელმწიფო ნოტარიუსი, რომელმაც მიიღო შეტყობინება სამკვიდროს გახსნის შესახებ, მოვალეა აცნობოს ეს იმ მემკვიდრეებს, რომელთა სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილი მისთვის ცნობილია.

სახელმწიფო ნოტარიუსს შეუძლია აგრეთვე მემკვიდრეების გამოწვევა საჯარო განცხადების ან პრესის მეშვეობით.

86. „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 47-ე მუხლის შესაბამისად, თუ სამკვიდროს დამტოვებლის ქონება ან ქონების ნაწილი არ არის სამკვიდროს გახსნის ადგილზე, სახელმწიფო ნოტარიუსი სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით სახელმწიფო სანოტარო კანტორას ან მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით უგზავნის დავალებას მის დასაცავად ზომების მიღების შესახებ.

სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სახელმწიფო ნოტარიუსი და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი, რომლებმაც მიიღეს ზომები სამკვიდრო ქონების დასაცავად, აცნობებენ სახელმწიფო სანოტარო კანტორას სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით აღნიშნული ზომების მიღების შესახებ.

87. სამკვიდრო ქონების დაცვის მიზნით სახელმწიფო ნოტარიუსი მოახდენს ქონების აღწერას და გადასცემს მას შესანახად მემკვიდრეებს ან სხვა პირებს.

სამკვიდრო ქონების აღწერა ხდება აღწერაში მონაწილეობის მსურველ დაინტერესებულ პირთა და სულ ცოტა ორი დამსწრის მონაწილეობით.

აღწერის აქტში უნდა აღინიშნოს:

— დარჩენილი ქონების შესახებ განცხადების (შეტყობინების) ან სამკვიდრო ქონების დასაცავად ზომების მიღების შესახებ დავალების შემოსვლის თარიღი;

— აღწერის ჩატარების თარიღი, აღწერაში მონაწილე პირთა გვარები, სახელები, მამის სახელები და მისამართები;

— სამკვიდროს დამტოვებლის გვარი, სახელი, მამის სახელი, მისი გარდაცვალების დრო და აღსაწერი ქონების ადგილსამყოფელი, ნოტარიუსის გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადებამდე დალუქული იყო თუ არა სადგომი და ვის მიერ, დარღვეული ხომ არ იყო ლუქი ან ბეჭედი;

— აქტში ჩამოთვლილი თითოეული საგნის დაწვრილებითი დახასიათება და შეფასება, მათი გაცვეთის პროცენტი.

აღწერილი საგნების შეფასება ხდება სახელმწიფო საცალო ფასებში (მათი გაცვეთის გათვალისწინებით), ხოლო საგნებისა, რომელთაც საცალო ფასები არა აქვს, — მცოდნე პირთა დასკვნის მიხედვით.

საცხოვრებელი სახლები შეფასდება საინვენტარიზაციო შეფასების მიხედვით, ხოლო იმ ადგილებში, სადაც ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, — სადაზღვევო შეფასების მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ შეფასებას არ ეთანხმებიან, მემკვიდრეებს უფლება აქვთ მიიწვიონ სპეციალისტი-შემფასებელი. სპეციალისტი-შემფასებლის შრომას მემკვიდრეები აანაზღაურებენ.

აქტის ყოველ გვერდზე გამოიყვანება ნივთების (საგნების) რაოდენობისა და მათი ღირებულების ჯამი, აღწერის დამთავრების შემდეგ — ნივთების (საგნების) რაოდენობისა და მათი ღირებულების საერთო ჯამი.

აღწერის აქტში შეიტანება გარდაცვლილის ბინაში არსებული მთელი ქონება. მეზობელთა და სხვა პირთა განცხადებები იმის შესახებ, რომ ცალკეული ნივთები მათ ეკუთვნით, შეიტანება აღწერის აქტში, ხოლო დაინტერესებულ პირებს განემარტებათ, თუ რა წესით უნდა მიმართონ სასამართლოს სარჩელით ამ ქონების აღწერიდან გამორიცხვის შესახებ.

თუ ქონების აღწერა შეწყდება ან რამდენიმე დღეს გაგრძელდება, სადგომს ყოველთვის დალუქავს სახელმწიფო ნოტარიუსი. აღწერის აქტში ჩაიწერება აღწერის შეწყვეტისა და განახლების მიზეზები და დრო, აგრეთვე ლუქისა და ბეჭდის მდგომარეობა სადგომის შემდგომი გაღებისას.

აქტის ბოლოს აღინიშნება იმ პირის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი და საცხოვრებელი ადგილი, რომელსაც გადაეცა შესანახად ქონება, მისი ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელება, ნომერი, გაცემის თარიღი და დოკუმენტის გამცემი დაწესებულების დასახელება.

აღწერის აქტი დგება სულ ცოტა სამ ეგზემპლარად. ყველა ეგზემპლარს ხელს აწერენ სახელმწიფო ნოტარიუსები, დაინტერესებული პირები, დამსწრეები და ქონების შესანახად მიმღები პირი.

თუ სამკვიდრო ქონების დასაცავად ზომების მიღება შეუძლებელია (მემკვიდრეები ან სამკვიდროს დამტოვებელთან მცხოვრები სხვა პირები აღწერის წინააღმდეგი არიან, არ წარადგენენ ქონებას აღსაწერად, ანდა ქონება გატანილია და ა. შ.), სახელმწიფო ნოტარიუსი შეადგენს აქტს ამის შესახებ და შეატყობინებს დაინტერესებულ პირებს, ხოლო საჭირო შემთხვევებში — საფინანსო ორგანოს ან პროკურორს.

88. გარდაცვლილის შემდეგ დარჩენილი ფული ჩაბარდება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებას სახელმწიფო სანოტარო კანტორის სადეპოზიტო ანგარიშზე მემკვიდრეთათვის გადაცემამდე ან სახელმწიფო შემოსავალში ჩარიცხვამდე იმ შემთხვევაში, თუ სამკვიდრო ქონება მემკვიდრეობის უფლებით გადაეცემა სახელმწიფოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქრო, ვერცხლი, პლატინა და პლატინის ჯგუფის ლითონები (როდიუმი, პალადიუმი, ირიდიუმი, რუთენიუმი და ოსმიუმი) ყოველგვარი სახით და მდგომარეობით, უცხოური ვალუტა (ბანკნოტები, სახაზინო ბილეთები, მონეტები), უცხოური ვალუტით გამოწერილი საგადამხდელო დოკუმენტები (ჩეკები, თამასუქები, აკრედიტივები და სხვ.) და საფონდო ფასეულობანი (აქციები, ობლიგაციები და სხვ.), საბანკო საგადამხდელო დოკუმენტები მანეთობით (ჩეკები და სხვ.), რომლებიც შეიძინება უცხოური ვალუტით ასეთ ვალუტად მათი გადაქცევის უფლებით, ძვირფასი ლითონების, ძვირფასი ქვებისა და მარგალიტის ნაკეთობანი, აგრეთვე ძვირფასი ქვები და მარგალიტი შესანახად ჩაბარდება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებას მემკვიდრეთათვის გადაცემამდე ან სახელმწიფო შემოსავალში ჩარიცხვამდე იმ შემთხვევაში, თუ სამკვიდრო ქონება მემკვიდრეობის უფლებით გადაეცემა სახელმწიფოს[1]).

50 მანეთზე ნაკლები ღირებულების ფასეულობანი შესანახად რჩება სამკვიდრო ქონების მცველად დანიშნულ პირს.

სახელმწიფო სანოტარო კანტორის მიერ სამკვიდრო ქონების დაცვის წესით შესანახად მიღებული აღნიშნული ფასეულობანი რეგისტრირებულია ფასეულობათა აღრიცხვის დავთარში.

გარდაცვლილის ქონებაში აღმოჩენილი იარაღი (გარდა სანადირო იარაღისა) და ფეთქებადი ნივთიერებანი ჩაბარდება შინაგან საქმეთა ორგანოებს განსაკუთრებული აღწერილობის მიხედვით.

თუ აღწერილი ქონების შემადგენლობაში აღმოჩნდება მნიშვნელოვანი ხელნაწერები, ლიტერატურული შრომები, ისტორიული ან მეცნიერული მნიშვნელობის წერილები, ეს დოკუმენტები შეიტანება ცალკე აღწერილობებში და პასუხსაგებ შესანახად გადაეცემათ მემკვიდრეებს ან შესაბამის ორგანიზაციებს. საჭიროების შემთხვევაში, მაგალითად, მემკვიდრეთა არყოფნისას, სახელმწიფო ნოტარიუსი დალუქავს დოკუმენტებს ან საღგომს, სადაც დაცულია დოკუმენტები და ძვირფასი ნივთები.

89. თუ სამკვიდროს შემადგენლობაში ირიცხება ქონება, რომელიც მართვას საჭიროებს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა მემკვიდრეთა მიერ მემკვიდრეობის მიღებამდე სამკვიდროს დამტოვებლის კრედიტორებმა აღძრეს სარჩელი, სახელმწიფო სანოტარო კანტორა ნიშნავს აღნიშნული ქონების მცველს, რის შესახებაც გამოაქვს დადგენილება, რომელსაც ხელს აწერს სახელმწიფო ნოტარიუსი.

90. სახელმწიფო ნოტარიუსი აფრთხილებს მცველებს, მეურვეებსა და სხვა პირებს, რომლებსაც გადაეცათ შესანახად სამკვიდრო ქონება, რომ სა-

---

1) სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის მიერ 1939 წლის 26 აგვისტოს — 8 სექტემბერს დამტკიცებული ინსტრუქცია სამკვიდრო ქონების შემადგენლობაში შემავალ სავალუტო და სხვა ფასეულობათა შენახვისა და რეალიზაციის წესის შესახებ, იმ ცვლილებებით, რაც შეტანილია სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის 1955 წლის 31 დეკემბრის № 258 წერილით.

№ 3 ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 202-ე მუხლის მიხედვით დაეკისრებათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა სამკვიდრო ქონების გაფლანგვის, გასხვისების ან დამალვისათვის და მატერიალური პასუხისმგებლობა მიყენებული ზარალისათვის. აღნიშნულ პირთათვის ქონების შესანახად გადაცემისა და მათი გაფრთხილების შესახებ მათ ჩამოერთმევათ ხელწერილი. ეს შეიძლება აღინიშნოს სამკვიდრო ქონების აღწერის აქტში, რომლითაც ქონება ბარდება შესანახად, ან სამკვიდრო ქონების მცველის დანიშვნის შესახებ სახელმწიფო ნოტარიუსის დადგენილებაში.

მცველებს, მეურვეებსა და სხვა პირებს, რომელთაც გადაეცათ შესანახად სამკვიდრო ქონება, თუ ისინი მემკვიდრეები არ არიან, უფლება აქვთ მიიღონ გასამრჯელო სამკვიდრო ქონების შენახვისათვის.

გასამრჯელოს ოდენობას დააწესებს სახელმწიფო ნოტარიუსი მცველთან, მეურვესთან ან სხვა პირთან შეთანხმებით, რომელსაც გადაეცა შესანახად ქონება, მაგრამ იგი არ შეიძლება აღემატებოდეს შესანახად გადაცემული ქონების ღირებულების 1,5 პროცენტს. ცხოველთა შენახვისათვის გასამრჯელოს ოდენობა დიდდება დაწესებული საფასურის 50 პროცენტით. აღნიშნულ პირებს აუნაზღაურდებათ აგრეთვე სამკვიდრო ქონების შენახვისა და მართვისათვის საჭირო ხარჯები. ეს ხარჯები ანაზღაურდება წარდგენილი დოკუმენტების თანახმად, ქონების გამოყენებით ფაქტიურად მიღებული გამორჩენის გამოქვითვით.

91. სამკვიდრო ქონების დაცვა გრძელდება ყველა მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებამდე, ხოლო თუ მათ იგი არ მიუღიათ, — სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ.

სამკვიდრო ქონების დაცვა შეიძლება გაგრძელდეს სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ, თუ სახელმწიფო სანოტარო კანტორაში შევა განცხადება იმ პირთაგან მემკვიდრეობის მიღების თანხმობის შესახებ, რომელთა მემკვიდრეობის უფლება წარმოიშობა სხვა მემკვიდრეთა მიერ სამკვიდროს მიუღებლობის შემთხვევაში (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 556-ე მუხლის IV ნაწილი), და თუ სამკვიდროს მისაღებად კანონით დაწესებული ექვსი თვის ვადის გასვლამდე დარჩა სამ თვეზე ნაკლები.

ამ შემთხვევაში სამკვიდრო ქონების დაცვა გრძელდება ამ პუნქტის მე-2 აბზაცში ხსენებული ყველა პირის მიერ მემკვიდრეობის მიღებამდე, ხოლო თუ მათ იგი არ მიუღიათ, — რომელიმე ამ პირისაგან მემკვიდრეობის მიღებაზე თანხმობის შესახებ განცხადების შემოსვლის დღიდან სამი თვის გასვლამდე, თუ სამკვიდროს მისაღებად ექვსი თვის ვადის დარჩენილი ნაწილი სამ თვეზე ნაკლები აღმოჩნდება.

სახელმწიფო სანოტარო კანტორა მოვალეა წინასწარ შეატყობინოს მემკვიდრეებს სამკვიდრო ქონების დაცვის ზომების შეწყვეტის შესახებ, ხოლო თუ ქონება მემკვიდრეობის უფლებით სახელმწიფოს გადაეცემა, — შესაბამის საფინანსო ორგანოს.

92. აუცილებელ შემთხვევებში მემკვიდრეთა მიერ მემკვიდრეობის მიღებამდე, ხოლო თუ ასეთი ქონება მიღებული არ არის, სახელმწიფოსათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემკვიდრეობის უფლებაზე მოწმობის გაცემამდე, სახელმწიფო სანოტარო კანტორები გასცემენ განკარგულებას სამკვიდრო ქონებიდან იმ ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რომელიც გაწეული იყო:

1) სამკვიდროს დამტოვებლის მოსავლელად მისი ავადმყოფობის დროს, აგრეთვე მის დასაკრძალავად;

2) სამკვიდროს დამტოვებლის კმაყოფაზე მყოფი მოქალაქეების შესანახად;

3) ხელფასთან დაკავშირებული პრეტენზიებისა და მათთან გათანაბრებული პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად;

4) სამკვიდრო ქონების დაცვისა და მართვისათვის, აგრეთვე მემკვიდრეების შეტყობინებასთან დაკავშირებული პუბლიკაციისათვის.

თუ სამკვიდრო ქონებაში არ მოიპოვება ფულადი თანხები, მაშინ გაიცემა განკარგულება გარდაცვლილის შემდეგ დარჩენილი ნივთების გაცემის შესახებ, რომელთა ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს გაწეული ხარჯების თანხას.

1-ლ, მე-2 და მე-3 ქვეპუნქტებში აღნიშნული ხარჯების დასადასტურებლად სახელმწიფო ნოტარიუსი გამოითხოვს მაღაზიების ანგარიშებს, სამკურნალო დაწესებულებათა ცნობებს, დაკრძალვის მომწყობი კომისიის აქტებს, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების ასლსა და სხვა დოკუმენტებს.

## თ ა ვ ი III

### მემკვიდრეობის უფლების მოწმობათა გაცემა

93. მემკვიდრეთა წერილობითი განცხადებით სახელმწიფო სანოტარო კანტორები სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით გასცემენ მემკვიდრეობის უფლების მოწმობებს.

განცხადებანი მემკვიდრეობის მიღების, მასზე უარის ან მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემის შესახებ შეტანილ უნდა იქნეს წერილობით.

ამ განცხადებებზე მემკვიდრის ხელმოწერის ნამდვილობა უნდა დაამოწმოს ორგანომ, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს.

ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება საჭირო არ არის, თუ მემკვიდრე პირადად გამოცხადდა სახელმწიფო სანოტარო კანტორაში სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით და შეიტანა განცხადება. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ნოტარიუსი დაადგენს მემკვიდრის ვინაობას და შეამოწმებს ხელმოწერის ნამდვილობას, რასაც აღნიშნავს განცხადებაზე და ჩაიწერს ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელებას, მის ნომერს, გაცემის თარიღს, დოკუმენტის გამცემი დაწესებულების დასახელებას, მემკვიდრის ინიციალებს, გვარს, დაბადების წელს.

თუ განცხადება, რომელზეც მემკვიდრის ხელმოწერის ნამდვილობა დამოწმებული არ არის, ფოსტით შევიდა ან სხვა პირმა შეიტანა, მას იღებს სახელმწიფო ნოტარიუსი, ხოლო მემკვიდრეს წინადადება ეძლევა გაუგზავნოს

სათანადოდ გაფორმებული განცხადება ან პირადად გამოცხადდეს სახელმწიფო სანოტარო კანტორაში.

94. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 567-ე მუხლის შესაბამისად მემკვიდრეობის უფლების მოწმობა გაიცემა სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ, ხოლო საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 556-ე მუხლის IV ნაწილით და 558-ე მუხლის II ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში — არა უადრეს მათში აღნიშნული ვადებისა.

მემკვიდრეობის უფლების მოწმობა როგორც კანონიერი, ისევე ანდერძისმიერი მემკვიდრეობის მიღებისას შეიძლება გაიცეს კანონით დაწესებულ ვადებზე ადრე, თუ სახელმწიფო სანოტარო კანტორას მოეპოვება მონაცემები (სამუშაო ადგილის, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების და სხვა ცნობები) იმის შესახებ, რომ არ არიან სხვა მემკვიდრეები, გარდა მოწმობის გაცემის შესახებ განცხადების შემტანისა.

მემკვიდრეობის უფლებით სახელმწიფოსათვის ქონების გადაცემის დროს მემკვიდრეობის უფლების მოწმობა ეძლევა შესაბამის საფინანსო ორგანოს არა უადრეს ექვსი თვის გასვლისა მემკვიდრეობის გახსნის დღიდან.

95. მემკვიდრეობის უფლების მოწმობა მიეცემათ მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს მემკვიდრეობა, ე. ი. ფაქტიურად ფლობენ ან მართავენ სამკვიდრო ქონებას, ან შეიტანეს განცხადება მემკვიდრეობის მიღების შესახებ სანოტარო კანტორაში სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 556-558-ე მუხლები).

ქონების მფლობელობის მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს სახლთმმართველობის, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ცნობა იმის შესახებ, რომ მემკვიდრე ცხოვრობდა სამკვიდროს დამტოვებელთან ერთად, ან იმის შესახებ, რომ მემკვიდრემ აიღო სამკვიდროს დამტოვებლის ქონება, საფინანსო ორგანოს ცნობა იმის შესახებ, რომ მემკვიდრე სამკვიდროს გახსნის შემდეგ იხდიდა საცხოვრებელი სახლის გადასახადებს, ან ქვითარი გადასახადის გადახდის შესახებ, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი მემკვიდრეობის დროულად მიღების ფაქტის დადგენის შესახებ და სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ ფაქტს, რომ სამკვიდროს დამტოვებლის ქონებას მემკვიდრე ფლობს.

სამკვიდრო ქონების მფლობელობის მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე საანაბრო წიგნაკი იმ პირობით, თუ სახელმწიფო ნოტარიუსს მოეპოვება მონაცემები, რომლებიც დაადასტურებენ წიგნაკის მიღებას მემკვიდრეობის მისაღებად კანონით დადგენილ ვადაში (იმ დაწესებულების, საწარმოს დოკუმენტი, რომელმაც ჩაატარა სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების შემდეგ სამკვიდრო ქონების აღწერა, იმ სახელმწიფო ნოტარიუსის დოკუმენტი, რომელმაც მიიღო ზომები სამკვიდრო ქონების დასაცავად, მემკვიდრისათვის საანაბრო წიგნაკის გადაცემის შესახებ, სამკვიდროს დამტოვებლის დაკრძალვის მომწყობი კომისიის აქტი, რომლებიდანაც ჩანს მემკვიდრისათვის საანაბრო წიგნაკის გადაცემის დრო, საანაბრო წიგნაკში შეტანილი აღნიშვნები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან შემნახველი სალაროს ცნობა მემკვიდრის მიერ შემნახველი სალაროდან ფულის მიღების შესახებ, სახლთმმართველობის ან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ცნობა იმის შესახებ, რომ მემკვიდრეს განსაზღვრულ დროს მიეცა სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი საანაბრო წიგნაკი, დოკუმენტი ამ წიგნაკის ფოსტით გადაგზავნის შესახებ და ა. შ.).

მემკვიდრეები, რომლებსაც არ მიუღიათ მემკვიდრეობა კანონით დადგენილ ვადაში, შეიძლება შეყვანილ იქნენ მემკვიდრეობის უფლების მოწმობაში ყველა სხვა მემკვიდრის თანხმობით, რომლებმაც მემკვიდრეობა მიიღეს. ეს თანხმობა წერილობით უნდა განაცხადონ მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემამდე. განცხადებაზე მათი ხელმოწერის ნამდვილობა უნდა დამოწმდეს ამ ინსტრუქციის 93-ე პუნქტში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად.

96. კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემის დროს სახელმწიფო ნოტარიუსი ამოწმებს სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების ფაქტს, სამკვიდროს გახსნის დროსა და ადგილს, სამკვიდროს დამტოვებელთან იმ პირთა ნათესაური ან სხვა ურთიერთობის არსებობას, რომლებმაც შეიტანეს განცხადება მოწმობის გაცემის შესახებ, იმ სამკვიდრო ქონების შემადგენლობასა და ადგილსამყოფელს, რომელზეც უნდა გაიცეს მემკვიდრეობის უფლების მოწმობა. ამ გარემოებათა დასადასტურებლად მემკვიდრეებისაგან გამოითხოვენ შესაბამის მტკიცებულებებს.

სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების ფაქტი და სამკვიდროს გახსნის დრო დასტურდება სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების შესახებ მმაჩის ორგანოების მოწმობით, სამხედრო ნაწილის სარდლობის, ჰოსპიტლის ადმინისტრაციის, სამხედრო კომისარიატის და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სხვა ორგანოების მიერ გაცემული შეტყობინებით ან სხვა დოკუმენტით იმის შესახებ, რომ იგი სამამულო ომის ფრონტზე დაიღუპა.

სამკვიდროს გახსნის ადგილი დასტურდება სახლთმმართველობის, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ან გარდაცვლილის სამუშაო ადგილის მიერ გაცემული ცნობით მისი საცხოვრებელი ადგილის შესახებ, ხოლო თუ გარდაცვლილის საცხოვრებელი ადგილი უცნობია, — დოკუმენტით (სახლთმმართველობის, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა და სხვა ცნობით) სამკვიდრო ქონების ან მისი ძირითადი ნაწილის ადგილსამყოფელის შესახებ.

იმ შემთხვევაში, როცა მემკვიდრეებს აღნიშნული დოკუმენტები არ მოეპოვებათ, სახელმწიფო ნოტარიუსი მოითხოვს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების ასლს სამკვიდროს გახსნის ადგილის დადგენის შესახებ.

სამკვიდროს დამტოვებელთან მემკვიდრეთა ნათესაური და სხვა ურთიერთობის მტკიცებულებად ჩაითვლება მმაჩის ორგანოების მოწმობა, მეტრიკული წიგნების ამონაწერები, პასპორტის ჩანაწერები შვილებისა და მეუღლის შესახებ, კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს გადაწყვეტილებათა ასლები ნათესაური ან სხვა ურთიერთობის ფაქტის დადგენის შესახებ.

ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება მიღებულ იქნეს სახელმწიფო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გაცემული ცნობები, თუ ისინი სხვა დოკუმენტებთან ერთად ადასტურებენ სამკვიდროს დამტოვებელთან მემკვიდრეთა ნათესაურ ან სხვა ურთიერთობას.

თუ კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემას ითხოვს პირი, რომელსაც თავისი თავი სამკვიდროს დამტოვებლის კმაყოფაზე მყოფად მიაჩნია, სახელმწიფო ნოტარიუსი უნდა დარწმუნდეს, იმყოფებოდა თუ არა იგი სამკვიდროს დამტოვებლის კმაყოფაზე არა ნაკლებ ერთი წლის განმავლობაში მის გარდაცვალებამდე, აგრეთვე იყო თუ არა იგი შრომისუუნარო სამკვიდროს გახსნის დღისათვის.

კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის მტკიცებულებად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგი დოკუმენტები: მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, სახლთმმართველობის ან სამკვიდროს დამტოვებლის სამუშაო ადგილის ცნობა იმის შესახებ, რომ მას ჰყავდა კმაყოფაზე მყოფი პირები, სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების ცნობა მარჩენალის დაკარგვის შემთხვევის გამო პენსიის დანიშვნის შესახებ, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენის შესახებ.

ასაკთან დაკავშირებით კმაყოფაზე მყოფის შრომისუნარიანობა მოწმდება პასპორტის, დაბადების მოწმობის მიხედვით, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული შრომისუუნარობა — საპენსიო წიგნაკის ან საექიმო-შრომითი -საექსპერტო კომისიის ცნობის მიხედვით.

თუ ერთ ან რამდენიმე კანონისმიერ მემკვიდრეს საშუალება არა აქვს წარმოადგინოს ნათესაური ან სხვა ურთიერთობის მტკიცებულებანი, რაც საფუძველია მემკვიდრეობისათვის მოსაწვევად, ისინი შეიძლება ჩაწერილ იქნენ მემკვიდრეობის უფლების მოწმობაში ყველა იმ დანარჩენი მემკვიდრის წერილობითი თანხმობით, რომლებმაც მიიღეს მემკვიდრეობა და წარადგინეს შესაბამისი მტკიცებულებანი. მემკვიდრეთა ეს თანხმობა ფორმდება წერილობითი განცხადების სახით, რომელზეც ხელმოწერის ნამდვილობა უნდა დამოწმდეს ამ ინსტრუქციის 93-ე პუნქტში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად.

97. ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემის დროს სახელმწიფო ნოტარიუსი შესაბამის მტკიცებულებათა გამოთხოვის გზით ამოწმებს სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების ფაქტს, ანდერძის არსებობას, სამკვიდროს გახსნის დროსა და ადგილს, იმ სამკვიდრო ქონების შემადგენლობასა და ადგილსამყოფელს, რომელზეც უნდა გაიცეს მოწმობა, არკვევს იმ პირთა წრეს, რომელთაც უფლება აქვთ სავალდებულო წილზე სამკვიდრო ქონებაში, აგრეთვე ამოწმებს ანდერძის დამადასტურებელ სახელმწიფო სანოტარო კანტორაში, გაუქმებული ხომ არ არის იგი.

თუ ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობაში აღნიშნულია მემკვიდრეთა ნათესაური ან სხვა ურთიერთობა სამკვიდროს დამტოვებელთან

ბიბლიოთეკა

(მემკვიდრეთა სურვილისამებრ), სახელმწიფო ნოტარიუსი გამოითხოვს ამ ურთიერთობის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

98. ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემის დროს მემკვიდრის მიერ წარდგენილი ანდერძის დედანი ან დუბლიკატი რჩება სახელმწიფო სანოტარო კანტორაში.

მემკვიდრის სურვილისამებრ ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობას შეიძლება თან დაერთოს სანოტარო წესით დამოწმებული ანდერძის ან დუბლიკატის ასლი.

99. თუ სამკვიდრო ქონების შემადგენლობაში შედის საცხოვრებელი სახლი (სახლის ნაწილი), ბინა, სახელმწიფო ნოტარიუსი მოითხოვს უფლებაგანმსაზღვრელ დოკუმენტს იმის შესახებ, რომ სახლი სამკვიდროს დამტოვებელს ეკუთვნის, ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ცნობას, ხოლო ადგილებში, სადაც ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, — მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის ცნობას, აგრეთვე შეამოწმებს საცხოვრებელი სახლის ადგილსამყოფელის მიხედვით სახელმწიფო სანოტარო კანტორის დოკუმენტებით, ხომ არ არის დადებული ყადაღა სახლის (სახლის ნაწილის), ბინის გასხვისებაზე. თუ ყადაღა დადებულია სესხის მიღებასთან დაკავშირებით, სახელმწიფო ნოტარიუსი აცნობებს სესხის გამცემ დაწესებულებას, რომ სესხის მიმღების მემკვიდრეებს მიეცათ მემკვიდრეობის უფლების მოწმობა.

თუ სახლზე ყადაღა სასამართლო ან საგამომძიებლო ორგანოებმა დაადეს, მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემა ჩერდება ყადაღის მოხსნამდე.

100. სპეციალურად სარეგისტრაციო ქონების (ავტომობილები, მოტოციკლები, მოტორიანი ნავები და ა. შ.) ქონების მემკვიდრეობის უფლების მოწმობაში შესატანად სახელმწიფო ნოტარიუსი ამოწმებს დოკუმენტს იმის შესახებ, რომ ეს ქონება სამკვიდროს დამტოვებელს ეკუთვნის (ტექნიკური პასპორტი, გემის მოწმობა და სხვ.), რასაც აღნიშნავს განცხადებაში მოწმობის გაცემის შესახებ.

101. სახელმწიფო ნოტარიუსი განმარტავს, რომ საცხოვრიბელ სახლზე მემკვიდრეობის უფლების მოწმობა რეგისტრირებულ უნდა იქნეს სამი თვის ვადაში საცხოვრებელი სახლის ადგილსამყოფელის მიხედვით მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში მისი ნოტარიულად დადასტურების დღიდან, ხოლო ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებებზე მემკვიდრეობის უფლების მოწმობა — სახელმწიფო ავტოინსპექციის ორგანოებში.

102. მემკვიდრეობის უფლების მოწმობა მიეცემა ყველა მემკვიდრეს ერთად ან თითოეულს ცალ-ცალკე მათი სურვილისამებრ.

მოწმობის მისაღებად მემკვიდრის პირადად გამოცხადება სავალდებულო არ არის. მემკვიდრის თხოვნით მოწმობა მას შეიძლება ფოსტით გაეგზავნოს.

103. სახელმწიფო ნოტარიუსი არასრულწლოვან ან არაქმედუნარიან მემკვიდრეთა სახელზე მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემის შესახებ ატყობინებს (უგზავნის მემკვიდრეობის უფლების მოწმობის ასლს) სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოს მემკვიდრეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მათი ქონებრივი ინტერესების დასაცავად.

№ 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

104. მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო ქონების განსაზღვრული ნაწილის მემკვიდრეობის უფლების მოწმობა, შემდგომში მიეცემათ სამკვიდრო ქონების სხვა იმ ნაწილების მემკვიდრეობის უფლების მომდევნო მოწმობები, რაც ჩამოთვლილი არ არის თავდაპირველად გაცემულ მოწმობაში.

სხვა ქონებაზე მემკვიდრეობის უფლების დამატებითი მოწმობის გაცემისა და იმ მემკვიდრეთა გამოცხადების შემთხვევაში, რომლებიც შეყვანილი არ ყოფილან ადრე გაცემულ მოწმობაში, ისინიც შეიძლება შეყვანილ იქნენ დამატებით ქონებაზე მემკვიდრეობის უფლების მოწმობაში ყველა მემკვიდრის წერილობითი თანხმობით, რომლებმაც მემკვიდრეობა მიიღეს. განცხადებაზე მათი ხელმოწერის ნამდვილობა უნდა დამოწმდეს ამ ინსტრუქციის 93-ე პუნქტში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად.

105. სახელმწიფო სანოტარო კანტორაში შემოღებულია მემკვიდრეობის საქმეთა სააღრიცხვო დავთარი.

მემკვიდრეობის საქმეთა სააღრიცხვო დავთარში რეგისტრირდება განცხადებები მემკვიდრეობის მიღების, მემკვიდრეობის უფლების მოწმობათა გაცემის, სამკვიდრო ქონების ანგარიში ხარჯების გაწევის განკარგულებათა გაცემის, მემკვიდრეობაზე უარის თქმის შესახებ, კრედიტორთა პრეტენზიები, აგრეთვე განცხადებანი სამკვიდრო ქონების დასაცავად ზომების მიღების შესახებ, რომელთა მიხედვითაც იქნა მიღებული ეს ზომები.

რეგისტრირებულ განცხადებათა საფუძველზე შედგება გარდაცვლილის სახელზე საქმე, რომელიც რეგისტრირდება მემკვიდრეობის საქმეთა აღრიცხვის ანბანურ დავთარში.

ყველა შემდგომი განცხადება (დამატებითი, სხვა მემკვიდრეთა და კრედიტორთაგან) აგრეთვე რეგისტრირდება მემკვიდრეობის საქმეთა აღრიცხვის დავთარში.

ყველა განცხადებაზე აღინიშნება მათი შემოსვლის დრო და მემკვიდრეობის საქმის ნომერი.

მემკვიდრეობის საქმეში ჩაიკვრება მემკვიდრეთაგან, სხვა პირთა და დაწესებულებათაგან გამოთხოვილი დოკუმენტები და მემკვიდრეობის უფლების მოწმობის ეგზემპლარი.

## თ ა ვ ი IV

### მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობის გაცემა

106. სახელმწიფო სანოტარო კანტორა მეუღლეთა ერთობლივი წერილობითი განცხადების საფუძველზე ორივეს ან ერთ-ერთ მათგანს აძლევს მოწმობას ქორწინების განმავლობაში შეძენილ საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების შესახებ.

საკუთრების უფლების მოწმობა გაიცემა მხოლოდ იმ ქონებაზე, რომელიც მეუღლეთა ერთობლივი საკუთრებაა და არსებობს მოწმობის გაცემის დღისათვის.

მოწმობის გაცემისას სახელმწიფო ნოტარიუსი მოითხოვს საქორწინო ურთიერთობის დამადასტურებელ დოკუმენტს (ქორწინების მოწმობა, ქორწინების რეგისტრაციის აღნიშვნა პასპორტში და ა. შ.).

გადასახადით ან გამოსაღებით დასაბეგრი ქონების მოწმობის გაცემისას წარდგენილ უნდა იქნეს გადასახადის ან გამოსაღების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები.

107. თუ იმ ქონების შემადგენლობაში, რომლის წილზეც გაიცემა მოწმობა, შედის საცხოვრებელი სახლი (სახლის ნაწილი), ბინა ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში, საავარაკოსამშენებლო ან საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის საპაიო დაგროვება, სპეციალურ აღრიცხვაზე არსებული (სარეგისტრაციო) ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებანი და სხვა ქონება, სახელმწიფო ნოტარიუსი ამოწმებს, ეკუთვნით თუ არა აღნიშნული ქონება მეუღლეებს.

საცხოვრებელ სახლზე (სახლის ნაწილზე), ბინაზე საკუთრების უფლების მოწმობის გაცემის დროს საჭიროა აგრეთვე ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ცნობა, ხოლო იმ ადგილებში, სადაც ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, — მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ცნობა.

თუ სახლის გასხვისებაზე დადებულია ყადაღა სახლის მშენებლობის ან კაპიტალური რემონტისათვის გაცემულ სესხთან დაკავშირებით, საკუთრების უფლების მოწმობა გაიცემა ბანკის შესაბამისი დაწესებულების ან სამეურნეოანგარიშიანი საწარმოს ანდა ორგანიზაციის ნებართვით, რომლებმაც სესხი გასცეს.

საკუთრების უფლების მოწმობის გაცემის შესახებ აღინიშნება სახლზე უფლებისგანმსაზღვრელ დოკუმენტზე.

საცხოვრებელ სახლზე (სახლის ნაწილზე), ბინაზე საკუთრების უფლების მოწმობას გასცემს სახელმწიფო სანოტარო კანტორა სახლის ადგილსამყოფელის მიხედვით.

108. ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობა ცოცხლად დარჩენილი მეუღლის განცხადებით გაიცემა სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით, რის შესახებაც წინასწარ ეცნობებათ მემკვიდრეებს, რომლებმაც მემკვიდრეობა მიიღეს.

შეტყობინებაში აღინიშნება მეუღლეთა საერთო ქონების შემადგენლობა, რომლის წილზე ცოცხლად დარჩენილი მეუღლე მოითხოვს საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას, აგრეთვე განმარტებულია უფლება, თუ როგორ უნდა მიმართოს მემკვიდრემ ცოცხლად დარჩენილი მეუღლის ქონებრივი მოთხოვნების სადაოდ გახდის შემთხვევაში სასამართლოს.

შეტყობინება იგზავნება ფოსტით, ხოლო სახელმწიფო სანოტარო კანტორაში გამოცხადებულ მემკვიდრეებს სახელმწიფო ნოტარიუსი სიტყვიერად ატყობინებს, რის შესახებაც აღინიშნება ცოცხლად დარჩენილი მეუღლის განცხადებაზე მემკვიდრის ხელმოწერით.

№ 3
ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ მემკვიდრეთა შორის არიან არასრულწლოვანი მოქალაქენი, შეტყობინება ეგზავნება სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოს.

მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობა ცოცხლად დარჩენილ მეუღლის შეიძლება მიეცეს ქორწინების განმავლობაში შეძენილი საერთო ქონების ნახევარზე.

109. მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობის ცოცხლად დარჩენილი მეუღლისათვის მიცემისას საჭიროა მეუღლის გარდაცვალების მოწმობა, გარდაცვლილ მეუღლესთან განმცხადებლის საქორწინო ურთიერთობის დამადასტურებელი დოკუმენტი, მეუღლეთა ქონებაზე საერთო (ერთობლივი) საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

110. თუ ქონების შემადგენლობაში არის საცხოვრებელი სახლი, საავარაკო-სამშენებლო ან საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის საპაიო დაგროვება, ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებანი და სხვა ქონება, ცოცხლად დარჩენილი მეუღლისათვის მოწმობის მიცემისას დაცულ იქნება ამ ინსტრუქციის 106-ე და 107-ე პუნქტებში ჩამოყალიბებული წესები.

ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში საკუთრების უფლების მოწმობას გასცემს სახელმწიფო სანოტარო კანტორა სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით.

111. სახელმწიფო ნოტარიუსი განმარტავს, რომ სახლზე (სახლის ნაწილზე), ბინაზე საკუთრების უფლების მოწმობა რეგისტრირებულ უნდა იქნის სამი თვის ვადაში საცხოვრებელი სახლის ადგილსამყოფელის მიხედვით მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, ხოლო ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებებზე საკუთრების უფლების მოწმობა — სახელმწიფო ავტოინსპექციის ორგანოებში.

## თ ა ვ ი V

### ყადაღის დადება საცხოვრებელი სახლის გასხვისებაზე

112. როდესაც მიიღებენ ბანკის დაწესებულებათა, სამეურნეოანგარიშიან საწარმოთა და ორგანიზაციათა შეტყობინებას იმის შესახებ, რომ მოქალაქეებს მიეცათ სესხი საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში ბინის მშენებლობის, კაპიტალური რემონტისა და შეძენისათვის, აგრეთვე საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ბინის გირავნობის ხელშეკრულებათა დადასტურებისას სახელმწიფო ნოტარიუსები საცხოვრებელი სახლის ადგილსამყოფელის მიხედვით ყადაღას დაადებენ საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის სახლში ბინის გასხვისებას.

113. ყადაღის დადება ხდება შემდეგნაირად: ბანკის დაწესებულების, სამეურნეოანგარიშიანი საწარმოს ან ორგანიზაციის შეტყობინებაზე სესხის გაცემის შესახებ გაკეთდება დაწესებული ფორმის წარწერა. შეტყობინების ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი ეგზემპლარი სახელმწიფო ნოტარიუსის წარწერით იმის შესახებ, რომ გასხვისებაზე დადებულია ყადაღა, გაეგზავნება მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს საცხოვრებელი სახლის ადგილსამყოფელის მიხედვით, მეორე ეგზემპლარი — ბანკის შესაბამის დაწესებულებას, სამეურნეოანგარიშიან საწარმოს ან ორგანიზაციას, რომელმაც სესხი გასცა, ხოლო შეტყობინების მესამე ეგზემპლარი რჩება სახელმწიფო სანოტარო კანტორაში.

საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ბინის გირავნობის ხელშეკრულების მიხედვით გასხვისებაზე ყადაღის დადება ხდება გირავნობის ხელშეკრულებაზე ამის შესახებ დაწესებული ფორმის წარწერის გზით. გირავნობის ხელშეკრულების მიხედვით ყადაღის დადების შესახებ სახელმწიფო სანოტარო კანტორა აცნობებს მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს საცხოვრებელი სახლის ადგილსამყოფელის მიხედვით.

114. გასხვისებაზე ყადაღის დადება რეგისტრირდება ყადაღათა სარეგისტრაციო რეესტრში. ამავე რეესტრში რეგისტრირდება სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოთა შეტყობინებანი საცხოვრებელ სახლზე (სახლის ნაწილზე), ბინაზე ყადაღის დადების შესახებ.

ჩანაწერი ყადაღის დადების შესახებ შეიტანება აგრეთვე ყადაღათა აღრიცხვის ანბანურ დავთარში.

115. როცა მიიღებს ბანკის დაწესებულების, სამეურნეოანგარიშიანი საწარმოს ან ორგანიზაციის შეტყობინებას სესხის დაფარვის შესახებ, ანდა ცნობას გირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, სახელმწიფო ნოტარიუსი მოხსნის ყადაღას საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ბინის გასხვისებაზე.

ყადაღის მოხსნის შესახებ ეცნობება მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს საცხოვრებელი სახლის ადგილსამყოფელის მიხედვით და აღინიშნება ყადაღათა სარეგისტრაციო რეესტრში და ანბანურ დავთარში.

როცა მიიღებს სასამართლო ან საგამომძიებლო ორგანოთა შეტყობინებას ყადაღის მოხსნის შესახებ, სახელმწიფო ნოტარიუსი აღნიშნავს ამას ყადაღათა რეესტრში და ანბანურ დავთარში.

## თ ა ვ ი VI

### დოკუმენტების ასლებისა და მათი ამონაწერების სისწორის დამოწმება

116. „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ" საქართველოს სსრ კანონის 63-ე მუხლის შესაბამისად სახელმწიფო ნოტარიუსები დაამოწმებენ სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე მოქალაქეთა მიერ გაცემული დოკუმენტების ასლებისა და მათი ამონაწერების სისწორეს იმ პირობით, თუ ეს დოკუმენტები არ ეწინააღმდეგებიან კანონს, აქვთ იურიდიული მნიშვნელობა და მათი ასლებისა და ამონაწერების სისწორის დამოწმება კანონით არ არის აკრძალული.

აკრძალულია პასპორტის, პარტიული ბილეთის, პროფკავშირული ბილეთის, დეპუტატის მოწმობისა და სამხედრო ბილეთის ასლის სისწორის დამოწმება.

117. ამონაწერის სისწორე შეიძლება დამოწმდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტი, რომლიდანაც კეთდება ამონაწერი, შეიცავს რამდენიმე ცალკეული, ერთმანეთთან დაუკავშირებელი საკითხის გადაწყვეტას. ამონაწერი უნდა ასახავდეს დოკუმენტის ნაწილის სრულ ტექსტს განსაზღვრულ საკითხზე.

118. დოკუმენტის ასლის სისწორეს დაამოწმებს სახელმწიფო ნოტარიუსი იმ პირობით, თუ ასლის სისწორე დამოწმებულია სანოტარო წესით ან თუ დოკუმენტის ასლი გაცემულია იმ სახელმწიფო დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის მიერ, სადაც შედგენილია დოკუმენტის დედანი. უკანასკნელ შემთხვევაში დოკუმენტის ასლი ჩამოყალიბებული უნდა იყოს მოცემული დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ბლანკზე, დასმული უნდა ჰქონდეს ბეჭედი და აღნიშნული იყოს, რომ დოკუმენტის დედანი ინახება მოცემულ დაწესებულებაში, საწარმოში, ორგანიზაციაში. ასლის სისწორე უნდა დამოწმდეს დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელის (სამმართველოს, განყოფილების) ხელმოწერით.

119. მოქალაქის მიერ გაცემული დოკუმენტის ასლის სისწორე დამოწმდება იმ შემთხვევებში, როცა დოკუმენტზე მოქალაქის ხელმოწერის ნამდვილობა დამოწმებულია სანოტარო ორგანოს ან იმ ორგანიზაციის მიერ, სადაც მოქალაქე მუშაობს ან სწავლობს, იმ სახლმმართველობის (საბინაო-საექსპლუატაციო კანტორის) მიერ, სადაც იგი ცხოვრობს, ანდა იმ სტაციონარული სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ, რომელშიც იგი იმყოფება განსაკურნავად.

120. დოკუმენტის დასამოწმებელი ასლი ან მისი ამონაწერი შეუჯერდება დედანს.

## თ ა ვ ი VII

### დოკუმენტებზე ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება

121. სახელმწიფო ნოტარიუსი დაამოწმებს იმ დოკუმენტებზე ხელმოწერის ნამდვილობას, რომელთა შინაარსი არ ეწინააღმდეგება კანონს და არ წარმოადგენს გარიგების შინაარსის გადმოცემას.

ხელშეკრულებაზე, ანდერძზე, რწმუნებულებასა და სხვა დოკუმენტზე, რომელშიც გადმოცემულია გარიგების შინაარსი, შეიძლება დამოწმდეს მხოლოდ იმ პირის ხელმოწერის ნამდვილობა, რომელმაც ხელი მოაწერა სხვა პირის მაგიერ, ვინაიდან მას არ შეუძლია თვითონ მოაწეროს ხელი ფიზიკური ნაკლის, ავადმყოფობის ან სხვა საპატიო მიზეზის გამო.

122. იმ პირის მაგიერ ხელმომწერი პირის ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმებისას, რომელსაც არ შეუძლია თვითონ მოაწეროს ხელი ფიზიკური ნაკლის, ავადმყოფობის ან სხვა მიზეზების გამო, სახელმწიფო ნოტარიუსი არკვევს როგორც ხელმომწერი პირის, ისევე იმ პირის ვინაობას, რომლის მაგიერაც იგი აწერს ხელს.

123. სახელმწიფო ნოტარიუსები ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმებისას არ ადასტურებენ დოკუმენტში ჩამოყალიბებულ ფაქტებს, არამედ მხოლოდ ამოწმებენ, რომ ხელმოწერა გარკვეულ პირს ეკუთვნის.

124. არ შეიძლება დოკუმენტზე მოქალაქის ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება, თუ მასში დასტურდება ისეთი გარემოებანი, რომელთა დადასტურების უფლება მხოლოდ სახელმწიფო ორგანოს ეკუთვნის (მაგალითად, დაბადების, ქორწინების, გარდაცვალების დრო და ა. შ.).

აღნიშნულ დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობა შეიძლება დამოწმდეს იმ შემთხვევებში, თუ დოკუმენტი გათვალისწინებულია უცხოეთის სახელმწიფოს სასამართლოში ან სხვა დაწესებულებაში წარსადგენად.

125. სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამდებობის პირთა იმ ბარათებზე ხელმოწერის ნიმუშების დამოწმებისას, რომლებიც წარდგენილ უნდა იქნეს სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებებში, სახელმწიფო ნოტარიუსები შეამოწმებენ მათი ხელმოწერის ნამდვილობას და ხელმოწერის უფლებამოსილებას.

უფლებამოსილების დასადასტურებლად სახელმწიფო ნოტარიუსს უნდა წარედგინოს ბრძანება თანამდებობის პირის დანიშვნის შესახებ ან ოქმი მისი არჩევის შესახებ, დადგენილი წესით დამტკიცებული წესდება (ან დებულება), ანდა ხელმძღვანელის სახელზე ზემდგომი ორგანიზაციის მიერ გაცემული რწმუნებულება. ბარათზე უნდა აღინიშნოს ამ ორგანიზაციის ბეჭდის ნიმუში. თუ ორგანიზაციას ბეჭედი არა აქვს, წარდგენილ უნდა იქნეს ამ გარემოების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი (ანგარიშის მფლობელის მიმართ ზემდგომი ორგანიზაციის მიერ გაცემული ცნობა და სხვ.).

## თ ა ვ ი VIII

### ერთი ენიდან მეორეზე დოკუმენტის თარგმანის სისწორის დამოწმება

126. „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 66-ე მუხლის შესაბამისად სახელმწიფო ნოტარიუსები ამოწმებენ ერთი ენიდან მეორეზე დოკუმენტის თარგმანის სისწორეს იმ პირობით, თუ სახელმწიფო ნოტარიუსმა იცის შესაბამისი ენები.

თუ სახელმწიფო ნოტარიუსმა არ იცის შესაბამისი ენები, დოკუმენტების თარგმანი შეიძლება შეასრულოს მისთვის ცნობილმა მთარგმნელმა, რომლის ხელმოწერის ნამდვილობას ამოწმებს სახელმწიფო ნოტარიუსი.

127. თუ სანოტარო მოქმედების შესრულებისას (გარიგების დადასტურება, ასლის სისწორის დამოწმება და ა. შ.) ერთდროულად სრულდება სხვა ენაზე თარგმნაც, თარგმანი და დედანი თავსდება ერთ ფურცელზე — ორივე ტექსტი გვერდიგვერდ, ვერტიკალური ხაზით იმგვარად გაყოფილ ერთ გვერდზე, რომ ტექსტის დედანი მოთავსებული იყოს მარცხენა მხარეს, ხოლო თარგმანი — მარჯვენა მხარეს. თარგმანი უნდა შესრულდეს თარგმნილი დოკუმენტის მთელი ტექსტიდან და დამთავრდეს ხელმოწერებით. თარგმანს ხელს მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აწერს მთარგმნელი. დამადასტურებელი წარწერა კეთდება დოკუმენტის და მისი თარგმანის ტექსტების ქვემოთ.

დედნისაგან ცალკე ფურცელზე მოთავსებული თარგმანი მიეკვრება დოკუმენტის დედანს, ზონარი გაეყრება და დამოწმდება სახელმწიფო ნოტარიუსის ხელმოწერითა და სახელმწიფო სანოტარო კანტორის ბეჭდით.

## თ ა ვ ი IX

### მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტის დადასტურება

128. სახელმწიფო სანოტარო კანტორები ადასტურებენ მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტს.

15 წლამდე ასაკის არასრულწლოვანის ცოცხლად ყოფნის ფაქტი დასტურდება მისი კანონიერი წარმომადგენლების (მშობლების, მშვილებლების, მეურვეების) თხოვნით, ხოლო 15-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანისა — მისი თხოვნით და კანონიერი წარმომადგენლების (მშობლების, მშვილებლების, მზრუნველების) თანხმობით.

129. მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტი დამოწმდება როგორც მაშინ, როცა იგი გამოცხადდება სახელმწიფო სანოტარო კანტორაში, ისევე მაშინ, როცა სახელმწიფო ნოტარიუსი ამ ფაქტს ადასტურებს სანოტარო კანტორის შენობის გარეთ (ამ ინსტრუქციის მე-8 პუნქტი).

130. მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტის დასადასტურებლად სახელმწიფო ნოტარიუსი დაინტერესებულ პირებს მისცემს მოწმობას.

## თ ა ვ ი X

### მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტის დადასტურება

131. სახელმწიფო ნოტარიუსები მოქალაქის თხოვნით ადასტურებენ განსაზღვრულ ადგილას მისი ყოფნის ფაქტს.

15 წლამდე ასაკის არასრულწლოვანის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტი დასტურდება მისი კანონიერი წარმომადგენლების (მშობლების, მშვილებლების, მეურვეების) თხოვნით, ხოლო 15-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანისა — მისი თხოვნით და კანონიერი წარმომადგენლების (მშობლების, მშვილებლების, მზრუნველების) თანხმობით.

132. მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტი დამოწმდება როგორც მაშინ, როცა იგი გამოცხადდება სახელმწიფო სანოტარო კანტორაში, ისევე მაშინ, როცა ამ ფაქტს ადასტურებს სახელმწიფო ნოტარიუსი სანოტარო კანტორის შენობის გარეთ (ამ ინსტრუქციის მე-8 პუნქტი).

133. მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტის დასადასტურებლად სახელმწიფო ნოტარიუსი დაინტერესებულ პირებს მისცემს მოწმობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თ ა ვ ი XI

### ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან მოქალაქის იგივეობის დადასტურება

134. სახელმწიფო სანოტარო კანტორები ადასტურებენ მოქალაქის იგივეობას ამ მოქალაქის მიერ წარმოდგენილ ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან და ამის შესახებ გასცემენ მოწმობას.

135. ფოტოსურათი მოთავსდება გასაცემი მოწმობის ეგზემპლარის ზედა მარცხენა კუთხეში, დამოწმდება სახელმწიფო ნოტარიუსის ხელმოწერითა და სახელმწიფო სანოტარო კანტორის ბეჭდით. ამასთან ბეჭედი ნაწილობრივ უნდა აისახოს ფოტოგრაფიულ სურათზე, ნაწილობრივ კი — მოწმობაზე.

## თ ა ვ ი XII

### დოკუმენტების წარდგენის დროის დადასტურება

136. სახელმწიფო სანოტარო კანტორები ადასტურებენ სახელმწიფო ნოტარიუსისათვის დოკუმენტის წარდგენის დროს და ამის შესახებ გასცემენ მოწმობას.

## თ ა ვ ი XIII

### მოქალაქეებისა და ორგანიზაციების განცხადებათა გადაცემა სხვა მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისათვის

137. სახელმწიფო სანოტარო კანტორები მოქალაქეებისაგან, სახელმწიფო დაწესებულებებისაგან, საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან იღებენ განცხადებებს სხვა მოქალაქეებისათვის, სახელმწიფო დაწესებულებებისათვის, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გადასაცემად.

განცხადება სახელმწიფო სანოტარო კანტორას უნდა წარედგინოს ორ ეგზემპლარად მაინც, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გაიგზავნება ფოსტით, ჩაბარების შეტყობინებით, ან გადაეცემა პირადად ადრესატს ხელწერილის ქვეშ, ხოლო მეორე ეგზემპლარი (ეგზემპლარები) რჩება სახელმწიფო სანოტარო კანტორაში.

განცხადებების ფოსტით გადაცემისას საფოსტო ხარჯებს ანაზღაურებენ ამ სანოტარო მოქმედების შესრულების მთხოვნელი პირები.

138. განცხადების შემტანი პირის თხოვნით მას მიეცემა მოწმობა განცხადების გადაცემის შესახებ. მოწმობა შეიძლება ჩამოყალიბდეს განცხადების ეგზემპლარზე ან ცალკე ფურცელზე.

მოწმობაში უნდა აღინიშნოს განცხადებაზე მიღებული პასუხის შინაარსი ან ის, რომ პასუხი დათქმულ ვადაში არ გაუციათ.

განცხადებების გადაცემა და განცხადებების გადაცემის შესახებ მოწმობების გაცემა რეგისტრირდება სანოტარო მოქმედების სარეგისტრაციო რეესტრში.

## თ ა ვ ი XIV

### ფულისა და ფასიანი ქაღალდების დეპოზიტში მიღება

139. სახელმწიფო სანოტარო კანტორები საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოვალისაგან სანოტარო კანტორის დეპოზიტში მიიღებენ ფულს და ფასიან ქაღალდებს კრედიტორისათვის გადასაცემად.

ფულს ან ფასიან ქაღალდებს სახელმწიფო სანოტარო კანტორა დეპოზიტში მიიღებს ვალდებულების შესრულების ადგილის მიხედვით.

140. ფულისა და ფასიანი ქაღალდების დეპოზიტში მიღებისას სახელმწიფო ნოტარიუსი წინადადებას აძლევს მოვალეს წერილობით ან სიტყვიერად აცნობოს თავისი გვარი, სახელი, მამის სახელი (ან ორგანიზაციის დასახელება) და მისამართი, იმ პირის დასახელება და უკანასკნელი ცნობილი მისამართი, რომლისთვის გადასაცემად შეტანილია ფული ან ფასიანი ქაღალდები, მიზეზი, თუ რატომ უშუალოდ არ შესრულდა ვალდებულება. მოვალეს აგრეთვე შეუძლია მიუთითოს დასაბუთება და ანგარიში, რომლის მიხედვითაც კეთდება შეტანა.

სახელმწიფო ნოტარიუსი, იღებს რა სანოტარო კანტორის დეპოზიტში ვალდებულების საგანს (ფული, ფასიანი ქაღალდები), არ ამოწმებს შენატანის საფუძველს, ე. ი. კრედიტორის უფლებათა და მოვალის ვალდებულებათა წარმოქმნის საფუძველს.

141. დეპოზიტში ფულის ან ფასიანი ქაღალდების შემტან პირს სახელმწიფო ნოტარიუსი აძლევს ქვითარს შეტანის შესახებ.

მოვალის თხოვნით წარწერა შეტანის შესახებ შეიძლება გაკეთდეს აგრეთვე წარდგენილ დოკუმენტზე, რომელიც ადასტურებს დავალიანებას.

142. სახელმწიფო სანოტარო კანტორა ფულისა და ფასიანი ქაღალდების მიღების შესახებ აცნობებს კრედიტორს და მისი თხოვნით მისცემს მას კუთვნილ ფულს ან ფასიან ქაღალდებს.

თუ კრედიტორის მისამართი მოვალეს არ აღუნიშნავს და სახელმწიფო ნოტარიუსისათვის ეს მისამართი უცნობია, მოვალეს აფრთხილებენ, რომ ფულის ან ფასიანი ქაღალდების შეტანის შესახებ კრედიტორის შეტყობინება მას ეკისრება.

143. თუ ფული სახელმწიფო სანოტარო კანტორაში ფოსტით ან საკრედიტო დაწესებულებიდან მიიღეს, მიღებული თანხიდან დაიქვითება კუთვნილი სახელმწიფო ბაჟი, ხოლო ნაშთი დეპოზიტში მიიღება.

144. „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 73-ე მუხლის შესაბამისად ფულისა და ფასიანი ქაღალდების იმ პირისათვის დაბრუნება, რომელმაც ისინი დეპოზიტში შეიტანა (დებიტორი), შეიძლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ იმ პირის წერილობითი თანხმობით, რომლის სასარგებლოდაც შეიტანეს ფული ან ფასიანი ქაღალდი (კრედიტორი), ანდა სასამართლოს დადგენილებით.

145. სახელმწიფო სანოტარო კანტორის ანგარიშზე სადეპოზიტო თანხების შენახვა შემდეგი ვადებით განისაზღვრება:

— მოქალაქეთათვის გადასაცემი სადეპოზიტო თანხები ინახება სამი წლის განმავლობაში;

— სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გადასაცემი სადეპოზიტო თანხები ინახება ერთი წლის განმავლობაში;

— სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებებისათვის გადასაცემი სადეპოზიტო თანხები ინახება იმ წლის 31 დეკემბრამდე, როცა ეს თანხები იქნა შეტანილი, ხოლო გადაუწყვეტელი სასამართლო საქმეების მიხედვით დეპოზიტში შეტანილი თანხები ინახება იმ წლის 31 დეკემბრამდე, როცა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება.

ამ ვადების გასვლის შემდეგ მოუკითხავი სადეპოზიტო თანხები გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში[1]).

მოუკითხავი სადეპოზიტო თანხები სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში გადაირიცხება აღნიშნული ვადების გასვლიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

146. სადეპოზიტო თანხები აღირიცხება სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

## თ ა ვ ი XV

### სააღსრულებო წარწერების შესრულება

147. „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 74-ე მუხლის შესაბამისად ფულის გადასახდევინებლად ან მოვალისაგან ქონების გამოსათხოვად სახელმწიფო ნოტარიუსი დაინტერესებულ პირთა წერილობითი

---

[1]) სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 25 მარტის დადგენილება „საერთო-სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებათა და უწყებათა განკარგულებაში არსებული სადეპოზიტო თანხების შესახებ“ („დეპოზიტიდან მოუკითხავი თანხების შენახვის ვადების შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 21 ივნისის № 768 დადგენილების რედაქციით) და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 25 მაისის № 591 დადგენილება „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძვლების სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლისა და შეცვლის შესახებ“ (სსრკ კანონთა კრებული, 1929 წ., № 23, მუხ. 202; სსრკ დადგ. კრებ. 1938 წ., № 30, მუხ. 185; სსრკ დადგ. კრებ., 1963 წ., № 10, მუხ. 105).

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადებით დოკუმენტზე ასრულებს სააღსრულებო წარწერას, რომელიც ადასტურებს დავალიანებას.

იმ დოკუმენტების ნუსხას, რომელთა მიხედვით დავალიანებას უდავო წესით, სააღსრულებო წარწერის საფუძველზე გადაახდევინებენ, ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

დოკუმენტებზე მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების დავალიანების შესახებ სააღსრულებო წარწერა არ სრულდება.

148. სააღსრულებო წარწერა სრულდება:

1) თუ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით უდავოა დავალიანება ან მოვალის სხვა პასუხისმგებლობა გადამხდევინებლის წინაშე;

2) თუ სარჩელზე უფლების წარმოშობის დღიდან გასულია არა უმეტეს სამი წლისა, ხოლო სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შორის ურთიერთობის გამო — არა უმეტეს ერთი წლისა.

თუ იმ მოთხოვნის მიმართ, რომელზეც უნდა გაიცეს სააღსრულებო წარწერა, კანონით დაწესებულია ხანდაზმულობის სხვა ვადა, სააღსრულებო წარწერა გაიცემა ამ ვადის ფარგლებში.

ვადა, რომლის განმავლობაშიც უნდა შესრულდეს სააღსრულებო წარწერა, გამოიანგარიშება იმ დღიდან, როცა გადამხდევინებელს წარმოექმნა ვალის იძულებითი გადახდევინების უფლება.

149. სააღსრულებო წარწერის შესრულებისას სახელმწიფო ნოტარიუსი მოვალეა შეამოწმოს, წარდგენილია თუ არა დავალიანების გადახდევინების დასასაბუთებლად იმ დოკუმენტების ნუსხაში აღნიშნული დოკუმენტები, რომლებითაც დავალიანების გადახდევინება წარმოებს უდავო წესით სააღსრულებო წარწერების საფუძველზე[1]).

150. „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 76-ე მუხლის შესაბამისად სააღსრულებო წარწერაში უნდა აღინიშნოს:

1) სააღსრულებო წარწერის შემსრულებელი სახელმწიფო ნოტარიუსის თანამდებობა, ინიციალები და გვარი;

2) გადამხდევინებლის დასახელება და მისამართი;

3) მოვალის დასახელება და მისამართი;

---

[1]) იმ დოკუმენტების ნუსხა, რომლებითაც დავალიანების გადახდევინება წარმოებს უდავო წესით სააღსრულებო წარწერების საფუძველზე, დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 26 ივლისის № 513 დადგენილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4) გადახდევინების ვადა;

5) გადასახდევინებელი თანხა ან გამოსათხოვი საგნები, აგრეთვე კუთვნილი საურავი და პროცენტი, თუ ასეთი ეკუთვნის;

6) გადამხდევინებლის მიერ გადახდილი ან მოვალის მიერ გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის თანხები;

7) სააღსრულებო წარწერის შესრულების თარიღი (წელი, თვე, რიცხვი);

8) სანოტარო რეესტრში სააღსრულებო წარწერის გატარების ნომერი:

9) სააღსრულებო წარწერის შემსრულებელი სახელმწიფო ნოტარიუსის ხელმოწერა და სახელმწიფო სანოტარო კანტორის გერბიანი ბეჭედი.

151. სააღსრულებო წარწერა სრულდება დოკუმენტის დედანზე, რომელიც ადასტურებს დავალიანებას.

დავალიანების დამადასტურებელი დოკუმენტისაგან ცალკე სააღსრულებო წარწერა არ სრულდება.

თუ დავალიანების დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით გადახდევინება ნაწილ-ნაწილ უნდა მოხდეს, სააღსრულებო წარწერა თითოეული გადახდევინების მიხედვით უნდა შესრულდეს ამ დოკუმენტის ასლზე ან მოვალის პირადი ანგარიშის ამონაწერზე. ამ შემთხვევაში დავალიანების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანზე აღინიშნება შესრულებული სააღსრულებო წარწერა გადასახდევინებელი თანხის, თარიღისა და იმ ნომრის ჩვენებით, რომლითაც იგი რეგისტრირებულია სანოტარო მოქმედების სარეგისტრაციო რეესტრში.

152. სახელმწიფო სანოტარო კანტორაში რჩება დავალიანების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ამ მოვალის პირადი ანგარიშის ამონაწერი და სააღსრულებო წარწერის ასლი.

ერთი და იმავე ვალდებულების მიხედვით სააღსრულებო წარწერის ყოველი შემდგომი შესრულებისას დავალიანების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის განმეორებით წარდგენა საჭირო არ არის. ამ შემთხვევაში საკმარისია პირადი ანგარიშისა და ვალდებულების დიდნის ამონაწერების ორი ეგზემპლარის წარდგენა. ამონაწერის ერთი ეგზემპლარი სააღსრულებო წარწერით და ვალდებულების დედანი დაუბრუნდება გადამხდევინებელს, ხოლო მეორე ეგზემპლარი რჩება სახელმწიფო სანოტარო კანტორაში.

153. თუ რამდენიმე სააღსრულებო წარწერა სრულდება დავალიანების დამადასტურებელი ერთგვაროვანი ფორმის დოკუმენტებზე (მაგალითად, ბანკის სესხი, ბინის ქირა და ა. შ.), სახელმწიფო სანოტარო კანტორაში შეიძლება დარჩეს დავალიანების დამადასტურებელი დოკუმენტის ერთი ასლი (ერთ-ერთ მოვალეზე) და ყველა მოვალის სია, რომლებისთვისაც გადახდევინებაზე სრულდება სააღსრულებო წარწერები, ამასთან აღინიშნება მოვალეთა სრული დასახელება და მისამართები, გადასახდელთა ვადები, სააღსრულებო წარწერის მიხედვით გადახდევინების თანხები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — სხვა მონაცემებიც.

154. თუ სააღსრულებო წარწერის შესასრულებლად, დავალიანების დამადასტურებელი დოკუმენტის გარდა საჭიროა წარდგენილ იქნეს იმ დოკუმენ-

№ 3
ეროვნული ბიბლიოთეკა

ტების ნუსხაში აღნიშნული სხვა დოკუმენტებიც, რომლებითაც დავალიანების გადახდევინება წარმოებს უდავო წესით სააღსრულებო წარწერების საფუძველზე, ისინი სააღსრულებო წარწერას კი არ დაერთვის, არამედ რჩება სახელმწიფო სანოტარო კანტორაში.

155. სააღსრულებო წარწერები ჩეკებზე სრულდება გადამხდელის ან სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან არსებული საანგარიშსწორებო დაწესებულების ადგილსამყოფელის მიხედვით. სააღსრულებო წარწერას სახელმწიფო ნოტარიუსი ასრულებს მხოლოდ იმ პირობით, თუ არის გადამხდელის (ბანკის) ან საანგარიშსწორებო დაწესებულების წარწერა იმის შესახებ, რომ ჩეკი წარდგენილ იქნა გასანაღდებლად წარდგენის დღის აღნიშვნით და არ გაუნაღდებიათ. სააღსრულებო წარწერის შესრულებისას მოწმდება, დროულად იქნა თუ არა წარდგენილი ჩეკი გასანაღდებლად (ჩეკების დებულების მე-11 და 34-ე მუხლები)[1]).

სააღსრულებო წარწერა გაიცემა სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა გადამხდელმა (ბანკმა) უარი განაცხადა ჩეკის განაღდებაზე, ხოლო წამწერლისათვის, რომელმაც ჩეკი გაანაღდა — სამი თვის განმავლობაში განაღდების დღიდან (ჩეკების დებულების 33-ე მუხლი).

სააღსრულებო წარწერა სრულდება ჩეკმფლობელის სურვილისამებრ როგორც ჩეკგამცემის მიმართ, ისევე ჩეკის მიხედვით პასუხისმგებელ წამწერელთა მიმართ.

სააღსრულებო წარწერის შესრულების შესახებ სახელმწიფო ნოტარიუსი აღნიშნავს რეესტრში და ჩეკგამცემს უგზავნის შეტყობინებას ჩეკის გაუნაღდებლობისა და სააღსრულებო წარწერის გაცემის შესახებ.

156. „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ" საქართველოს სსრ კანონის 78-ე მუხლის შესაბამისად, თუ გადამხდევინებელი ან მოვალე მოქალაქეა, სააღსრულებო წარწერა იძულებითი აღსრულებისათვის შეიძლება წარდგენილ იქნეს სამი წლის განმავლობაში მისი შესრულების დღიდან, ხოლო ყველა დანარჩენ მოთხოვნაზე — ერთი წლის განმავლობაში, თუ კანონმდებლობით დადგენილი არ არის სხვა ვადები.

სააღსრულებო წარწერის წარდგენისათვის გადაცილებული ვადის აღდგენა ხდება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 361-ე მუხლის შესაბამისად.

## თ ა ვ ი XVI

### თამასუქის პროტესტის შესრულება, ჩეკის წარდგენა გასანაღდებლად და ჩეკის გაუნაღდებლობის დადასტურება

157. სახელმწიფო სანოტარო კანტორები ასრულებენ თამასუქის პროტესტს მისი გაუნაღდებლობის, გასანაღდებლად მისი მიუღებლობის და დაუ-

---

[1]) ჩეკების დებულება დამტკიცებულია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 6 ნოემბრის დადგენილებით (სსრკ კანონთა კრებული, 1929 წ., № 73, მუხ. 697).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარიღებელი აქცეპტის გამო, გასაცემი და უბრალო თამასუქის დებულებათა შესაბამისად[1]).

158. თამასუქის პროტესტს მისი გაუნაღდებლობის გამო სახელმწიფო სანოტარო კანტორა ასრულებს გადამხდელის ადგილსამყოფელის ან გადასახდელის ადგილმდებარეობის მიხედვით (დომიცილებული თამასუქი, ე. ი. თამასუქი, რომელიც მესამე პირმა უნდა გაანაღდოს), ხოლო თამასუქის პროტესტს გასანაღდებლად მისი მიუღებლობისა და დაუთარიღებელი აქცეპტის გამო — გადამხდელის ადგილსამყოფელის მიხედვით.

159. თამასუქის გაუნაღდებლობის გამო პროტესტის შესასრულებლად სახელმწიფო სანოტარო კანტორა თამასუქს მიიღებს თამასუქის განაღდების თარიღის გასვლის მომდევნო დღეს, მაგრამ ამ ვადის მომდევნო დღის არა უგვიანეს 12 საათისა.

თამასუქის გასანაღდებლად მიუღებლობის გამო პროტესტის შესასრულებლად თამასუქი შეიძლება მიღებულ იქნეს იმ ვადის განმავლობაში, რაც გასაცემი და უბრალო თამასუქის დებულებით დაწესებულია აქცეპტისათვის წარსადგენად, ხოლო თუ თამასუქი აქცეპტისათვის წარდგენილ იქნა ვადის უკანასკნელ დღეს, — ამ ვადის მომდევნო დღის არა უგვიანეს 12 საათისა.

თამასუქის პროტესტი სრულდება გასაცემი და უბრალო თამასუქის დებულებით გათვალისწინებულ ვადებში.

160. თამასუქის პროტესტის მიღების დღეს სახელმწიფო სანოტარო კანტორა გადამხდელს ან დომიცილიანტს (პირს, რომელიც იხდის დომიცილებულ თამასუქს) წარუდგენს მოთხოვნას თამასუქის განაღდების (ან აქცეპტის) შესახებ.

თუ გადამხდელი (დომიცილიანტი) გაანაღდებს თამასუქს, სახელმწიფო სანოტარო კანტორა, პროტესტის გარეშე, დაუბრუნებს თამასუქს პირს, რომელმაც თამასუქი გაანაღდა, ამასთან თვით თამასუქზე გააკეთებს დაწესებული ფორმის წარწერას იმის შესახებ, რომ გადასახდელი და სხვა კუთვნილი თანხები მიღებულია.

თუ გადამხდელმა აქცეპტის შესახებ აღნიშნა გასაცემ თამასუქზე, თამასუქი დაუბრუნდება თამასუქმფლობელს პროტესტის გარეშე.

161. იმ შემთხვევაში, თუ მიღებულია გადამხდელის (დომიცილიანტის) უარი — არ გაანაღდოს ან არ მიიღოს გასანაღდებლად თამასუქი, ანდა იგი არ გამოცხადდა სახელმწიფო სანოტარო კანტორაში, სახელმწიფო ნოტარიუსი შეადგენს დაწესებული ფორმის აქტს თამასუქის გაუნაღდებლობის ან გასანაღდებლად მისი მიუღებლობის გამო პროტესტის შესახებ და გააკეთებს შესაბამის ჩანაწერს რეესტრში, აგრეთვე აღნიშნავს თამასუქის გაუნაღდებლობის ან

---

[1]) შემოღებულია სამოქმედოდ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 7 აგვისტოს № 104/1341 დადგენილებით „გასაცემი და უბრალო თამასუქის დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ (სსრკ კანონთა კრებული, 1937 წ., № 52, მუხ. 221).

№ 3 ეროვნული ბიბლიოთეკა

გასანაღდებლად მისი მიუღებლობის გამო პროტესტის შესახებ თეით თამასუქზე.

162. თუ გადამხდელის ადგილსამყოფელი უცნობია, თამასუქის პროტესტი სრულდება თამასუქის განაღდების ან აქცეპტის შესახებ მოთხოვნის წარუდგენლად, ამასთან შესაბამისად აღინიშნება აქტში პროტესტის შესახებ და სანოტარო მოქმედების სარეგისტრაციო რეესტრში.

163. გაპროტესტებული თამასუქი მიეცემა თამასუქმფლობელს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს.

164. სახელმწიფო სანოტარო კანტორა გადამხდელის ადგილსამყოფელის მიხედვით გასანაღდებლად იღებს ჩეკებს, რომლებიც წარდგენილია მათი გადაცემიდან ათი დღის შემდეგ, ხოლო უცხოეთის ჩეკებს — ექვსი თვის გასვლის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს ამ ვადის მომდევნო დღის 12 საათისა.

სახელმწიფო ნოტარიუსი იმავე დღეს წარუდგენს ჩეკს გასანაღდებლად ბანკს. ჩეკის გაუნაღდებლობის შემთხვევაში სახელმწიფო ნოტარიუსი დაადასტურებს ჩეკის გაუნაღდებლობას ჩეკზე დაწესებული ფორმის წარწერით და აღნიშნავს ამას რეესტრში.

ჩეკზე წარწერასთან ერთად ჩეკგამცემს ეგზავნება შეტყობინება ბანკის მიერ მისი ჩეკის გაუნაღდებლობის და ჩეკზე წარწერის შესრულების შესახებ.

ჩეკმფლობელის თხოვნით სახელმწიფო ნოტარიუსი ჩეკის გაუნაღდებლობის შემთხვევაში სააღსრულებო წარწერას შეასრულებს ამ ინსტრუქციის 155-ე პუნქტში ჩამოყალიბებული წესების მიხედვით.

## თ ა ვ ი XVII

### დოკუმენტების მიღება შესანახად

165. სახელმწიფო სანოტარო კანტორები შესანახად იღებენ დოკუმენტებს აღწერის მიხედვით.

აღწერა დგება ორ ეგზემპლარად. მას ხელს აწერს პირი, რომელმაც ჩაიბარა დოკუმენტები შესანახად, და სახელმწიფო ნოტარიუსი.

აღწერის ერთი ეგზემპლარი რჩება სახელმწიფო სანოტარო კანტორის საქმეებში, ხოლო მეორე ეგზემპლარი მიეცემა იმ პირს, რომელმაც ჩააბარა დოკუმენტები შესანახად.

დოკუმენტების მიღების დასადასტურებლად იმ პირს, რომელმაც ჩააბარა ისინი შესანახად, მიეცემა მოწმობა აღწერის ეგზემპლართურთ.

166. შესანახად მიღებული დოკუმენტები ინახება ცალკე პაკეტში სახელმწიფო სანოტარო კანტორის ბეჭდით დალუქულ რკინის კარადებში ან სეიფებში.

167. შესანახად მიღებული დოკუმენტები უბრუნდება მათ ჩამბარებელს ან კანონით უფლებამოსილ პირს მას შემდეგ, რაც წარადგენენ მოწმობას და აღწერის ეგზემპლარს სახელმწიფო ნოტარიუსის ხელმოწერით, ანდა სასამართლოს დადგენილებით.

მუხ. 60
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თ ა ვ ი XVIII

### საზღვაო პროტესტების შესრულება

168. სახელმწიფო ნოტარიუსები გემის მფლობელის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად მტკიცებულების უზრუნველყოფის მიზნით მიიღებენ გემის კაპიტნის განცხადებას იმ შემთხვევის შესახებ, რომელიც მოხდა ნაოსნობის ან ნავსადგურში დგომის დროს და რომელიც შესაძლოა გახდეს გემის მფლობელისათვის ქონებრივი მოთხოვნის წარდგენის საფუძველი.

169. განცხადება საზღვაო პროტესტის შესახებ უნდა შეიცავდეს შემთხვევის გარემოებათა და იმ ღონისძიებათა აღწერას, რომლებიც განახორციელა კაპიტანმა მისთვის მინდობილი ქონების დაცვის უზრუნველსაყოფად.

საზღვაო პროტესტის შესახებ განცხადებაში გადმოცემულ გარემოებათა დასადასტურებლად გემის კაპიტანმა სსრ კავშირის სავაჭრო ნაოსნობის კოდექსის 290-ე მუხლის შესაბამისად განცხადებასთან ერთად უნდა წარუდგინოს სახელმწიფო ნოტარიუსს მიმოხილვისათვის გემის ჟურნალი და კაპიტნის მიერ დამოწმებული ამონაწერი გემის ჟურნალიდან ნავსადგურში გემის შესვლის მომენტიდან ან შემთხვევის მომენტიდან (თუ იგი ნავსადგურში მოხდა) არა უმეტეს შვიდი დღის ვადაში.

170. განცხადება საზღვაო პროტესტის შესახებ სსრ კავშირის სავაჭრო ნაოსნობის კოდექსის 288-ე მუხლის შესაბამისად შეტანილ უნდა იქნეს ნავსადგურში გემის შესვლის მომენტიდან ოცდაოთხი საათის განმავლობაში. თუ შემთხვევა, რომლის გამოც აუცილებელია განცხადების შეტანა საზღვაო პროტესტის შესახებ, ნავსადგურში მოხდა, პროტესტი შეტანილ უნდა იქნეს შემთხვევის მომენტიდან ოცდაოთხი საათის განმავლობაში.

თუ შეუძლებელი აღმოჩნდება პროტესტის შეტანა დაწესებულ ვადაში, ამის მიზეზები უნდა აღინიშნოს განცხადებაში საზღვაო პროტესტის შესახებ.

171. სახელმწიფო ნოტარიუსები კაპიტნის განცხადების, გემის ჟურნალის მონაცემების, აგრეთვე თვით კაპიტნის და შესაძლებლობისამებრ გემის მეთაურთა შემადგენლობიდან არანაკლებ ორი მოწმისა და გემის ეკიპაჟიდან ორი მოწმის გამოკითხვის საფუძველზე შეადგენს დაწესებული ფორმის აქტს საზღვაო პროტესტის შესახებ და დაამოწმებს მას თავისი ხელმოწერითა და გერბიანი ბეჭდით. აქტის ეგზემპლარი მიეცემა კაპიტანს ან უფლებამოსილ პირს, ხოლო ეგზემპლარი, რომელსაც თან დაერთვის კაპიტნის განცხადება და გემის ჟურნალის ამონაწერი, რჩება სახელმწიფო სანოტარო კანტორაში.

## თ ა ვ ი XIV

### მტკიცებულებათა უზრუნველყოფა

172. დაინტერესებულ პირთა თხოვნით სახელმწიფო სანოტარო კანტორები ახდენენ იმ მტკიცებულებათა უზრუნველყოფას, რომლებიც საჭიროა სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოებში საქმის აღძვრის შემთხვევაში, თუ არსებობს იმის საფუძველი, რომ შემდგომში მტკიცებულებათა წარდგენა შეუძლებელია ან ძნელი გახდება.

№ 3

სახელმწიფო სანოტარო კანტორები არ უზრუნველყოფენ მტკიცებულებებს იმ საქმეებზე, რომლებიც სახელმწიფო სანოტარო კანტორისადმი დაინტერესებულ პირთა მიმართვის მომენტში საბჭოთა სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს წარმოებაშია.

თუ აუცილებელი მტკიცებულებანი უნდა წარედგინოს უცხოეთის სახელმწიფოს სასამართლო ორგანოს ან სხვა დაწესებულებას, მტკიცებულებათა უზრუნველყოფა ხდება იმის მიუხედავად, დაინტერესებული პირის მიმართვის მომენტში საქმე უკვე არის თუ არა უცხოეთის სახელმწიფოს სასამართლოს ან სხვა დაწესებულების წარმოებაში (ამ ინსტრუქციის 192-ე პუნქტი).

მტკიცებულებათა უზრუნველყოფით დაინტერესებულ პირს (მომავალ მოსარჩელეს, სავარაუდო მოპასუხეს) განცხადება შეაქვს იმ სახელმწიფო სანოტარო კანტორაში, რომლის საქმიანობის რაიონში უნდა შესრულდეს საპროცესო მოქმედება მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად.

173. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის წესით სახელმწიფო ნოტარიუსი დაჰკითხავს მოწმეებს, დაათვალიერებს წერილობით და ნივთიერ მტკიცებულებებს, დანიშნავს ექსპერტიზას.

174. მტკიცებულებათა უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საპროცესო მოქმედების შესრულებისას სახელმწიფო ნოტარიუსი ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი წესებით.

175. სახელმწიფო ნოტარიუსი მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ადგილისა და დროის შესახებ ატყობინებს მეორე მხარესა და დაინტერესებულ პირებს, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ დააბრკოლებს მოქმედების შესრულებას მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად.

მტკიცებულებათა უზრუნველყოფა მეორე მხარისა და დაინტერესებული პირებისათვის შეუტყობინებლად შეიძლება მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევებში ან მაშინ, როცა შეუძლებელია იმის გამორკვევა, თუ შემდგომში ვინ მიიღებს მონაწილეობას საქმეში.

გამოწვეული მოწმის ან ექსპერტის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სახელმწიფო ნოტარიუსი აცნობებს ამის შესახებ სახალხო სასამართლოს მოწმის ან ექსპერტის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 64-ე და 81-ე მუხლებით გათვალისწინებული ზომების მისაღებად.

176. სახელმწიფო ნოტარიუსი აფრთხილებს მოწმესა და ექსპერტს, რომ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა განზრახ ცრუ ჩვენების ან დასკვნის მიცემისათვის და ჩვენების ან დასკვნის მიცემაზე უარისა და თავის არიდებისათვის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე და 198-ე მუხლების შესაბამისად.

177. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის წესით მოწმის დაკითხვის შესახებ სახელმწიფო ნოტარიუსი ადგენს ოქმს, რომელშიც აღინიშნება:

— დაკითხვის თარიღი, დაკითხვის ჩამტარებელი სახელმწიფო ნოტარიუსის ინიციალები, სახელი და გვარი, სახელმწიფო სანოტარო კანტორის დასახელება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაკითხვაში მონაწილე პირთა გვარები, სახელები და მამის სახელები;
— მოწმის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი და საცხოვრებელი ადგილი;
— გაფრთხილება განზრახ ცრუ ჩვენებათა მიცემისა და ჩვენებათა მიცემაზე უარისათვის პასუხისმგებლობის შესახებ;
— მოწმის ჩვენების შინაარსი (მისთვის მიცემული შეკითხვები და მათზე გაცემული პასუხები).
ოქმს ხელს აწერენ მოწმე, დაკითხვაში მონაწილე პირები და სახელმწიფო ნოტარიუსი.

178. წერილობით და ნივთიერ მტკიცებულებათა დათვალიერების ჩატარების შესახებ სახელმწიფო ნოტარიუსი ადგენს ოქმს, რომელშიც აღინიშნება:
— დათვალიერების ჩატარების თარიღი და ადგილი;
— დათვალიერების ჩამტარებელი სახელმწიფო ნოტარიუსის ინიციალები და გვარი, სახელმწიფო სანოტარო კანტორის დასახელება;
— დათვალიერებაში მონაწილე დაინტერესებულ პირთა გვარები, სახელები და მამის სახელები, მათი საცხოვრებელი ადგილი;
— დათვალიერებისას გამოვლინებული გარემოებანი.
ოქმს ხელს აწერენ დათვალიერებაში მონაწილე პირები და სახელმწიფო ნოტარიუსი.

179. ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ სახელმწიფო ნოტარიუსს გამოაქვს დადგენილება, რომელშიც აღინიშნება:
— დადგენილების შედგენის თარიღი, დადგენილების გამომტანი სახელმწიფო ნოტარიუსის ინიციალები და გვარი, სახელმწიფო სანოტარო კანტორის დასახელება;
— იმ პირის გვარი, სახელი და მამის სახელი, რომლის თხოვნითაც ინიშნება ექსპერტიზა, მისი საცხოვრებელი ადგილი;
— საკითხები, რომლებზეც საჭიროა ექსპერტის დასკვნა;
— იმ საექსპერტო დაწესებულების (ექსპერტის) დასახელება, რომელსაც ევალება ექსპერტიზის ჩატარება. თუ ექსპერტიზის ჩატარება კონკრეტულ პირს ევალება, მაშინ აღინიშნება მისი გვარი, სახელი, მამის სახელი, საცხოვრებელი ადგილი, სამუშაო ადგილი და თანამდებობა.
დადგენილებას ხელს აწერს სახელმწიფო ნოტარიუსი.
ექსპერტიზის ჩატარების შესახებ დგება აქტი, რომელსაც ხელს აწერენ ექსპერტი და ექსპერტიზაში მონაწილე პირები. ექსპერტის დასკვნას ხელს აწერს ექსპერტი.

180. მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად საქმის წარმოების დამთავრების შემდეგ დაინტერესებულ პირს მიეცემა მტკიცებულებათა უზრუნველყოფის წესით შედგენილი ყოველი დოკუმენტის თითო ეგზემპლარი, ხოლო ყოველი დოკუმენტის თითო ეგზემპლარი რჩება სახელმწიფო სანოტარო კანტორაში.

181. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის წარმოების შესახებ მთხოვნელი პირისაგან სახელმწიფო სანოტარო კანტორა მოითხოვს შეიტანოს კანტორაში

პარლამენტის ბიბლიოთეკა

— დაკითხვაში მონაწილე პირთა გვარები, სახელები და მამის სახელები;
— მოწმის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი და საცხოვრებელი ადგილი;
— გაფრთხილება განზრახ ცრუ ჩვენებათა მიცემისა და ჩვენებათა მიცემაზე უარისათვის პასუხისმგებლობის შესახებ;
— მოწმის ჩვენების შინაარსი (მისთვის მიცემული შეკითხვები და მათზე გაცემული პასუხები).

ოქმს ხელს აწერენ მოწმე, დაკითხვაში მონაწილე პირები და სახელმწიფო ნოტარიუსი.

178. წერილობით და ნივთიერ მტკიცებულებათა დათვალიერების ჩატარების შესახებ სახელმწიფო ნოტარიუსი ადგენს ოქმს, რომელშიც აღინიშნება:
— დათვალიერების ჩატარების თარიღი და ადგილი;
— დათვალიერების ჩამტარებელი სახელმწიფო ნოტარიუსის ინიციალები და გვარი, სახელმწიფო სანოტარო კანტორის დასახელება;
— დათვალიერებაში მონაწილე დაინტერესებულ პირთა გვარები, სახელები და მამის სახელები, მათი საცხოვრებელი ადგილი;
— დათვალიერებისას გამოვლინებული გარემოებანი.

ოქმს ხელს აწერენ დათვალიერებაში მონაწილე პირები და სახელმწიფო ნოტარიუსი.

179. ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ სახელმწიფო ნოტარიუსს გამოაქვს დადგენილება, რომელშიც აღინიშნება:
— დადგენილების შედგენის თარიღი, დადგენილების გამომტანი სახელმწიფო ნოტარიუსის ინიციალები და გვარი, სახელმწიფო სანოტარო კანტორის დასახელება;
— იმ პირის გვარი, სახელი და მამის სახელი, რომლის თხოვნითაც ინიშნება ექსპერტიზა, მისი საცხოვრებელი ადგილი;
— საკითხები, რომლებზეც საჭიროა ექსპერტის დასკვნა;
— იმ საექსპერტო დაწესებულების (ექსპერტის) დასახელება, რომელსაც ევალება ექსპერტიზის ჩატარება. თუ ექსპერტიზის ჩატარება კონკრეტულ პირს ევალება, მაშინ აღინიშნება მისი გვარი, სახელი, მამის სახელი, საცხოვრებელი ადგილი, სამუშაო ადგილი და თანამდებობა.

დადგენილებას ხელს აწერს სახელმწიფო ნოტარიუსი.

ექსპერტიზის ჩატარების შესახებ დგება აქტი, რომელსაც ხელს აწერენ ექსპერტი და ექსპერტიზაში მონაწილე პირები. ექსპერტის დასკვნას ხელს აწერს ექსპერტი.

180. მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად საქმის წარმოების დამთავრების შემდეგ დაინტერესებულ პირს მიეცემა მტკიცებულებათა უზრუნველყოფის წესით შედგენილი ყოველი დოკუმენტის თითო ეგზემპლარი, ხოლო ყოველი დოკუმენტის თითო ეგზემპლარი რჩება სახელმწიფო სანოტარო კანტორაში.

181. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის წარმოების შესახებ მთხოვნელი პირისაგან სახელმწიფო სანოტარო კანტორა მოითხოვს შეიტანოს კანტორაში

№ 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფული მოწმეთა და ექსპერტთა გასამრჯელოს ასანაზღაურებლად და მტკიცებულებათა უზრუნველყოფის წარმოების სხვა ხარჯების დასაფარავად. ექსპერტებსა და მოწმეებს მიეცემათ გასამრჯელო საქმისაგან მათი მოწყვეტისათვის იმ განაკვეთების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია სასამართლოში მოწმეთა და ექსპერტთა გამოძახებისას გასამრჯელოს მისაცემად.

## კ ა რ ი IV

### სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ კანონმდებლობის გამოყენება უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ. უცხოეთის სახელმწიფოთა კანონმდებლობის გამოყენება, საერთაშორისო ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი

182. „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ" საქართველოს სსრ კანონის 86-ე მუხლის შესაბამისად უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს აქვთ საბჭოთა მოქალაქეებთან თანაბარი უფლება — მიმართონ საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორებს.

უცხოეთის საწარმოებსა და ორგანიზაციებს უფლება აქვთ მიმართონ საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორებს.

183. „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ" საქართველოს სსრ კანონის 87-ე მუხლის თანახმად სახელმწიფო ნოტარიუსი სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონმდებლობის, იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად, რომლებშიც მონაწილეობს სსრ კავშირი ან საქართველოს სსრ, იყენებს უცხოეთის სამართლის ნორმებს.

სახელმწიფო ნოტარიუსები იღებენ უცხოეთის სამართლის მოთხოვნების შესაბამისად შედგენილ დოკუმენტებს, აგრეთვე ასრულებენ დამადასტურებელ წარწერებს უცხოეთის კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საბჭოთა წყობილების საფუძვლებს.

184. სსრ კავშირში მცხოვრები საბჭოთა მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების სახელით გარიგება, რაც საზღვარგარეთ არსებულ ქონებას ან იმ უფლებებს შეეხება, რომლებიც საზღვარგარეთ უნდა განხორციელდეს (მათ შორის რწმუნებულებანი საზღვარგარეთ ქონებრივი ხასიათის და ისეთი სამოქალაქო საქმეების საწარმოებლად, რამაც შეიძლება წარმოშვას ქონებრივი უფლება-მოვალეობანი), დადასტურდება იმ პირობით, თუ წარდგენილ იქნება სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს სავალუტო სამმართველოს ნებართვა ან უცხოეთის საქმეთა იურიდიული კოლეგიის, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა აღმასრულებელი კომიტეტის, საავტორო უფლებათა საკავშირო სააგენტოს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ან სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატის გამოგონებათა დაპატენტების სამმართველოს ცნობები მათს წარმოებაში არსებული საქმეების შესახებ.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს სავალუტო სამმართველოს ნებართვის წარუდგენლად სახელმწიფო ნოტარიუსები საბჭოთა მოქალაქეებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქეობის არმქონე პირების სახელით ადასტურებენ რწმუნებულებას სოციალისტურ ქვეყნებში ქონებრივი და სხვა სამოქალაქო საქმეების საწარმოებლად, როგორიცაა:

— მემკვიდრეობის უფლებათა გაფორმება, მემკვიდრეობაზე უარის თქმა, ქონებით სარგებლობისა და მართვის უფლების, აგრეთვე საკუთრების უფლების გადაცემა, მათ შორის ქონების (სახლები, საზოვე შენობები, მიწის ნაკვეთები) რეალიზაცია ნათესავებისათვის (მშობლები, შვილები, შვილიშვილები, პაპა, ბებია, ძმები, დები, ბიძა, დეიდა, მამიდა, ძმისწული, დისწული, აგრეთვე მეუღლე);

— სოციალისტური ქვეყნების საბაჟო დაწესებულებათა მიერ საზღვარზე დაკავებული საგნებისა და ფულის, აგრეთვე ბანკში, შემნახველ სალაროსა და სხვა დაწესებულებებში შესანახად ჩაბარებული თანხების მიღება;

— საოჯახო-საქორწინო საქმეების წარმოება, აგრეთვე განათლების, მუშაობის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სხვა ისეთი დოკუმენტების მიღება, რომლებიც მოქალაქეთა პირად უფლებებსა და ინტერესებს შეეხება.

185. სახელმწიფო ნოტარიუსის მიერ დადასტურებული რწმუნებულება, რომელიც გათვალისწინებულია საზღვარგარეთ მოქმედების შესასრულებლად და არ შეიცავს მითითებებს მისი მოქმედების ვადის შესახებ, ძალაში რჩება რწმუნებულების გამცემი პირის მიერ მის გაუქმებამდე, რაც შეიძლება აღინიშნოს რწმუნებულების ტექსტში.

186. „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ" საქართველოს სსრ კანონის 88-ე მუხლის თანახმად უცხოელი მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე დარჩენილი ქონების ან საბჭოთა მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ უცხოელი მოქალაქის კუთვნილი ქონების დაცვასთან, აგრეთვე ასეთ ქონებაზე მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემასთან დაკავშირებული მოქმედება ხორციელდება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად[1]).

187. როცა მიიღებენ ცნობებს იმ უცხოეთის სახელმწიფო მოქალაქის გარდაცვალების შესახებ, რომელთანაც სსრ კავშირს დადებული აქვს საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება, რომელიც შეიცავს სამკვიდრო ქონების დაცვის ნორმებს, სახელმწიფო სანოტარო კანტორები ხელმძღვანელობენ რა შესაბამისი ხელშეკრულებით ან შეთანხმებით, ისეთ შემთხვევაში, თუ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არის გარდაცვლილის ქონება, მიიღებენ საჭირო ზომებს სამკვიდრო ქონების დასაცავად, განსაზღვრავენ სამკვიდრო ქონების ოდენობასა და ღირებულებას, გამოარკვევენ მემკვიდრეთა წრეს, შეამოწმებენ ანდერძის არსებობას და დაუყოვნებლივ შეატყობინებენ ამის შესახებ იმ სახელმწიფოს დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობას, რომლის მოქალაქეც გარდაცვლილია, ამ ინსტრუქციის 191-ე პუნქტით დადგენილი წესით.

---

[1]) აღნიშნული მოქმედება სრულდება ამ ინსტრუქციის 84—105-ე პუნქტებში ჩამოყალიბებული წესების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით მემკვიდრეობის საქმის წარმოება იმ უცხოეთის სახელმწიფოს დაწესებულებათა კომპეტენციას განეკუთვნება, რომლის მოქალაქეც გარდაცვლილია, სამკვიდრო მოძრავი ქონება სახელმწიფო სანოტარო კანტორის მიერ შეიძლება გადაეცეს ამ სახელმწიფოს დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობას მისი მოთხოვნით.

ხელშეკრულებებში ხმარებული ცნება „უძრავი ქონება“ სსრ კავშირში უნდა გავრცელდეს ყოველგვარ ნაგებობაზე, ხოლო ცნება „მოძრავი ქონება“ — ყველა სხვა ქონებაზე.

188. იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა შესაბამისად, რომლებშიც მონაწილეობს სსრ კავშირი ან საქართველოს სსრ, ისეთ შემთხვევაში, როცა უცხოეთის სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმის მიხედვით შედგენილი ანდერძი მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ წარედგინება სანოტარო კანტორას გასახსნელად და გამოსაცხადებლად, სახელმწიფო ნოტარიუსი აცხადებს ანდერძის შინაარსს, შეადგენს ოქმს ანდერძის მდგომარეობისა და შინაარსის შესახებ. ოქმში აღინიშნება ანდერძის შედგენის თარიღი, მისი წარმდგენი პირის სახელი, დოკუმენტის მდგომარეობა: დალუქული წარადგინეს იგი თუ გახსნილი, ხომ არ იყო შიგ გადაშლილი ადგილები, შესწორებანი ან სხვა ხარვეზები. ოქმს ხელს აწერენ სახელმწიფო ნოტარიუსი და ანდერძის წარმდგენი პირი. იგივე პირები ხელს აწერენ ანდერძის ყოველ გვერდს. თუ ანდერძი ნოტარიუსთან დალუქული ინახებოდა, მთელ ზემოაღნიშნულ მოქმედებას ნოტარიუსი ერთპიროვნულად ასრულებს.

189. საზღვარგარეთ უცხოეთის ხელისუფალთა მონაწილეობით შედგენილ ან მათგან გამოსულ დოკუმენტებს საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორები იღებენ იმ პირობით, თუ ისინი ლეგალიზებულია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანოების მიერ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორები ასეთ დოკუმენტებს ლეგალიზაციის გარეშე იღებენ იმ შემთხვევებში, როცა ეს გათვალისწინებულია სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონმდებლობით, იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, რომლებშიც მონაწილეობენ სსრ კავშირი და საქართველოს სსრ.

190. „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 90-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორები ასრულებენ დადგენილი წესით უცხოეთის იუსტიციის ორგანოებისაგან მიღებულ დავალებებს ცალკეულ სანოტარო მოქმედებათა შესრულების შესახებ და მიმართავენ უცხოეთის იუსტიციის ორგანოებს დავალებით — შეასრულონ ცალკეული სანოტარო მოქმედებანი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა:

1) დავალების შესრულება ეწინააღმდეგება სსრ კავშირის სუვერენიტეტს ან ემუქრება სსრ კავშირის უშიშროებას;

2) დავალების შესრულება არ განეკუთვნება სსრ კავშირის სახელმწიფო სანოტარო კანტორების კომპეტენციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთის იუსტიციის ორგანოების დავალებანი ცალკეულ სანოტარო მოქმედებათა შესრულების შესახებ სრულდება საბჭოთა კანონმდებლობის საფუძველზე.

191. უცხოეთის იუსტიციის ორგანოებთან საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორების ურთიერთობის წესს განსაზღვრავენ სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონმდებლობა, საერთაშორისო ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი, რომლებშიც მონაწილეობს სსრ კავშირი ან საქართველოს სსრ.

სახელმწიფო სანოტარო კანტორები სამართლებრივი დახმარების ხელშეკრულებებითა და სხვა საერთაშორისო შეთანხმებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში უშუალოდ უკავშირდებიან საკონსულო წარმომადგენლებს, თუ მოცემული საკონსულო წარმომადგენლის საკონსულო ოლქი დაკავშირებულია მათი სამსახურებრივი საქმიანობის რაიონთან. დანარჩენ შემთხვევებში სახელმწიფო სანოტარო კანტორების ურთიერთობა საკონსულო და დიპლომატიურ დაწესებულებებთან ხორციელდება საქართველოს სსრ ან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით.

192. საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორები უზრუნველყოფენ უცხოეთის სახელმწიფოთა ორგანოებში საქმის წარმოებისათვის საჭირო მტკიცებულებებს ამ ინსტრუქციის 172—177-ე პუნქტებში ჩამოყალიბებული წესების მიხედვით.

193. „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ" საქართველოს სსრ კანონის 92-ე მუხლის შესაბამისად, თუ იმ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით დადგენილი სანოტარო მოქმედების წესები, რომელშიც მონაწილეობს სსრ კავშირი ან საქართველოს სსრ, განსხვავდება სსრ კავშირის ან საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ჩამოყალიბებული წესებისაგან, მაშინ სანოტარო მოქმედების შესრულებისას გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების წესები.

თუ საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება, რომელშიც მონაწილეობს სსრ კავშირი ან საქართველოს სსრ, სსრ კავშირის სახელმწიფო სანოტარო კანტორების კომპეტენციას მიაკუთვნებს ისეთი სანოტარო მოქმედების შესრულებას, რომელსაც სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორები ამ სანოტარო მოქმედებას შეასრულებენ სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის მიხედვით.

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით, რომელშიც მონაწილეობს სსრ კავშირი ან საქართველოს სსრ, გათვალისწინებულია ისეთი სანოტარო მოქმედება, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაბამისად არ შეიძლება შეასრულონ რამდენიმე მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო სანოტარო კანტორებმა, ან თუ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა არ განსაზღვრავს კომპეტენტურ სახელმწიფო სანოტარო კანტორას, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო ადგენს, თუ რომელმა სახელმწიფო სანოტარო კანტორამ უნდა შეასრულოს და რომელ მოკავშირე რესპუბლიკაში უნდა შესრულდეს აღნიშნული სანოტარო მოქმედება.

---

## 61 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 14 აპრილის № 291 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) ზოგადი დებულების დამტკიცების შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 14 აპრილის № 291 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-7 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის 3) ქვექვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 28 ოქტომბრის № 987 დადგენილებისა „კოლმეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში უმოქმედო სასოფლო ელექტროსადგურების აღდგენისა და ელექტროსადგურების, ელექტროქსელის და სატრანსფორმატორო ქვესადგურების ექსპლუატაციის გაუმჯობესების ზომების შესახებ".

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 14 აპრილის № 291 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა:

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 16 იანვრის № 43 დადგენილება „საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების გრძელვადიანი დეკრედიტების შესახებ", რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 8 თებერვლის № 55 დადგენილებით, ამასთან შენარჩუნებულია მისი მოქმედება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 10 თებერვლის № 107 დადგენილებითა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 24 დეკემბრის № 3151 განკარგულებით გავრცელებულ ნაწილში;

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 10 თებერვლის № 102 დადგენილება „სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის მიერ საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის პირუტყვისა და ფრინველის გასასუქებლად გრძელვადიანი კრედიტების მიცემის შესახებ", რომელიც და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 13 თებერვლის № 90 განკარგულებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი 1977 წ. 24 ივნისი № 467

## 62 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 29 აპრილის № 343 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შესახებ სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 29 აპრილის № 343 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 1 თებერვლის № 104 დადგენილება „1945 წლისათვის სამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა დამხმარე მეურნეობებში მეღორეობისა და ღორის გასუქების განვითარების შესახებ".

2. მე-5, მე-9 და მე-10 პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 13 აპრილის № 61 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1946 წლის 29 მარტს „სამრეწველო სამინისტროთა სოფლის მეურნეობის განვითარების 1946 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ" მიღებული № 705 დადგენილების განხორციელების ღონისძიებებზე".

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 7 დეკემბრის № 1645 დადგენილება „დამხმარე მეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების 1949-1951 წლების გეგმის შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 24 ივნისი, № 468

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 63 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 10 მაისის № 364 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 10 მაისის № 364 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 10 ნოემბრის № 1299 დადგენილება „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოებისა და საწარმოების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

2. მე-2 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 8 აპრილის № 263 დადგენილებისა „ამიერკავკასიის რკინიგზის სალოკომოტივო ბრიგადების საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის შესახებ".

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 28 ივნისის № 676 დადგენილება „ახლად აშენებულ საცხოვრებელ სახლებსა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებში ადგილობრივი საბჭოებისათვის საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტის სავალდებულო გადაცემისაგან უმაღლესი და სპეციალური საშუალო სასწავლებლების (ტექნიკუმების) განთავისუფლების შესახებ".

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 18 მარტის № 329 დადგენილება „სასტუმროების, რესტორნების, სასაუზმეების, კაფეების, ლუდხანებისა და სასადილოების საჭიროებისათვის ელექტროენერგიის ტარიფების დაკლების შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 24 ივნისი, № 469

## 64 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში საწარმოო გაერთიანებათა შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის წინადადება, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, და შეიქმნას 1977 წლის 1 ივლისიდან საწარმოო გაერთიანებანი, დანართის თანახმად.

აღნიშნულმა საწარმოო გაერთიანებებმა თავიანთი საქმიანობა განახორციელონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 27 მარტის № 212 დადგენილებით დამტკიცებული საწარმოო გაერთიანების (კომბინატის) დებულების, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ აღნიშნული დებულების თანახმად დამტკიცებული წესდებების შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა განახორციელოს გულდასმით შემუშავებულ ღონისძიებათა კომპლექსი, იმ ვარაუდით, რომ პოლიგრაფიულ საწარმოთა გაერთიანების პირობებში შემცირდეს საგამომცემლო-პოლიგრაფიული ხარჯები, გაიზარდოს წარმოების რენტაბელობა და გაუმჯობესდეს გამოსაშვები პროდუქციის ხარისხი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 24 ივნისი, № 470

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 24 ივნისის № 470 დადგენილების დანართი

# ნ უ ს ხ ა

**საწარმოო გაერთიანებებისა, რომლებიც იქმნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში 1977 წლის 1 ივლისიდან**

| გაერთიანების დასახელება | გაერთიანების შემადგენლობა |
|---|---|
| 1. თბილისის საგამომცემლო-პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება | გამომცემლობა „განათლება“ (მთავარი საწარმო) და ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი (დამოუკიდებელი საწარმოს უფლებებით) |
| 2. ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება | ქუთაისის № 5 სტამბა (მთავარი საწარმო), მაიაკოვსკის, ვანის, სამტრედიის, წულუკიძის, წყალტუბოს, ლენტეხის, ცაგერის, ამბროლაურის, ტყიბულისა და ონის სტამბები (საწარმოო ერთეულების უფლებებით). |
| 3. რუსთავის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება | რუსთავის სტამბა (მთავარი საწარმო), გარდაბნის, მარნეულის, თეთრი წყაროს, ბოლნისის, დმანისისა და წალკის სტამბები (საწარმოო ერთეულების უფლებებით). |
| 4. ზუგდიდის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება | ზუგდიდის სტამბა (მთავარი საწარმო), ცხაკაიას, გეგეჭკორის, აბაშის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის, მესტიისა და ფოთის სტამბები (საწარმოო ერთეულების უფლებებით). |
| 5. ზესტაფონის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება | ზესტაფონის სტამბა (მთავარი საწარმო), ორჯონიკიძის, საჩხერის, თერჯოლისა და ჭიათურის სტამბები (საწარმოო ერთეულების უფლებებით). |
| 6. ბორჯომის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება | ბორჯომის სტამბა (მთავარი საწარმო), ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის სტამბები (საწარმოო ერთეულების უფლებებით). |
| 7. მახარაძის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება | მახარაძის სტამბა (მთავარი საწარმო), ლანჩხუთისა და ჩოხატაურის სტამბები (საწარმოო ერთეულების უფლებებით). |
| 8. გორის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება | გორის სტამბა (მთავარი საწარმო), ხაშურის, კასპისა და ქარელის სტამბები (საწარმოო ერთეულების უფლებებით). |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| 9. გურჯაანის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება | გურჯაანის სტამბა (მთავარი საწარმო), თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის, წითელწყაროს, ახმეტისა და სიღნაღის სტამბები (საწარმოო ერთეულების უფლებებით) |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

## 65 საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების თანდართული წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 28 ივნისი, № 476

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 28 ივნისის № 476
დადგენილებით

# საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების წესდება

(მიღებულია საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების VII ყრილობის მიერ 1975 წლის 24 ოქტომბერს)

## I. საზოგადოების მიზნები და ამოცანები

1. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოება მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სახელმწიფო და ყველა სხვა ორგანიზაციას რესპუბლიკის ბუნებრივი სიმდიდრის დაცვაში, რაც გამოიხატება მცენარეული საფარის (ტყის, მდელოს, ველისა და მწვანე ნარგავების) დაცვით, ატმოსფერული და წყლის რესურსების დაცვითა და განვითარებით, სასარგებლო ფაუნის დაცვითა და გამრავლებით, წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიისაგან ნიადაგის დაცვით, მდინარეების, მიწისქვეშა წყლების, წყალსატევების დაცვით, აგრეთვე ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების სხვა ძეგლების გამოვლინებითა და დაცვით.

2. ბუნების დაცვის საზოგადოების ამოცანაა მოაწყოს მოსახლეობის მასობრივი მოძრაობა რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისათვის, მათი შემდგომი განვითარებისა და გამდიდრებისათვის.

ამ მიზნით საზოგადოება კისრულობს ინიციატივას და აქტიურ მონაწილეობას იღებს:

ა) ტყეებისა და მწვანე ნარგავების დაცვაში და მიწათმოქმედებისათვის უვარგის სახელმწიფო და საკოლმეურნეო თავისუფალ მიწებზე ტყის გაშენების ორგანიზაციაში, მუშათა დაბებში, რაიონულ ცენტრებსა და ქალაქებში პარკებისა და მწვანე ნარგავების გაშენება-გაფართოებაში, მეყავვილეობისათვის ხელის შეწყობაში, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხეხილ-კენკროვანი ნარგავების გაფართოებაში და ახორციელებს თავის მუშაობას ლოზუნგით: „დავრგოთ და გავახაროთ ყოველწლიურად 1-2 ხე თითოეულ სულ მოსახლეზე, დავიცვათ და ვამრავლოთ ჩვენი ბუნების სიმდიდრენი";

ბ) ფაუნის (ნადირთა და ფრინველთა) სასარგებლო და ძვირფას სახეობათა დაცვასა და გამრავლებაში მათი ხელოვნური გამრავლებისათვის ხელის შეწყობით, აგრეთვე ნაკრძალების მოწყობითა და სხვა ღონისძიებათა განხორციელებით;

გ) შიდა ტბა-მდინარეების, წყალსატევების, მიწისქვეშა წყლების, წყალსაცავების დაცვასა და იქ თევზის მარაგის გადიდების ღონისძიებათა განხორციელებაში;

დ) ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის განხორციელებაში;

ე) ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ძეგლების გამოვლინებასა და აღრიცხვაში, მათი კეთილმოწყობისა და დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) მინდორსაცავი ტყის ზოლების შექმნაში, აგრეთვე სახელმწიფო და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზების, სასოფლო გზებისა და სარწყავი არხების გაყოლებით დამცავ ტყის ნარგაობათა მოწყობაში;

ზ) ტყისა და მიწის ცალკეულ ნაკვეთებზე ტყისა და მდელოს ბუნებრივი განახლების, აგრეთვე სასარგებლო ფაუნის გამრავლების ხელშემწყობ კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელებაში;

თ) გატყევებისა და გამწვანების სამუშაოებისათვის, აგრეთვე მინდორსაცავი ზოლების მოწყობისათვის სარგავი მასალის გამოსაყვანად სკოლა-სანერგეთა გაშენებაში;

ი) სახალხო მეურნეობისათვის ძვირფას სახეობათა მცენარეების, მწვანე ნარგავების, ცხოველთა დაცვის, გამრავლებისა და რაციონალური გამოყენების, მდინარეების, გუბურების, არხების, წყალსაცავების, მიწისქვეშა წყლების გამოყენების შესახებ კანონების განხორციელებისადმი, აგრეთვე სასარგებლო ნადირსა და ფრინველზე ნადირობის წესების დაცვისადმი საზოგადოებრივი კონტროლის ორგანიზაციაში.

3. საზოგადოება ეწევა ბუნების დაცვის იდეებისა და ამოცანების ფართო პროპაგანდას პრესის, რადიოს, კინოს, ტელევიზიის საშუალებით, აწყობს ლექციებს, საუბრებს, უშვებს სამეცნიერო-პოპულარულ წიგნებს, ალბომებს, ბროშურებს, პლაკატებსა და სხვ.

4. საზოგადოება თითოეულ საბჭოთა მოქალაქეს უნერგავს ბუნების სიმდიდრეებისადმი სიყვარულს, მზრუნველობით მოპყრობისა და მათი დაცვისათვის პასუხისმგებლობის გრძნობას.

5. ბუნების დაცვის საზოგადოება ყოველწლიურად აწყობს „ბუნების დაცვის ერთთვიურს", ამოცანად ისახავს, რომ ამ „ერთთვიურის" დროს საზოგადოების ყველა წევრი მონაწილეობდეს რესპუბლიკის ბუნების სიმდიდრეთა დაცვის, მათი შემდგომი განვითარებისა და გამრავლების ღონისძიებათა განხორციელებაში.

6. საზოგადოება აწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას თავის წევრებსა და კოლექტივებს შორის ბუნების დაცვის ღონისძიებათა უკეთ განხორციელებისათვის, აწესებს გარდამავალ დროშას გამარჯვებული კოლექტივებისათვის, გამოყოფს ფულად სახსრებს და აჯილდოებს საზოგადოებისა და კოლექტივების წევრებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ამ შეჯიბრებაში, და ანიჭებს მათ საზოგადოების საპატიო წევრის წოდებას.

7. რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმთან, ავტონომიური რესპუბლიკების, საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოებთან იქმნება ბუნების დაცვის სახალხო უნივერსიტეტი და მისი ფილიალები, აგრეთვე, საბჭოს შეხედულებისამებრ საჭირო სექციები, კლუბები, რომლებიც ხელს უწყობენ საზოგადოების მუშაობაში.

8. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოება და მისი რესპუბლიკური (ავტონომიური რესპუბლიკების), საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანოები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებებით.

9. საზოგადოებას აქვს ბეჭედი წარწერით: „საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოება".

№ 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## II. საზოგადოების წევრები

10. საზოგადოების წევრი შეიძლება იყოს საქართველოს სსრ როგორც სრულწლოვანი მოქალაქე, ისე პიონერი და მოსწავლე, აგრეთვე კულტურის, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ორგანიზაცია, დაწესებულება და საწარმო.

11. საზოგადოების წევრი ვალდებულია:

ა) პირადი შრომით მონაწილეობდეს ბუნების სიმდიდრეთა დაცვაში, ტყისა და მწვანე ნარგავების გაშენებაში, სწავლობდეს მცენარეთა თესვის, დარგვისა და მოვლის წესებს, ხელს უწყობდეს სასარგებლო ფაუნის გამრავლებას, ზემოქმედებას ახდენდეს იმაზე, რომ გადამუშავებული წყლებით არ გაჭუჭყიანდეს მდინარეები და არხები; მიწისქვეშა წყლები;

ბ) იცავდეს ბუნების სიმდიდრეებსა და მწვანე ნარგავებს, იყოს ინიციატორი ბუნების სიმდიდრეთა დაცვის ყოველგვარი ღონისძიების განხორციელებაში და ეწეოდეს მოსახლეობაში ბუნების სიმდიდრეთა და მწვანე ნარგავთა საზოგადოებრივი და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის პროპაგანდას;

გ) მტკიცედ იცავდეს და ახორციელებდეს საზოგადოების წესდების ყველა მოთხოვნას და ზემდგომი ორგანოების დადგენილებებს;

დ) იხდიდეს შესასვლელ და საწევრო შესატანებს.

12. საზოგადოების წევრს უფლება აქვს:

ა) გადამწყვეტი ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების ყველა კრებასა და თათბირში;

ბ) აირჩიოს და არჩეულ იქნეს საზოგადოების აღმასრულებელ და სარევიზიო ორგანოებში.

13. კულტურის, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ორგანიზაციები, დაწესებულებები და საწარმოები საზოგადოების წევრის უფლებებს ახორციელებენ თავიანთ წარმომადგენელთა მეშვეობით.

14. საზოგადოების წევრად გაფორმება ხდება მსურველის წერილობითი განცხადების საფუძველზე, პირველადი ორგანიზაციის საბჭოს დადგენილებით.

საზოგადოების წევრები გამოდიან საზოგადოების შემადგენლობიდან პირადი განცხადებით, ხოლო საზოგადოების წესდების დარღვევის შემთხვევაში შეიძლება გაირიცხონ პირველადი ორგანიზაციის საბჭოს დადგენილებით.

## III. საზოგადოების მართვის ორგანოები

15. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების უმაღლესი ორგანოა მისი ყრილობა, რომელსაც იწვევენ ოთხ წელიწადში ერთხელ.

ყრილობათა შორის პერიოდში საზოგადოების მუშაობას ხელმძღვანელობს ყრილობის მიერ არჩეული საბჭო, რომელიც ყოველდღიური მუშაობის გასაწევად ირჩევს პრეზიდიუმს 9-15 წევრის შემადგენლობით, მათგან — პრეზიდიუმის თავმჯდომარეს და მის 4 მოადგილეს.

საბჭოს პლენუმებს იწვევენ საჭიროების მიხედვით, მაგრამ წელიწადში 2-ჯერ მაინც.

16. ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქში, ქალაქებსა და რაიონებში ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკურ, საოლქო, საქალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქო და რაიონულ საბჭოებს ირჩევენ კონფერენციებზე. საბჭოს ირჩევენ ავტონომიურ რესპუბლიკებში — 31-45 წევრის, ავტონომიურ ოლქში — 21-41 წევრის, ქალაქებში — 21-35 წევრისა და რაიონებში — 15-31 წევრის შემადგენლობით. საბჭოები ირჩევენ პრეზიდიუმს 5-9 წევრის შემადგენლობით, თავმჯდომარესა და მის 2 მოადგილეს.

ბუნების დაცვის საზოგადოების ავტონომიური რესპუბლიკების, საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების არჩევა ხდება 2 წლის ვადით.

17. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების ყრილობა, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების, საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების კონფერენციები და პირველადი ორგანიზაციების საერთო კრებები ირჩევენ სარევიზიო კომისიებს 3-7 წევრის შემადგენლობით.

სარევიზიო კომისიები ამოწმებენ საზოგადოების სათანადო საბჭოების საქმიანობას წესდებით დასახული ამოცანებისა და საზოგადოების კონფერენციებისა და პირველადი ორგანიზაციების საერთო კრებების დადგენილებათა შესრულების დარგში, აგრეთვე საზოგადოების ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმიანობას და მის ფულად ანგარიშს.

18. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების ყრილობაზე, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, საქალაქო და რაიონული საბჭოების კონფერენციებზე წარმომადგენლობის ნორმებს აწესებს საზოგადოების შესაბამისი საბჭოს პრეზიდიუმი.

19. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების საფუძველს წარმოადგენენ მისი პირველადი ორგანიზაციები.

პირველადი ორგანიზაციები იქმნება სამრეწველო საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სასოფლო და სადაბო საბჭოებთან, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, ტრანსპორტზე, სახლმმართველობებთან, კოოპერაციულ და სხვა ორგანიზაციებთან, თუ არის საზოგადოების სულ ცოტა 5 წევრი.

საერთო კრებებს შორის პერიოდში საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის მუშაობას ხელმძღვანელობს საერთო კრებაზე 2 წლის ვადით არჩეული საბჭო 3-5 წევრის შემადგენლობით, რომელიც აირჩევს თავმჯდომარეს, მის მოადგილესა და ხაზინადარს.

20. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების ყრილობა:

ა) განიხილავს და ამტკიცებს საზოგადოების წესდებას;

ბ) ირჩევს საზოგადოების საბჭოსა და სარევიზიო კომისიას;

გ) განიხილავს და ამტკიცებს საბჭოსა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებებს.

21. საზოგადოების ავტონომიური რესპუბლიკების, საოლქო, საქალაქო და რაიონული კონფერენციები და პირველადი ორგანიზაციების საერთო კრებები:

ა) ირჩევენ საზოგადოების საბჭოსა და სარევიზიო კომისიას;

ბ) განიხილავენ და ამტკიცებენ საბჭოსა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებებს.

22. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების, საოლქო, საქალაქო, რაიონული

№ 3 ეროვნული ბიბლიოთეკა

და პირველადი ორგანიზაციების საბჭოების გამგებლობაში შედის:

ა) საზოგადოების მუშაობის ხელმძღვანელობა და ყრილობების, კონფერენციებისა და პირველადი ორგანიზაციების საერთო კრებების დადგენილებათა განხორციელება;

ბ) სამუშაო გეგმის შემუშავება, მომავალი საოპერაციო წლისათვის ხარჯთაღრიცხვის შედგენა და დამტკიცება;

გ) საზოგადოების მთელი ადმინისტრაციული, სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის ხელმძღვანელობა;

დ) ბუნების დაცვის ერთთვიურის მოწყობა;

ე) საკუთარი სახსრებით სანერგეების მოწყობა;

ვ) საზოგადოების ყრილობების, კონფერენციებისა და პირველადი ორგანიზაციების საერთო კრებების მოწვევა და მოხსენებებისა და ანგარიშების მომზადება.

23. ყრილობების, კონფერენციებისა და პირველადი ორგანიზაციების საერთო კრებების მიერ განსახილველი საკითხები წყდება ხმის უბრალო უმრავლესობით.

24. საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების, აგრეთვე რაიონული, საქალაქო, ავტონომიური ოლქისა და ავტონომიური რესპუბლიკების საბჭოები ყოველწლიურად წარუდგენენ საზოგადოების ზემდგომ ორგანოებს ანგარიშს თავიანთი საქმიანობის შესახებ ფულადი ანგარიშის ჩათვლით.

25. ბუნების დაცვის საზოგადოების მართვის ორგანოები მთელ თავიანთ მუშაობას ახორციელებენ სათანადო საბჭოთა და პარტიულ ორგანოებთან მჭიდრო კონტაქტითა და მათი ხელმძღვანელობით.

### IV. საზოგადოების სახსრები

26. ბუნების დაცვის საზოგადოება თავის მუშაობას ჰაერის, წყლის, მიწისქვეშა წყლების დაცვის, ტყეებისა და მწვანე ნარგავების გაშენების, სასარგებლო ფაუნის გამრავლების, აგრეთვე მათი დაცვის საქმეში ახორციელებს საზოგადოების წევრთა შრომითი მონაწილეობის საფუძველზე.

27. საზოგადოების სახსრები, რომლებიც საჭიროა საორგანიზაციო და სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობისათვის, იქმნება:

ა) შესასვლელი შესატანისა და ყოველწლიური საწევრო შესატანისაგან;

ბ) სხვა შემოსავლისაგან (საჯარო ლექციები, მოხსენებები, სანერგეები).

28. შესასვლელი შესატანი საზოგადოების წევრად გახდომისას განისაზღვრება ინდივიდუალურ წევრთათვის 10 კაპიკით, ხოლო მოსწავლეთათვის — 5 კაპიკით. საწევრო შესატანი განისაზღვრება ინდივიდუალურ წევრთათვის 30 კაპიკით წელიწადში, ხოლო მოსწავლეთათვის — 10 კაპიკით წელიწადში. საწევრო შესატანი კოლექტიურ (იურიდიულ) წევრთათვის განისაზღვრება 10 მანეთით და ზევით წელიწადში, ხოლო შესასვლელი შესატანი — 10 მანეთით.

**შენიშვნა:** საზოგადოების წევრებს საწევრო შესატანი შეაქვთ წელიწადში ერთხელ საზოგადოების პირველად ორგანიზაციაში. შესატანი **იფარება მარკებით.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

29. საზოგადოების ბუნების დაცვის პირველადი ორგანიზაციები შემოსული და საწევრო შესატანის 100 პროცენტს გადაურიცხავენ საზოგადოების რაიონულ და საქალაქო საბჭოებს, ხოლო საზოგადოების რაიონული და საქალაქო საბჭოები შემოსული შესასვლელი და საწევრო შესატნების 50 პროცენტს გადაურიცხავენ საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოს.

**შენიშვნა:** საზოგადოების რაიონული და საქალაქო საბჭოები, რომლებიც შედიან აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, და ქ. თბილისის რაიონული საბჭოები შემოსული შესასვლელი და საწევრო შესატანების 50 პროცენტს გადაურიცხავენ შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების, საოლქო და საქალაქო საბჭოებს, ხოლო ეს უკანასკნელნი ამ გზით შემოსული თანხის 10 პროცენტს გადაურიცხავენ საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოს.

30. შესასვლელი შესატანის, ყოველწლიური საწევრო შესატანისა და სხვა შემოსავლის გეგმების შესრულების შემთხვევაში საზოგადოების იმ მუშაკების დასაჯილდოებლად, რომელთაც მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს გეგმების შესრულებაში და წარმატებები მოიპოვეს სოციალისტურ შეჯიბრებაში, აგრეთვე ბუნების დაცვის საქმეში აქტიურად მონაწილე ცალკეული მოქალაქეების დასაჯილდოებლად იქმნება საპრემიო ფონდი.

31. საპრემიო ფონდის შექმნისა და გამოყენების წესის შესახებ დებულებას განიხილავს და დაამტკიცებს საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი.

32. საზოგადოების მთელი ფულადი სახსრები ინახება მიმდინარე ანგარიშზე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის განყოფილებებში.

## V. საზოგადოების ემბლემა და ალამი

33. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების ემბლემა წარმოადგენს წრეს, რომლის ზედა ნახევარში გამოსახულია ცა, ქვედა ნახევარში — მთები, ხეები და ირემი. ზემო ნაწილზე აწერია „ბუნების დაცვა".

ემბლემა განკუთვნილია საზოგადოების ყველა ორგანიზაციის ბეჭდებზე, გარდამავალ დროშებზე, პლაკატებზე, წიგნებსა და პერიოდულ გამოცემებზე, მატერიალურ ნაწილსა და საზოგადოების ფირნიშებზე გამოსახვისათვის.

34. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების ალამი მწვანე ფერისაა, აქვს სწორკუთხედის ფორმა, რომლის გვერდების თანაფარდობაა 2:1 (180:90 სმ.). ალმის წინა მხარეს, ცენტრში, გამოსახულია საზოგადოების ემბლემა, ზემოთა მარცხენა კუთხეში — საქართველოს სსრ სახელმწიფო ალამი.

## VI. საზოგადოების ლიკვიდაციის წესი

35. საზოგადოება წყვეტს თავის მოქმედებას:

ა) საზოგადოების ყრილობის დადგენილებით;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

36. საზოგადოების ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი მთელი ქონება, საქართველოს სსრ მთავრობის მითითების თანახმად, გადაეცემა სახელმწიფო დაწესებულებებს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინდექსი—76187

# СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 3 1977 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/XII-77 წ. ქაღალდის ზომა 70 X 108 1/16.
საბეჭდი თაბახი 7 სააღრიცხვო თაბახი 7

შეკვეთა № 873 უე 04348 ტირაჟი 2190

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

ნ 95/22
ეროვნული ბიბლიოთეკა